საზღვარზე უსაზღვრო წუხილი A2

დევნილთა უფლებები და მათი სოციალური დაცვის გარანტიები A8

სპეცსამსახურები B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 16 აპრილი, 2004 წელი. №89 (638)

ფასი 50 თეთრი

# პოლიტიკური მეთოდები აგრესიული დაუმორჩილებლობის წინააღმდეგ

*პრეზიდენტთან "ჩვენი აჭარის" ლიდერების შეხვედრას პრეზიდენტის უახლოესი გარემოცვა – პარლამენტარები გივი თარგამაძე და გიგა ბოკერიაც ესწრებოდნენ. როგორც შეხვედრის დასასრულს "ჩვენი აჭარის" ლიდერებმა აღნიშნეს, პრეზიდენტთან საუბრის შემდეგ ოპოზიცია კიდევ უფრო ერთიანი და კოორდინირებული გახდა და მზადაა აჭარაში მასობრივი საპროტესტო აქციების დასაწყებად. "ჩვენი აჭარის" ლიდერები აცხადებენ, რომ საქართველოს პრეზიდენტი აჭარის ხელისუფლების ქმედებას "აგრესიულ დაუმორჩილებლობას უწოდებს", თუმცა, ცენტრი აჭარაში კონსტიტუციური წესრიგის დასამყარებლად სამხედრო ძალის*

სოფო ბუკია

**"პრეზიდენტი არ დაუშვებს, რომ ერთ სახელმწიფოში ორი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ხელისუფლება არსებობდეს, რომ საქართველოს კონსტიტუცია მის ერთ რომელიმე რეგიონზე არ ვრცელდებოდეს... პრეზიდენტი მზადაა აჭარის პრობლემის გადასაწყვეტად ხელისუფლების არსენალში არსებული ყველა კონსტიტუციური მეთოდი გამოიყენოს,"** – პრეზიდენტთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა პარლამენტის წევრმა გივი თარგამაძემ. თარგამაძე აღნიშნავს, რომ "ხელისუფლების არსენალში" ძალისმიერი მეთოდიც იგულისხმება, მაგრამ ძალის გამოყენებამდე საქმე არ მივა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# აჭარის ხელისუფლება კოლუმბიის ნარკოკარტელს ემსგავსება

## ამბობს შინაგან საქმეთა მინისტრი

თამარ კაციტაძე

*შინაგან საქმეთა მინისტრი ქვეყნის ე.წ. კანონიერი ქურდებისგან და ავტორიტეტებისგან გაწმენდას აგრძელებს და ამ მხრივ კმაყოფილებასაც არ მალავს. მაგრამ, ბოლო პერიოდში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგით გიორგი ბარამიძე განსაკუთრებით აღფრთოვანებულია. "ქურდების გენერალური მდივანი" დავაკავეთ," – ამბობს მინისტრი.*

შინაგან საქმეთა მინისტრის მხრიდან ახალი "ტიტულით" შემკობილი ე.წ. კანონიერი ქურდი კი ქუთაისელი ალექსანდრე იმედაძეა, რომელიც შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების თანამშრომლებმა ერთობლივი სპეცოპერაციის შედეგად ქუთაისში, ორი დღის წინ დააკავეს.

გაგრძელება A7 გვერდზე




ვახო [illegible] ფოტო

*გიორგი ბარამიძე მკვეთრ გამოთქმებს არ ერიდება.*

# ბრძოლა აფხაზეთის ლიდერობისათვის

ინალ ხაშიგი
*IWPR-ის კორესპონდენტი სოხუმიდან*

*აფხაზეთის ხელმძღვანელის ვლადისლავ არძინბას შესაცვლელად ბრძოლა არჩევნებამდე ექვსი თვით ადრე გამწვავდა.*

აფხაზეთში ახალი პოლიტიკური ალიანსის შექმნამ, რომელსაც რუსეთთან კავშირები აქვს, ვლადისლავ არძინბას პოსტისათვის ბრძოლას სიმძაფრე შემატა.

1992-1993 წლების ომის შემდეგ, როდესაც რეგიონი საქართველოს დე-ფაქტო გამოეყო, არძინბა აფხაზეთს შეუცვლელად მართავდა. ახლა ის სერიოზულად ავადაა და საზოგადოებაში, კარგა ხანია, აღარ გამოჩენილა, თუ არ ჩავთვლით იშვიათ სატელევიზიო მიმართვებს. მას ოფიციალურად არც თავისი პოლიტიკური მემკვიდრე დაუსახელებია.

მართალია, საპრეზიდენტო არჩევნები 28 ოქტომბერს გაიმართება, მაგრამ მმართველ ელიტაში მეტოქეობა უკვე ინტენსიური გახდა.

ორი კვირის წინ ახალი ძლიერი მოძრაობა დაფუძნდა, რომელსაც რუსული დასახელება "ედინაია აფხაზია" (ერთიანი აფხაზეთი) აქვს. ამ მოძრაობის სამივე ლიდერი

გაგრძელება A3 გვერდზე

# თბილისის გარეთ დემოკრატია ნაკლებად ესმით

მაია ჭალაგანიძე

*ლინკოლნ მიტჩელი "მაღალი, ჟღალი ამერიკელის", მარკ მალენის შემცვლელია ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტში (NDI). მალენი დიდი ხნის განმავლობაში იყო ამ ორგანიზაციის დირექტორი. მიტჩელის თქმით, როგორც ჩანს, მარკს რაღაც განსხვავებული საქმის კეთება მოუნდა და სამსახური შეიცვალა. ახალი დირექტორი, რომელიც წელიწადნახევრის განმავლობაში NDI-ს თანადირექტორი იყო, ამბობს, რომ მემკვიდრეობით ძლიერი და კარგი რეპუტაციის მქონე ორგანიზაცია მიიღო. მარკ მიტჩელი ერთ-ერთი ის უცხოელია, რომელიც ასლან აბაშიძეს დაძაბულ დროს, ორიოდე დღის წინ შეხვდა. თავად, ისე როგორც უცხოელს, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს და დიპლომატიასთან დაახლოებული საქმიანობის ადამიანს, საუბრის დეტალები არ გაუხმაურებია. სამაგიეროდ, არ დაიზარა და ახალ პარლამენტზე ისაუბრა, რომელიც აჭარის მოვლენების გამო, ლამის ყველას მიავიწყდეს.*

გაგრძელება B1 გვერდზე



*ლინკოლნ მიტჩელი.*

## პოლიტიკა

### ბათუმურმა ბიზნეს-ტურნემ იმედი მხოლოდ მის მონაწილეებს ჩაუსახა

გუშინდელმა ბათუმურმა ვოიაჟმა თავად ბიზნესმენები იმედიანად განაწყო, თუმცა რატომ – მათ არ დაუკონკრეტებიათ. უცნობია, მოიხიბლა თუ არა ქართველ ბიზნეს-კორიფეებთან შეხვედრით თავად ასლან აბაშიძე.

A3

## ეკონომიკა

### საგადასახადო დეპარტამენტმა და ფინანსურმა პოლიციამ ობიექტების შემოწმება დაიწყეს

ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტმა და ფინანსურმა პოლიციამ ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტებს საკონტროლო სალარო აპარატების დასამონტაჟებლად და აღრიცხვიანობის სისტემის წესრიგში მოსაყვანად ერთკვირიანი ვადა მისცეს. ფინანსთა სამინისტროში კატეგორიულად აღნიშნავენ, რომ სადამსჯელო ღონისძიებები მკაცრი იქნება.

A4

## უცხოეთი

### ბინ ლადენს ევროპასთან მშვიდობა სურს

ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ანალიტიკოსები და კრიპტოგრაფები უკვე მერამდენედ იმტვრევენ თავს იმის დასადგენად, ეკუთვნის თუ არა ტელეკომპანია "ალ-ჯაზირას" ეთერში გაშვებული ხმა მსოფლიოს ნომერ პირველ ტერორისტს ოსამა ბინ ლადენს.

A5

## საზოგადოება

### „ოსებსაც და ქართველებსაც მშვიდობა გვინდა"

ახალგორის სოფელ ყანჩაეთში ოთხმოცამდე ოჯახი ცხოვრობს. თორმეტი ოჯახი ოსი ეროვნებისაა. მოსახლეობის ნახევარმა დატოვა თავისი საცხოვრებელი ადგილი. ნაწილმა რუსეთს, ნაწილმა კი ევროპის ქვეყნებს მიაშურა სამუშაოდ.

A6

## სამართალი

### არასრულწლოვანი მკვლელობას აღიარებს

მკვლელობაში ეჭვმიტანილი, მუხიანში მცხოვრები 17 წლის სოსო ლოლუა მკვლელობიდან რამდენიმე საათში, მუხიანის დასახლებაშივე დააკავეს...

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 9 |
| ქუთაისი | 11 |
| ბათუმი | 2 |
| სოხუმი | 12 |
| ფოთი | 7 |
| თელავი | 6 |
| ზუგდიდი | 12 |
| გორი | 7 |
| ახმეტა | 8 |
| ჭიათურა | 9 |
| გაგრა | 11 |
| სამტრედია | 10 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9850 |
| ევრო | 2.3775 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5682 |
| რუბლი | 0.0694 |

# ასლან აბაშიძის "განეიტრალების" ნათაძისეული გეგმა

გიორგი ასანიშვილი

*აჭარის კრიზისის განმუხტვის გზების შესახებ ნოდარ ნათაძეს საკუთარი მოსაზრებები აქვს. სახალხო ფრონტის ლიდერი არასწორად მიიჩნევს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ასლან აბაშიძის მიმართ გატარებულ პოლიტიკას, რომლის არსი, მისივე მტკიცებით, იმაში მდგომარეობს, რომ "თუ აჭარის ლიდერთან მოლაპარაკებები წარმატებით არ დასრულდება, მაშინ გამოყენებული იქნება იარაღი". ასეთი მიდგომის ნაცვლად, ნოდარ ნათაძე ხელისუფლებას იურიდიულ-სამართლებრივი საშუალებების გამოყენებას ურჩევს.*

**"საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ უნდა იქნეს პრეზიდენტის განცხადება ასლან აბაშიძის მიერ კანონდარღვევით მიღებული, ავტონომიური რესპუბლიკის**

გაგრძელება A3 გვერდზე

# სამხედრო ბაზებიდან რუსები სამრეცხაოსა და აბანოს იმეტებენ

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

მაშინ, როცა რუსი პოლიტიკოსები აღმასრულებელ ხელისუფლებას მოუწოდებენ, არ შეცვალონ პოზიცია და კიდევ თხუთმეტი წელი გაჭიმონ საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გატანა, რუსეთის გენერალურ შტაბში საქართველოს ელჩს იბარებენ. სამუშაო ენაზე ამას კონსულტაციები ჰქვია.

რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პირველ მოადგილესთან, იური ბალუევსკისთან საქართველოს ელჩის შეხვედრა ზუსტად საათნახევარი გაგრძელდა. მოლაპარაკებები შეეხო ბეჟუაშვილსა და ივანოვს შორის მიღწეულ სიტყვიერ შეთანხმებას, ოთხი ბაზის ინფრასტრუქტურის ქართული მხარისათვის გადაცემასა და ბაზების გაყვანის ვადებისა და პირობების შესახებ. მინისტრების შეხვედრაზე ეს

გაგრძელება A3 გვერდზე

# ფინანსური პოლიცია და "ყაზბეგი"

ოთარ ქირია

*ფინანსური პოლიცია, შესაძლოა, კომპანია "ყაზბეგს" 1.5 მილიონ ლარს შეედავოს. ამას ემატება ჯარიმა-საურავები ხსენებული თანხის 45 პროცენტის ოდენობით.*

ორიოდე კვირის წინ, ფინანსურმა პოლიციამ ფირმა "ბაადურს" საწვავის დიდი პარტია დაულუქა. დღეს ირკვევა, რომ, რომ "ბაადურმა" 1.479 მილიონი ლარის აქტივი ყალბად დაიმტკიცა. მოგვიანებით, "ბაადურმა" "ყაზბეგს" 20 მილიონი აქციზური მარკა შესთავაზა, რომელიც მას ფინანსთა სამინისტროსგან უნდა მიეღო აქტივის სანაცვლოდ. კომპანიებს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, "ყაზბეგი" ლუდის რეალიზაციის შემდეგ "ბაადურს" მოგების 10 პროცენტს გაუყოფდა.

აღსანიშნავია, რომ "ბაადური" აქციზურ საქონელს არ აწარმოებს და, შესაბამისად, მას აქციზურ მარკებთან არანაირი შეხება არ ექნებოდა. საქმისთვის ჯერ უცნობია, შეგნებულად მიიღო თუ არა თოფაძის კომპანიამ ამ გარიგებაში მონაწილეობა.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 სპეცსამსახურები | B7 კვირის TV-პროგრამა | B8 სხვადასხვა

# ქუთაისის მერი სამუშაო დროის ნახევარს თბილისში ატარებს

უკვე რამდენიმე დღეა, რაც ქუთაისის მერის გადადგომის მოთხოვნით, ოცამდე არასამთავრობო ორგანიზაცია გაერთიანდა. ისინი ნუგზარ ფალიანს ქალაქის ბიუჯეტის კუთვნილი თანხების არამიზნობრივ ხარჯვასა და გაფლანგვაში სდებენ ბრალს. გუშინ კი ქუთაისი ყველგან ფეხით პროკლამაციებით აჭრელდა. **"ნუგზარ გვყოს ვაჟკაცობა! აღიარე დანაშაული! აღიარე, რომ გაფლანგე და გაანიავე ქუთაისის მოსახლეობის ფინანსები, რომ ვერ შეასრულე საარჩევნო დაპირებები, ვერ მოაგვარე გზის, ელექტროენერგიის, დასაქმების და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები. ნუგზარ წადი!!!"** -ასეთი განცხადებაა პროკლამაციების შინაარსი. არასამთავრობოთა კოალიციამ გუშინვე საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ მინისტრს და პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართა. ისინი აღნიშნული პირებისგან ფალიანის მიმართ პოზიციების დაფიქსირებას მოითხოვენ. საქმე ისაა, რომ ქუთაისის მერი თავის ქმედებებს ხშირად ქვეყნის პირველ პირებთან შეთანხმებულს უწოდებს.

**"ჩვენი პრეტენზიების საპასუხოდ, ნუგზარ ფალიანი საჯაროდ აფიქსირებს, რომ მას მიმდინარე საქმიანობაში გააჩნია საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ მინისტრის და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მხარდაჭერა, რაც ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციის მცდელობად მიგვაჩნია. მოგმართავთ და გთხოვთ, დააფიქსიროთ თქვენი პოზიცია, შეესაბამება თუ არა სინამდვილეს ნუგზარ ფალიანის განცხადებები და თქვენი კომპეტენციის ფარგლებში გადადგათ ქმედითი ნაბიჯები ქუთაისის გადასარჩენად,"** - ნათქვამია მიმართვაში, რომელსაც ხელს ოცამდე არასამთავრობო ორგანიზაცია აწერს.

გასული კვირის ბოლოს კი ქუთაისის მერს პრეზიდენტის რწმუნებული დათო მუმლაძე შეხვდა. მუმლაძის განცხადებით, მან ქუთაისის მერს კონკრეტული სამართალდარღვევების ამსახველი ფაქტები მაგიდაზე დაუდო და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მოსთხოვა. მუმლაძე არ გამორიცხავს, რომ მისი მოთხოვნის იგნორირების შემთხვევაში ფალიანის მიმართ მასალები სამართალდამცავ ორგანოებს გადაეცემა.

**"ქუთაისის მერისგან კატეგორიულად მოვითხოვე იმ თანამდებობის პირების გადაყენება, რომლებმაც ხულიგნობა ჩაიდინეს და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები სცემეს. ისინი დღეს უკვე გადაყენებულნი უნდა ყოფილიყვნენ თანამდებობიდან. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. ამავე დროს, ფალიანს ფაქტობრივად ვესაუბრე იმ დარღვევებზე, რომლებიც საგამოძიებო ორგანოების მიერაა მოკვლეული. ამ საკითხზე უკვე მისაღებია საბოლოო პროცესუალური გადაწყვეტილება. არ შეიძლება, რომ საქართველოს მეორე დედაქალაქში არაფრის მაქნისი და არაფრის შემსრულებელი ხელისუფლება იყოს,"** - აცხადებს დათო მუმლაძე. ნუგზარ ფალიანი კი, მაშინ მისი ქალაქში ყოფნა არავის აინტერესებს. აღნიშნული ფაქტი ქალაქში კარგა ხანია ალაპარაკებს ყველას. რადგანაც ქალაქის ქუთაისელები საკუთარ მერს იშვიათად ხედავენ. საკრებულოს სარევიზიო კომისიის დასკვნით, ნუგზარ ფალიანი თავისი კუთვნილი 240 სამუშაო დღიდან 120 დღე თბილისში, მივლინებებში იმყოფებოდა(?!). ამჟამად კი, საჭიროების შემთხვევაში, მასთან დაკონტაქტება ოფიციალურ პირებსაც უჭირთ. ჩვენი ინფორმაციით, ორი დღის წინ იგი პრემიერ-მინისტრს შეხვდა. ვარაუდობენ, რომ ფალიანი მიღებული გადაწყვეტილების შესახებ განცხადებას ჩამოსვლისთანავე გააკეთებს. მის ქუთაისში დაბრუნებას კი დღეს ელოდებიან.

*ბექა სისაური, ქუთაისიდან*

# აჭარაში შექმნილი სიტუაცია - შეფერხება ტურიზმის განვითარებისათვის

საქართველოს ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ვაჟა შუბლაძის განცხადებით, საქართველოში ტურისტების ნაკადმა მნიშვნელოვნად იმატა. როგორც მან გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, წელს ქვეყანაში 10 ათასით მეტი ტურისტი შემოვიდა, ვიდრე შარშან. ჯამში, წელს ქვეყანა სულ 71 ათასმა ტურისტმა მოინახულა.

მიუხედავად ამისა, შუბლაძე შიშობს, რომ ტურიზმის მასშტაბების მატებას სერიოზული საფრთხე ემუქრება. ის შეშფოთებას გამოთქვამს აჭარაში მიმდინარე მოვლენების გამო და აცხადებს, რომ **"იქ, სადაც იარაღს აჟღარუნებენ, ტურიზმზე საუბარი ზედმეტია. თუ აჭარაში სიტუაცია უახლოეს ხანში არ დარეგულირდა, რეგიონში შექმნილი არაჯანსაღი გარემო ტურიზმზე დამღუპველ ზეგავლენას იქონიებს და დარგს მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს."** შუბლაძის ინფორმაციით, შექმნილი ვითარების გამო რამდენიმე ქვეყანამ "აბრეშუმის გზის ქვეყნების" მეექვსე საერთაშორისო ტურისტულ ბაზრობაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

ეს ბაზრობა 29 აპრილიდან 1 მაისამდე თბილისში უნდა ჩატარდეს და მასში მონაწილეობას 20-მდე ქვეყანა მიიღებს. შუბლაძის თქმით, ბაზრობაში მონაწილეობის მიღებაზე განაცხადი შეტანილი აქვს 11 ქვეყანას, მათ შორის - რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთს, კვიპროსს, იტალიას, ავსტრიას, თურქეთს, საფრანგეთს, ირანს და აშშ-ს. გამოფენაზე ქართული მხარის წარმოდგენას, შესაძლოა, ფინანსურმა პრობლემებმა შეუშალოს ხელი. **"თუ ფინანსთა სამინისტრო რამდენიმე დღეში ბიუჯეტით გათვალისწინებულ 30 ათას ლარს არ გამოყოფს, ქართული მხარე ტურისტულ ბაზრობაზე საკუთარ სარეკლამო სტენდს ვერ წარმოადგენს,"** – შიშობს შუბლაძე.

*24 საათი*

# "ახალი მემარჯვენეების" ლიდერებს პროკურატურაში დაიბარებენ

ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის დავით ბენიძის საქმის გამოძიების პარალელურად, იმერეთის საოლქო პროკურატურაში ცალკე საქმე აღიძრა, რომლის ძიების პროცესში, შესაძლოა, პროკურატურაში დაიბარონ "ახალი მემარჯვენეების" ლიდერები - დავით გამყრელიძე, დავით საგანელიძე და ფიქრია ჩიხრაძე..

საქმეს შემდეგი კვალიფიკაცია მიეცა - წინასწარი გამოძიებისთვის ხელის შეშლა, პროკურორის, გამომძიებლისა და მომკვლევის საქმიანობაში უკანონო ფორმით ჩარევა და პოლიციის მუშაკებისთვის წინააღმდეგობის გაწევა. **"მართალია, აღნიშნული საქმე ფაქტზეა აღძრული, მაგრამ ამ ქმედებებში პარლამენტარები ფიგურირებენ, რომლებიც დათო ბენიძის გაქცევის მოწმენი არიან, ამიტომ ეს საქმე უკვე გენერალურმა პროკურატურამ დაიქვემდებარა,"** - განაცხადეს საოლქო პროკურატურაში. შეგახსენებთ, რომ ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ბენიძე ერთი თვის წინ, მის სამუშაო კაბინეტში ჩატარებული ჩხრეკის დროს გაუჩინარდა, როდესაც მისმა თანაპარტიელებმა - "ახალი მემარჯვენეების" ლიდერებმა - საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტის კარი საგამოძიებო მოქმედების – ჩხრეკის ჩატარების დროს შეტეხეს. დავით ბენიძეზე ძებნაა გამოცხადებული. პროკურატურა დავით ბენიძეს სამსახურებრივი გულგრილობის შედეგად 322 ათასი ლარის გაფლანგვასა და ნარკოტიკური ნივთიერების უკანონო შენახვაში სდებს ბრალს.

*ინტერ-პრესი*

# საზღვარზე უსაზღვრო წუხილი

## ანუ მოდი, ჩავატაროთ რამე აჭარის წარმომადგენლობაში...



*ჰამლეტ ჭიპაშვილი.*

**"საზღვარი მარტო ხაზის გავლება არ არის, საზღვარი არის - ჩემი რა არის და შენი რა არის,"** - ამგვარი პროლოგი დაურთო გუშინ ჰამლეტ ჭიპაშვილმა აჭარის წარმომადგენლობაში გამართულ შეხვედრას, რომლის თემაც იყო "საქართველოს საზღვრები და დღევანდელობა". დისკუსიაზე მიწვეული არ ჰყავდათ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის არც ერთი პასუხისმგებელი პირი და არც ისეთი კომპეტენტური უწყების წარმომადგენელი, როგორიც საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული სასაზღვრო- სადემილიტაციო კომისიაა.

შედეგად მივიღეთ ის, რომ საზღვარზე თავიანთი წუხილი გამოთქვეს მთიანეთის შემსწავლელი კომისიის სწავლულმა მდივანმა ბერდო გოიშვილმა და მწერალმა კობა არაბულმა. როცა მასმედიის წარმომადგენლებმა და ბატონმა გოიშვილმა საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლები მოიკითხეს, ჰამლეტ ჭიპაშვილმა მათ მორცხვობაშეპარული ღიმილით განუცხადა: **"ეს გახლავთ დისკუსიის პირველი ეტაპი, რაც საკითხისადმი ყურადღების მიქცევას გულისხმობს... თანაც, თავი ავარიდეთ მათ დაპატიჟებას, რამეთუ არ გვინდოდა, შეხვედრა გაუთავებელ კონფლიქტში გადაზრდილიყო."**

მაშინ, როცა აჭარის წარმომადგენლობა "გაუთავებელ კონფლიქტს" სალონური სტილის იდილიის მომგვრელ დიალოგს ამჯობინებს, პრეს-რელიზით ასეთი მწვავე შინაარსის ტექსტს ავრცელებს: **"საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან შეთანხმებული დემილიტარიზებული და დემარკაცირებული სახელმწიფო საზღვარი არ გააჩნია. აზერბაიჯანთან 310 ჰა დავკარგეთ, ხევსურეთის 212 კმ მიწის ნაკვეთზე რუსეთი შემოიჭრა... თუშეთის ტერიტორიის 42 კმ რუსეთმა მიისაკუთრა... დარიალის ხეობაში რუსეთმა საზღვარი გადმოწია და აქ 12 კმ ფართობი მიისაკუთრა... სომხეთმა სოფელ ახპერთან საზღვარი 10 კმ-ით გადმოწია"...**

რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ასეთ რთულ ვითარებაში ბატონი ჭიპაშვილი თავს არიდებს იმ უწყებების წარმომადგენლებთან საუბარს, რომლებსაც პრობლემა უშუალოდ ეხებათ. თავდაცვის ეროვნული აკადემიის კათედრის გამგის გელა ხუციშვილის აზრით, სასაზღვრო საკითხებთან დაკავშირებით ჩასატარებელია უმკაცრესი რევიზია იმ ოქმებისა, რომელთაც ხელი მოეწერა 1992 წლიდან დღემდე. მწერალ კობა არაბულის წუხილი იმის თაობაზე, რომ **"ხელისუფლება საზღვართან მიმართებაში მითოლოგიურ და ფოლკლორულ ცოდნას არ იყენებს",** თავისთავად, პატრიოტული განწყობილების შემომტანია, მაგრამ როცა ასეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე საუბარი პასუხისმგებელი პირების გარეშე მიმდინარეობს, საკითხავია: ღონისძიების ორგანიზატორებმა რატომ მიიწვიეს გუშინ აჭარის წარმომადგენლობაში ჟურნალისტები?

ჰამლეტ ჭიპაშვილმა შემთხვევით ისარგებლა და შეხვედრაზე განაცხადა, რომ ცენტრსა და აჭარას შორის ურთიერთობა სინამდვილეში არც ისე დაძაბულია, როგორც ამას "ზოგიერთები" წარმოგვიდგენენ. იმავე ჭიპაშვილმა გუშინდელ დისკუსიაზე ჩაიქირქილა, რომ **"ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია მხოლოდ რუსთაველის პროსპექტზე ვრცელდება".** ყველაფერი გასაგებია, ერთი რამის გარდა: თუ ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია რუსთაველის პროსპექტზე ვრცელდება, შედის თუ არა ამ იურიდიულ სივრცეში იქვე, ორიოდე ნაბიჯზე - ტაბიძის ქუჩაზე მდებარე აჭარის წარმომადგენლობა?

*ვერიკო თევზაძე*

## ორი სიტყვით

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აჭარის მეთაურს ასლან აბაშიძეს ცეტრალური ხელისუფლების ყველა კონსტიტუციური მოთხოვნის შესრულებისკენ მოუწოდებს. პრეზიდენტთან გამართული გუშინდელი შეხვედრის შემდეგ ბურჯანაძე აცხადებს, რომ აჭარის ხელმძღვანელობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა აჭარა საქართველოს სამართლებრივ და კონსტიტუციურ სივრცეს დაუბრუნდეს. ბურჯანაძე მზადაა, საჭიროების შემთხვევაში თავად ჩავიდეს ბათუმში და ასლან აბაშიძეს შეხვდეს. გუშინ პრეზიდენტმა და პარლამენტის თავმჯდომარემ პარლამენტის პერსპექტივებზეც ისაუბრეს. უკვე მიღწეულია შეთანხმება, რომ საქართველოს ახალი პარლამენტის პირველი სესია 21-22 აპრილს გაიმართება. არ არის გამორიცხული, პირველი სესია სწორედ აჭარის პრობლემას დაეთმოს. *24 საათი*

■ ■ ■

"ჯორჯ მარშალის ცენტრი" საქართველოს სამხედრო დოქტრინის შემუშავებაში დაეხმარება, - ამის შესახებ აღნიშნული ორგანიზაციის დირექტორმა დოქტორ ჯონ როუზმა განაცხადა, რომელიც საქართველოში ორდღიანი ვიზიტით იმყოფება. გუშინ როუზი საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს ვანო მერაბიშვილს შეხვდა. შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ამერიკის არმიის ყოფილმა გენერალმა როუზმა აღნიშნა, რომ სამხედრო დოქტრინასთან დაკავშირებით უკვე მიმდინარეობს აქტიური კონსულტაციები საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან და შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბთან. "ცენტრის ექსპერტები, სავარაუდოდ, აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ "საქართველოს სამხედრო დოქტრინის" შემუშავებაში," - განაცხადა როუზმა.

როუზმა აღნიშნა, რომ "მარშალის ცენტრი" ქართულ მხარესთან აქტიურად თანამშრომლობს. "მარშალის ცენტრში" უკვე მომზადებულია საქართველოს 134 წარმომადგენელი, რომლებიც საქართველოს ახალ მთავრობაში საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე მუშაობენ. მათ შორისაა საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ნიკა ვაშაკიძე და შს მინისტრი გია ბარამიძე. მიმდინარე წელს დაგეგმილია კიდევ 28 ქართველი ახალგაზრდის მივლინება აღნიშნულ ცენტრში. "მარშალის ცენტრი" გერმანიაში, ქალაქ გარმირში მოქმედებს. იგი 10 წლის წინ ჩამოყალიბდა და მისი მთავარი დანიშნულება ამერიკის, ევროპის და ევრაზიის სახელმწიფოებში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და უსაფრთხოების ცენტრების ჩამოყალიბებაა. *24 საათი*

■ ■ ■

საქართველოში ევროსაბჭოს წარმომადგენელი პლამენ ნიკოლოვი გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანს ვანო მერაბიშვილს შეხვდა და თავისი მოსაზრებები გაუზიარა. ნიკოლოვის განცხადებით, მისასალმებელია საქართველოს ხელისუფლების ის გადაწყვეტილება, რომელიც ცენტრსა და აჭარის ავტონომიას შორის არსებული დაპირისპირების მოგვარებაში საერთაშორისო საზოგადოების ჩართვას ითვალისწინებს. ნიკოლოვის განცხადებით, ევროსაბჭო კატეგორიულად გმობს ორი დღის წინ აჭარაში ჟურნალისტების დარბევის ფაქტს. მისი თქმით, ეს ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა და სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯებია. ნიკოლოვი აჭარაში შექმნილ ვითარებას შემაშფოთებელს უწოდებს, თუმცა იმედი აქვს, რომ ცენტრსა და რეგიონს შორის არსებული დაპირისპირება მშვიდობიანი დიალოგის მეშვეობით გადაწყდება. *24 საათი*

## ოფიციოზი

### საქართველოს მთავრობის დადგენილება №19

*2004 წლის 13 აპრილი ქ. თბილისი*

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის შექმნის შესახებ.

"საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, "საქართველოს მთავრობაში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობის შემოღების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 14 თებერვლის №61 ბრძანებულების შესაბამისად:

1. შეიქმნას კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი და დამტკიცდეს სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანდართული დებულება და სტრუქტურა.
2. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის რიცხოვნობა განისაზღვროს 10 ერთეულით.
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ "საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის მომზადებისას გაითვალისწინოს კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის დაფინანსებისათვის აუცილებელი სახსრები.
4. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობისათვის გამოყოფილი სახსრები განკარგოს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა.
5. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმის წარმოების წესი განსაზღვროს სახელმწიფო მინისტრმა.
6. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობის იურიდიული, ტექნიკური და საბუღალტრო მომსახურება უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის კანცელარიამ.
7. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს მთავრობის დადგენილება № 21

*2004 წლის 13 აპრილი ქ. თბილისი*

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის შექმნის შესახებ.

"საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლისა და "საქართველოს მთავრობაში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობების შემოღების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 14 თებერვლის №61 ბრძანებულების შესაბამისად:

1. შეიქმნას საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის საკითხებში და დამტკიცდეს სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანდართული დებულება და სტრუქტურა.
2. აპარატის რიცხოვნობა განისაზღვროს 10 ერთეულით.
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი) "საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის მომზადებისას გაითვალისწინოს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობის დაფინანსებისათვის საჭირო სახსრები.
4. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობის იურიდიული, ტექნიკური და საბუღალტრო მომსახურება უზრუნველყოს მთავრობის კანცელარიამ.
5. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს მთავრობის დადგენილება № 23

*2004 წლის 13 აპრილი ქ. თბილისი*

ინვესტორთა მომსახურების ერთიანი ცენტრის შექმნის შესახებ.

საქართველოს ეკონომიკაში კერძო კაპიტალის მოზიდვის ხელშეწყობისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით:

1. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში შეიქმნას ინვესტორების საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების ერთიანი ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) ინვესტიციებისა და ვაჭრობის განვითარების სააგენტოს ფარგლებში.
2. ცენტრის ძირითად ამოცანებად განისაზღვროს:
   ა) მოქმედ და პოტენციურ ინვესტორთა საინფორმაციო, საკონსულტაციო და ანალიტიკური მომსახურება;
   ბ) ლიცენზიებისა და ნებართვების მიღებისა და სარეგისტრაციო პროცედურების ხელშეწყობით საინვესტიციო საქმიანობის წახალისება;
   გ) ინვესტორთათვის მომართვის საფუძველზე მარკეტინგული, იურიდიული, ფინანსური და სხვა სახის კვლევების განხორციელება;
   დ) საინვესტიციო ბარიერებისა და ინვესტორთა წინაშე არსებული პრობლემების ანალიზი და მათი გადაწყვეტა;
   ე) საქართველოში ინვესტორთა პოტენციალისა და პერსპექტივების გამოვლენა და განვითარების მხარდაჭერა;
   ვ) ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორთა ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობათა იდენტიფიცირება და ხელშეწყობა;
   ზ) საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღებისათვის საჭირო წინადადებების მომზადება და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა.
3. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ (ი. რეხვიაშვილი) ორ კვირაში მოამზადოს და საქართველოს მთავრობას წარმოუდგინოს მოქმედი ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ბაზაზე ინვესტიციების და ვაჭრობის განვითარების სააგენტოს შექმნისთვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, აგრეთვე მისი დებულებისა და სტრუქტურის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ინვესტორების მომსახურების ერთიანი ცენტრის ფუნქციონირების ორგანიზება.
4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს მთავრობის დადგენილება № 20

*2004 წლის 13 აპრილი ქ. თბილისი*

ეროვნული თანხმობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის შექმნის შესახებ.

"საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლისა და "საქართველოს მთავრობაში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობების შემოღების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 14 თებერვლის №61 ბრძანებულების შესაბამისად:

1. შეიქმნას ეროვნული თანხმობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი და დამტკიცდეს აპარატის თანდართული დებულებები და სტრუქტურა.
2. აპარატის რიცხოვნობა განისაზღვროს 10 ერთეულით.
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი) "საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის მომზადებისას გაითვალისწინოს ეროვნული თანხმობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის დაფინანსებისათვის საჭირო სახსრები.
4. სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობის იურიდიული, ტექნიკური და საბუღალტრო მომსახურება უზრუნველყოს მთავრობის კანცელარიამ.
5. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №270

*2004 წლის 5 აპრილი ქ. თბილისი*

ი. ქავთარაძის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის წევრად დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ირმა ქავთარაძე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის წევრად დარჩენილი ერთი წლისა და ოთხი თვის ვადით.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №412

*2004 წლის 13 აპრილი ქ. თბილისი*

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ყირგიზეთის რესპუბლიკაში ვიზიტის შესახებ.

1. დამტკიცდეს 2004 წლის 15-16 აპრილს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას დსთ-ს წევრი სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურების სამიტზე მონაწილეობის მისაღებად ყირგიზეთის რესპუბლიკაში საქართველოს დელეგაციის თანდართული შემადგენლობა.
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი) უზრუნველყოს 2004 წლის აპრილისთვის შესაბამისი უწყებებისთვის მივლინების დამტკიცებული ასიგნებებიდან სათანადო სახსრების გამოყოფა ვიზიტთან დაკავშირებული სამივლინებო ხარჯების ასანაზღაურებლად.
3. დელეგაციის წევრების მივლინების ხარჯების ანაზღაურება უზრუნველყონ შესაბამისმა უწყებებმა.
4. გ. ღონიაშვილის, ა. ფავლენიშვილის სამივლინებო და სპეცრეისის ხარჯები აანაზღაუროს საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის საფინანსო სამსახურმა.

*ზურაბ ჟვანია*

### დამტკიცებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2004 წლის 13 აპრილის №412 ბრძანებით

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას დსთ-ს წევრი სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურების სამიტზე მონაწილეობის მისაღებად ყირგიზეთის რესპუბლიკაში საქართველოს დელეგაციის შემადგენლობა:

1. ზურაბ ჟვანია - პრემიერ-მინისტრი
2. ჯამბულ ბაკურაძე - სახელმწიფო მინისტრი
3. ზაზა კანდელაკი - საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე
4. თეიმურაზ სანაძე - დსთ-ს და მშვიდობიანი კავკასიის საკითხთა სახელმწიფო ბიუროს თავმჯდომარე
5. ნიკოლოზ ნათენაძე - მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი - პრემიერ-მინისტრის მრჩეველი
6. ზწურაბ ხონელიძე - საქართველოს წარმომადგენელი დსთ-ს აღმასრულებელ სამდივნოში
7. გიორგი ღონიაშვილი - სახელმწიფო პროტოკოლის სამსახურის სახელმწიფო და სამთავრობო დელეგაციების განყოფილების უფროსის მოადგილე
8. ავთანდილ ფავლენიშვილი - პრემიერ-მინისტრის პრესმდივანი

**დაცვა:**

1. ოთარ კობაიძე - პრემიერ-მინისტრის პირადი დაცვის ოფიცერი
2. ალექსანდრე გოგოხია - პრემიერ-მინისტრის პირადი დაცვის ოფიცერი

ჟურნალისტები:

1. დავით კაკულია - პრემიერ-მინისტრის პირადი ოპერატორი
2. გიორგი კეპულაძე - ტელეკომპანია "იმედი", ჟურნალისტი
3. ირაკლი ყიფიანი - ტელეკომპანია "იმედი", ოპერატორი
4. გიორგი კალანდია - ტელეკომპანია "მზე", ჟურნალისტი
5. დავით მდინარაძე - ტელეკომპანია "მზე", ოპერატორი
6. ირმა ჯალაღონია - საქართველოს ტელევიზიის "I არხი", ჟურნალისტი
7. ბესიკ ესებუა - საქართველოს ტელევიზიის "I არხი", ოპერატორი
8. თეა თუაშვილი - ტელეკომპანია "რუსთავი 2", ჟურნალისტი
9. გიორგი დულარიძე - ტელეკომპანია "რუსთავი 2", ოპერატორი

## გამოსათხოვარი

მწუხარებას გამოვთქვამთ, მეცნიერებათა კომისიის საპატიო წევრის ბატონ ნოდარ ამაღლობელის გარდაცვალების გამო.

მასთან ნაცნობობის დღიდან ჩვენ მოწმენი ვიყავით მისი უნივერსალური თვისებების. ბატონი ნოდარი სხვებისგან განსხვავდებოდა თავისი კაცთმოყვარეობით, გულწრფელობითა და მოკრძალებულობით. თანამდებობებზე ყოფნის დროს შემწყნარებლობისა და დიალოგის გზით თავისი ქვეყნისათვის და მსოფლიოსათვის ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა.

ბატონმა ნოდარმა სხვებისთვის მაგალითის მიმცემი ცხოვრებით იცხოვრა. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის და საქართველოში ფირმა "ჩაღლარის" საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოების წევრების, პროფესორ-მასწავლებლებისა და მოსწავლეების სახელით მის ოჯახს თანავუგრძნობ.

მინდა, იცოდეთ, რომ ბატონი ნოდარი ყოველთვის იცოცხლებს ჩვენს გულებში.

**მესუთ ბოზქირი**
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის და საქართველოში ფირმა "ჩაღლარის" საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოების თავმჯდომარე

## საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

2004 წლის 21 აპრილს შედგება სახაზინო ვალდებულებების აუქციონი. აუქციონზე გამოტანილი იქნება 7 000, 000 (შვიდი მილიონი) ლარის ღირებულების ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები.

სახაზინო ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება 2004 წლის 3 ნოემბერს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით არაუგვიანეს 2004 წლის 21 აპრილის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

**აუქციონის კომიტეტი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარულავა. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფარულავა, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ასლან აბაშიძის "განეიტრალების" ნათაძისეული გეგმა

პირველი გვერდიდან

**კონსტიტუციის იმ მუხლების გაუქმების თაობაზე, რომლებიც აჭარის უზენაესი საბჭოს დასტურის გარეშე, შეუძლებელს ხდის აჭარის მეთაურის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას. იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო განმცხადებლის მხარეს დადგება და მის მოთხოვნას დააკმაყოფილებს, გაჩნდება იურიდიული შესაძლებლობა იმისა, რომ აღიძრას საქმე ასლან აბაშიძის მიერ გადადგმული ყოველი კანონსაწინააღმდეგო ნაბიჯისთვის, მათ შორის - შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნისა და მოსახლეობისთვის ავტომატური იარაღის დარიგებისთვის. თუ ასეთი საქმეები აღიძრება და ასლან აბაშიძის ხსენებულ ნაბიჯებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იურიდიული კვალიფიკაცია მიეცემა, მაშინ აჭარის მეთაურის შეიარაღებულ ძალებს ჩამოსცილდება ყველა, გარდა იმ პირებისა, რომლებიც მზად არიან, სახელმწიფოს წინააღმდეგ იარაღის გამოყენებაზე წავიდნენ,"** - ასეთია ნოდარ ნათაძის მიერ შემუშავებული, ასლან აბაშიძის "განეიტრალების" გეგმის არსი. ვინაიდან არ არის გამორიცხული, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში საკითხის განხილვის დაწყება გაჭიანურდეს, ნათაძე მოითხოვს, რომ სასამართლომ ყველა სხვა საქმე გადადოს და პირველ რიგში ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე იმსჯელოს.

თუმცა, სახალხო ფრონტის ლიდერი არც იმას გამორიცხავს, რომ ხელისუფლების მიერ არჩეულმა მოლაპარაკებების ტაქტიკამ, ბოლოს და ბოლოს, ნაყოფი გამოიღოს და დადებითი შედეგით დასრულდეს. ამის იმედს ნათაძეს, სხვა გარემოებებთან ერთად, ის ფაქტიც აძლევს, რომ სარფის საბაჟოსა და ბათუმის პორტში პრეზიდენტის რწმუნებულები უპრობლემოდ მუშაობენ.

**"მაგრამ თუ შეთანხმება მაინც ვერ შედგება, მაშინ აჭარის კრიზისის მოსაგვარებლად გამოყენებული უნდა იქნეს ზემოთ დასახელებული იურიდიული პროცედურა და არა იარაღი,"** - აცხადებს სახალხო ფრონტის ხელმძღვანელი.

ამის პარალელურად, ნოდარ ნათაძემ აუცილებლად მიიჩნია, რომ საქართველოს პარლამენტმა დაუყოვნებლივ მოახდინოს ყარსის ხელშეკრულების ინტერპრეტაცია, უკიდურეს შემთხვევაში, მისი ცალკეული ბუნდოვანი მუხლების განმარტება, რათა გამოირიცხოს რუსეთისა და თურქეთის მხრიდან საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის შესაძლებლობა.

**"პარლამენტმა უნდა განაცხადოს, რომ რუსეთის ან თურქეთის მხრიდან ამ ინტერპრეტაციისგან ყოველი გადახვევა განიხილება, როგორც საქართველოს წინააღმდეგ მიმართული აგრესია,"** - მოითხოვს ნათაძე.

ამასთან, იგი აღნიშნავს, რომ ცენტრალურ ხელისუფლებასა და ასლან აბაშიძეს შორის მოლაპარაკებების პროცესს უნდა ჩამოსცილდეს ზურაბ ჟვანია. სახალხო ფრონტის თავკაცის ამ მოსაზრებას საფუძვლად დაედო პრემიერ-მინისტრის ამასწინანდელი განცხადება იმის თაობაზე, რომ აჭარის კრიზისის დაძლევაში საერთაშორისო საზოგადოებაც უნდა ჩაერთოს. ნათაძე ამას კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციად ნათლავს და მას არასწორ გზად მიიჩნევს.



*ნოდარ ნათაძე პოლიტიკურ-სამართლებრივ რეცეპტებს იძლევა.*

# პოლიტიკური მეთოდები აგრესიული დაუმორჩილებლობის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

"ქირურგიული ჩარევის აუცილებლობაზე" საუბრობდა გუშინ პრეზიდენტის უახლოესი გარემოცვის წარმომადგენელი გიგა ბოკერია. **"ცენტრალურმა ხელისუფლებამ ყველა საშუალება უნდა გამოიყენოს აბაშიძის ხელისუფლების წინააღმდეგ,"** – აღნიშნა ბოკერიამ.

ედვარდ სურმანიძის თქმით, აქცენტი გაკეთდება აჭარის ოპოზიციურად განწყობილი მოსახლეობის ქუჩაში გამოყვანაზე და საპროტესტო აქციების გამართვაზე. **"აჭარაში დემოკრატიული მმართველობის დამყარება გარდაუვალია",** - აცხადებს იგი.

სურმანიძე არ გამორიცხავს, რომ უახლოეს მომავალში აჭარაში, აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს.

"ჩვენი აჭარის" ლიდერები აღიარებენ, რომ 18 აპრილისთვის ხულოსა და ქობულეთის საარჩევნო ოლქებში დაგეგმილი განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. **"არჩევნების ჩაუტარებლობა ჩვენთვის დიდი ტრაგედია არ არის, ჩვენ არ გვინდა იარაღის ქვეშ გაკეთებული არჩევანი. სულ მალე ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ უზენაესი საბჭოს არჩევნები დაინიშნება,"** – აცხადებს იგი.

ხაბაზის თქმით, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც გუშინდელ შეხვედრაზე "ჩვენი აჭარის" ლიდერებმა პრეზიდენტისგან მოისმინეს, არის გარანტია იმისა, რომ ცენტრალური ხელისუფლება აბაშიძესთან არანაირ გარიგებაზე არ წავა. მისი თქმით, პრეზიდენტი აბაშიძის წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლას გააგრძელებს, ოპოზიცია კი აბაშიძეს მასობრივი საპროტესტო აქციებით შეაწუხებს. ხაბაზი აღნიშნავს, რომ აჭარაში რაიმე სახის საბრძოლო მოქმედებების ჩატარება კანცელარიაში არ განიხილება, მაგრამ **"თუ აბაშიძემ მშვიდობიან მომიტინგეებსა და ოპოზიციის წარმომადგენლებს ესროლა, მაშინ პრეზიდენტს სხვა გზა არ დარჩება. პრეზიდენტი ვალდებულია, საკუთარი მოქალაქეები დაიცვას,"** – აცხადებს იგი.

**"აბაშიძე არ იძლევა საშუალებას კონსტრუქციულად ვიმოქმედოთ, მაგრამ ჩვენ ვალდებული ვართ, პოლიტიკურ ჩარჩოებს არ გავცდეთ და პრობლემის მშვიდობიანად მოგვარების ყველა საშუალება გამოვნახოთ,"** – ამბობს ბათუმის ყოფილი მერი, ასლან აბაშიძის პირად პატიმრად აღიარებული თენგიზ ასანიძე.

"ჩვენი აჭარის" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ უახლოეს დღეებში კიდევ შეიკრიბებიან, რათა უფრო კონკრეტული სამოქმედო გეგმა ჩამოაყალიბონ.

# ბათუმურმა ბიზნეს-ტურნემ იმედი მხოლოდ მის მონაწილეებს ჩაუსახა

*გუშინდელმა ბათუმურმა ვოიაჟმა თავად ბიზნესმენები იმედიანად განაწყო, თუმცა რატომ – მათ არ დაუკონკრეტებიათ. უცნობია, მოიხიბლა თუ არა ქართველ ბიზნეს-კორიფეებთან შეხვედრით თავად ასლან აბაშიძე.*

ნიკა მარიამიძე

გუშინ, "სამშვიდობო მისიით" ბათუმში კომპანია "კოკა-კოლა საქართველოს" პრეზიდენტი თემურ ჭყონია, გადამხდელთა კავშირის ექსთავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი, "ყაზბეგის" პრეზიდენტი გოგი თოფაძე, "თი-ბი-სი ჯგუფის" ხელმძღვანელი მამუკა ხაზარაძე და გაერთიანებული ქართული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ზაზა სიორიძე ბათუმს ეწვივნენ. ბიზნესმენთა დელეგაციას გადამხდელთა კავშირის ახლად არჩეული თავმჯდომარე ბადრი პატარკაციშვილი ხელმძღვანელობდა.

ვიზიტის წინ პატარკაციშვილი ამბობდა, რომ ბიზნესმენები აჭარაში **"კონკრეტული წინადადებებით და პოზიტიური შედეგების იმედით"** მიდიან.

ასლან აბაშიძესთან გამართული შეხვედრის შემდეგ, ბიზნესმენები ამბობდნენ, რომ აბაშიძემ იმედები არ გაუცრუათ, თუმცა საუბრის კონკრეტული დეტალების გახმაურებას მაინც მოერიდნენ. **"ომი არც ერთ მხარეს არ უნდა. ამ ფონზე არის იმედი, რომ ბიზნესმენები მოახერხებენ ყინულის დაძვრას. ამისათვის ნაბიჯები უკვე გადაიდგა,"** – სჯეროდა გუშინ საღამოს ბათუმიდან დაბრუნებულ პატარკაციშვილს და, იქვე, მასმედიას სთხოვდა, **"ნუ წამოჭრიან მაპროვოცირებელ კითხვებს, რადგან ყველამ უნდა გაიაზროს, რა შეიძლება მოჰყვეს თითოეული ჩვენგანის ქმედებას..."**

ჩანს, "კონკრეტული საკითხების განხილვა" მაინც სამომავლოდ გადაიდო. ნიკო ლეკიშვილის განმარტებით, **"კონკრეტულ საკითხებზე საუბარი შემდეგი ვიზიტისას გახდება შესაძლებელი."**

ისე, თავად აჭარის ავტონომიის მეთაური ასლან აბაშიძე საკითხს დაძრულად სულაც არ მიიჩნევს და აცხადებს, რომ ბიზნესმენებთან მოლაპარაკებები შედეგს უცბად ვერ გამოიღებს... ამასთან, ის მომავალ კვირაში სტუმრებს არცთუ მოუთმენლად ელის: **"მომავალ ვიზიტზე საუბარი რთულია, რადგან, როგორც კი აქ დელეგაციები ჩამოდიან, დედაქალაქში ცუდი ფონი იქმნება..."**

რაც შეეხება პრეზიდენტს, უნდა ვიფიქროთ, რომ ბათუმური ბიზნეს-ტურნე მას არც ისე წარმატებულად ეჩვენა, რასაც ისიც ადასტურებს, რომ უკან დაბრუნებულ ბიზნესმენებთან შეხვედრა არ უჩქარია. სააკაშვილმა მათ შეხვედრა დღეისათვის, ასე, ნაშუადღევის შემდეგ გადაუტანა...

ნაშუადღევამდე, იმედია, ბიზნესმენებისგან განსხვავებით, აბაშიძისგან კონკრეტულ პასუხებს ჩამოიტანს ამერიკის ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი. ის აჭარასა და ცენტრს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებში ჩართვას დღეს დილიდან გეგმავს.

# ბრძოლა აფხაზეთის ლიდერობისათვის

პირველი გვერდიდან

საპრეზიდენტო კანდიდატებად მოიაზრება: სერგეი შამბა, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი; ნოდარ ხაშბა, რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს მაღალჩინოსანი და სერგეი ბაღაფში, ყოფილი პრემიერ-მინისტრი.

ამ მოძრაობას, რომელიც თავის თავს ცენტრისტულს უწოდებს, ამჟამინდელი პარლამენტის წევრთა, დაახლოებით, ნახევარი მხარს უჭერს, მათ შორის, ამჟამინდელი სპიკერი ნუგზარ აშუბა. ორმა მნიშვნელოვანმა აფხაზმა ბიზნესმენმა - ბესლან ბუტბამ და ზაურ მიქვაბიამ ახალ პოლიტიკურ ძალას თავიანთი მხარდაჭერა გამოუცხადეს.

ახალი მოძრაობის დასახელება კრემლის მხარდამჭერი პოლიტიკური პარტიის სახელწოდებას - "ერთიან რუსეთს" ჰგავს. ეს შემთხვევითი დამთხვევა სრულებით არ არის. "რუსეთში მათ "ერთიანი რუსეთი" აქვთ და ამ ანალოგიით ჩვენ აქ უნდა გვქონდეს "ერთიანი აფხაზეთი", - განაცხადა პარტიის ერთ-ერთმა წევრმა დავლეთ პილამ.

"ამ ეტაპზე ორგანიზაციის მთავარი მიზანია პრეზიდენტობის ერთი კანდიდატის შერჩევა მას შემდეგ, რაც სხვადასხვა პარტიებთან და მოძრაობებთან კონსულტაციები ჩატარდება. არჩევნების შემდეგ კი "ერთიანი აფხაზეთი" ძლიერ პოლიტიკურ პარტიად უნდა გარდაიქმნას", - განაცხადა მოძრაობის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა ბატალ ტაბაღუამ.

მმართველი ელიტის წევრების მიერ ახალი მოძრაობის ჩამოყალიბება მოულოდნელი აღმოჩნდა იმ ადამიანისათვის, რომელსაც ყველაზე ხშირად უწოდებდნენ აფხაზეთის მომავალ ლიდერს. ლაპარაკია აფხაზეთის ამჟამინდელ პრემიერ-მინისტრსა და თავდაცვის ყოფილ მინისტრ რაულ ხაჯიმბაზე. მან "ერთიანი აფხაზეთის" შესახებ მხოლოდ მოძრაობის დამფუძნებელი კონგრესის მოწვევამდე ორი დღით ადრე შეიტყო და თანაც, ჟურნალისტებისაგან.

ხაჯიმბა, რომელიც პრემიერად მხოლოდ ერთი წელია, რაც დაინიშნა, თანდათან ზრდიდა თავის გავლენას. "ერთიანი აფხაზეთის" დაფუძნება მისთვის ყველაზე დიდი დარტყმა იყო.

იმის მიუხედავად, რომ საზოგადოების თვალში არაკორუმპირებული და ენერგიული ლიდერია, იგი მთლიანად მმართველ რეჟიმთან არის გაიგივებული, ყველა მისი ჩავარდნით. მან, აგრეთვე, ვერ მოახერხა არძინბას პირადი მხარდაჭერის მოპოვება.



*ვლადისლავ არძინბა საზოგადოებაში, კარგა ხანია, აღარ გამოჩენილა.*

"ისე ჩანს, თითქოს, ხაჯიმბას მისივე პატიოსნება ვნებს – ის პრეზიდენტის ნათესავებს არანაირ გარანტიებს არ აძლევს, რომ არჩევნების შემდეგ იგი მათ ინტერესებს არ შეეხება, - ამბობს ვადიმ სმირი, მთავარი ოპოზიციური პარტიის "აიატაირას" (აღორძინება) ერთ-ერთი ლიდერი, - მისი ბიოგრაფიის გამო, ხაჯიმბას [პრეზიდენტის] ოჯახიც არ ენდობა. ის სახელმწიფო უშიშროებისა და თავდაცვის მინისტრად მუშაობდა."

ამბობენ, რომ არძინბას ფავორიტი კანდიდატი გენადი გაგულია იქნება, ყოფილი პრემიერ-მინისტრი, რომელიც სწორედ ხაჯიმბამ შეცვალა.

აღსანიშნავია, რომ "ერთიან აფხაზეთს" თავად აქვს ერთი კანდიდატის დასახელების პრობლემა. აფხაზეთში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პრეზიდენტის კანდიდატი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში აფხაზეთში უნდა ცხოვრობდეს, რაც ერთ-ერთ გამოკვეთილ ლიდერს ნოდარ ხაშბას არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებას აღარ აძლევს.

დამფუძნებელ კონგრესზე გამოსვლისას ხაშბამ ამ შეზღუდვის მოხსნის საჭიროებაზე, თითქმის, დაუფარავად განაცხადა. მისი თქმით, აფხაზეთში და მის გარეთ მცხოვრები აფხაზები ერთმანეთისგან არ უნდა იქნენ გამიჯნულები.

"მართალია, მე უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში მოსკოვში ვცხოვრობდი, მაგრამ თავს მოსკოველად მაინც არ ვგრძნობ და აფხაზეთსა და ჩვენს ხალხზე ფიქრი არასოდეს შემიწყვეტია," - განაცხადა ხაშბამ. "მაგალითად, როდესაც სოხუმში წყლის გასაფილტრად ქლორი ხდება საჭირო, სხვადასხვა მიზეზების გამო, სწორედ მე ვშოულობ მას, იმის მიუხედავად, რომ სოხუმის მერი მე დიდი ხნის წინ ვიყავი."

"ერთიანი აფხაზეთის" ზოგიერთი წევრი კი შიშობს, რომ აფხაზეთში ცხოვრების მოთხოვნის გაუქმება რუსულ ელიტას ან რომელიმე საზღვარგარეთულ ძალას თავიანთი საპრეზიდენტო კანდიდატების წამოყენების საშუალებას მისცემს.

"არ არსებობს არანაირი გარანტია, რომ ჩვენი არამყარი პოზიციის გამო, ზოგიერთი ცნობილი მსოფლიო ფონდი არჩევნებში მონაწილეობის მიღებას არ მოინდომებს. არსებობს რისკი, რომ ამ მიზნით ისინი დიასპორის წარმომადგენლებს გამოიყენებენ," - ამბობს ბატალ ტაბაღუა. "არ არსებობს პასუხი იმაზე, სურთ ამ ფონდებს დამოუკიდებელი და თავისუფალი აფხაზეთის ხილვა, თუ - არა".

# რუსები სამრეცხაოსა და აბანოს იმეტებენ

პირველი გვერდიდან

დოკუმენტი რუსულ მხარეს მოუმზადებელი ეჩვენა. მოგვეცით, ჩვენ დავამუშავებთო, - შეუთავაზებია სერგეი ივანოვს ქართველი კოლეგისთვის.

კოტე კემულარიას თქმით, გენერალური შტაბიდან ამ შეხვედრას ათი სამხედრო ესწრებოდა. პირველი, რაც გენერალურ შტაბში კემულარიას აცნობეს, ის იყო, რომ როგორც იქნა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დანიშნა სამხედრო-პოლიტიკურ მოლაპარაკებებში საკუთარი წარმომადგენელი, ბატონი საროვსკი. ელჩი დარწმუნებულია, რომ უახლოეს მომავალში მხარეები გუდაუთის სამხედრო ბაზის ერთობლივი ინსპექციის საკითხის დამუშავებას შეუდგებიან.

**"როგორც იქნა, მოგვცეს თანხმობა, საერთაშორისო დამკვირვებლებთან ერთად, გუდაუთის ბაზის ინსპექტირების მიზნით, სამი ქართველი სამხედრო ექსპერტიც ჩაისვან ვერტმფრენში,"** - განაცხადა შეხვედრის შემდეგ საქართველოს ელჩმა. ვალერი ლოშჩინინი კი, კოტე კემულარიას აფრთხილებს, რომ ქართველი სამხედროების უსაფრთხოების გარანტიას მოსკოვი თავის თავზე ვერ აიღებს: **"ქართველი ექსპერტები მხოლოდ რუსული ბაზის ტერიტორიაზე იქნებიან დაცულნი. გარეთ რომ გავლენ და ვინმე მათ თავს დაესხას, რა ვქნათ?"**- კემულარიამ ამ რეპლიკას ირონიით უპასუხა: **"ყველამ ისედაც კარგად იცის, რომ აფხაზები მხოლოდ რუსეთის ბრძანებებს ასრულებენ. ამიტომაც, ბუნებრივია, ქართული მხარე რუსი კოლეგებისაგან ითხოვდა და ითხოვს აფხაზებზე ზეგავლენის მოხდენას. ამას თითქმის ათი წელია, რუსეთი საქართველოს ჰპირდება, მაგრამ ამაოდ."**

**"აფხაზებთან საერთო ენა თქვენ თვითონ გამონახეთ,"** - მოკლედ ჭრის ნირწამხდარი ლოშჩინინი.

გენერალურ შტაბში შეხვედრისას ნაყოფიერი აღმოჩნდა საგარეჯოს სამხედრო ბაზიდან ჯავშანტექნიკის გადაცემაზე მოლაპარაკებები. როგორც ირკვევა, რუსეთის გენერალური შტაბი ამ ეტაპზე თანახმაა, გადმოგვცეს ოთხი სამხედრო ბაზის ინფრასტრუქტურის ობიექტები - სამრეცხაო და აბანო. აი, სპორტდარბაზს კი ჯერ ვერ იმეტებენ.

მიუხედავად რუსეთის გენშტაბის ასეთი სიძუნწისა, რუსეთის პარლამენტში თავშეყრილ რეაქციულად განწყობილ გენერლებს თავად საქართველოსთან მოლაპარაკებების ფაქტიც კი აღიზიანებთ. რუსეთის პარლამენტის ფრაქცია "როდინას" წევრი გენერალი ვიქტორ ალქსნისი აცხადებს: **"აჭარაში ჩემი თვალით ვიხილე, როგორი მომზადებულია მოსახლეობა თბილისის შეტევის მოსაგერიებლად. მათი განიარაღება ზღაპრების სფეროდანაა. პარლამენტში უახლოეს სხდომაზე ამ საკითხს აუცილებლად განვიხილავთ. აჭარაში ჩვენი სამხედრო ბაზაა და ამიტომაც ჩვენ კატეგორიულად წინააღმდეგნი ვართ ბაზის გატანაზე ნებისმიერი საუბრისა. მე რამდენიმე დღის წინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გავაგზავნე სადეპუტატო შეკითხვა ყარსის ხელშეკრულების აქტუალობაზე. მივიღე პასუხი, რომ მოსკოვის შეთანხმებას იურიდიული ძალა ჯერაც არ დაუკარგავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვითარების გამწვავებისას რუსეთი აუცილებლად ჩაერევა. ნებისმიერი მცდელობა აჭარის ავტონომიის სტატუსის შეცვლისა, რუსეთის სამხედრო ჩარევით უნდა აღიკვეთოს. ყარსის ხელშეკრულების თანახმად, აჭარის სტატუსი თურქეთ-საქართველო-რუსეთის მოლაპარკებებით უნდა გაირკვეს."**

რუსეთის პარლამენტის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვიქტორ პავლოვი (ეს ის პავლოვია, ვინც ბელოვეჟის ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა): **"საქართველო რუსული ხიშტების ჩრდილში ყვაოდა და ვითარდებოდა. აქ მარტო საქრთველოს კი არა, რუსეთის უშიშროების საკითხიც წყდება. არავითარ შემთხვევაში რუსეთმა ბაზები საქართველოში არ უნდა დათმოს, პოზიცია არ უნდა შეცვალოს. მინიმუმ თხუთმეტი წელი ჩვენ ვჭირდებით საქართველოს. მისმა დღევანდელმა ხელისუფლებამ, აშშ-ს კარნახით, თვითმკვლელური კურსი არჩია. ამერიკასთან პარტნიორობა აჭარაში ომითა და სრული კატასტროფით დასრულდება. რუსეთის ბაზები ამ ომში საქართველოს ტერიტორიებად დაშლის უკვე დაწყებულ პროცესს შეაჩერებს."**

რუსეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერი ლუბოვ სლისკა: **"პრეზიდენტებმა პუტინმა და სააკაშვილმა უკვე განიხილეს ბაზების საკითხი და გარკვეულ შეთანხმებასაც მიაღწიეს. პარლამენტი მზადაა, პოლიტიკური ნდობისათვის სათანადო ნიადაგი შექმნას, მაგრამ მოლდოვადან და საქართველოდან, დღეს არსებულ ვითარებაში, ბაზების გატანა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. რუსეთმა უკვე დაუშვა დიდი შეცდომა დასავლეთიდან შეიარაღებული ძალების გამოყვანით. როცა ადამიანის უფლებების დაცვაზე ვსაუბრობთ, აქაც და თქვენთანაც, განა რუსი ჯარისკაცი ადამიანი არ არის? მის უფლებებს დაცვა არ სჭირდება? ამიტომ მე ქართველი პოლიტიკოსებისგან ვითხოვ, რუსეთის სამხედრო ბაზების გატანის საკითხის განხილვისას გვერდით გადავდოთ პოლიტიკური სპეკულაცია, ამბიციები, მკაცრი მოთხოვნები შეარბილონ და მოსკოვთან კომპრომისზე წავიდნენ."**

# საგადასახადო დეპარტამენტმა და ფინანსურმა პოლიციამ ობიექტების შემოწმება დაიწყეს

*ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტმა და ფინანსურმა პოლიციამ ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტებს საკონტროლო სალარო აპარატების დასამონტაჟებლად და აღრიცხვიანობის სისტემის წესრიგში მოსაყვანად ერთკვირიანი ვადა მისცეს. ვადის ამოწურვის შემდეგ, ის ურჩი ობიექტები, რომლებიც რამდენიმე გაფრთხილებისა და დაჯარიმების შემდეგაც არ დაამონტაჟებენ საკონტროლო სალარო აპარატებს, დაილუქებიან. ფინანსთა სამინისტროში კატეგორიულად აღნიშნავენ, რომ სადამსჯელო ღონისძიებები მკაცრი იქნება.*

სოფიკო ოხანაშვილი

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საგადასახადო დეპარტამენტისა და ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელებმა ჟურნალისტებს პირველი სამუშაო დღის შედეგები გააცნეს.

14 აპრილს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტისა და ფინანსური პოლიციის თანამშრომლების ერთობლივმა ჯგუფმა თბილისში, ქუთაისსა და გორში განთავსებულ ავტოგასამართ სადგურებში საკონტროლო სალარო აპარატების გამოყენების მდგომარეობა შეამოწმეს. შემოწმებული 236 ობიექტიდან 27 ობიექტი დაიხურა. აქედან 12 ობიექტი თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონშია განლაგებული, დანარჩენი 15 ობიექტი კი – გორში. სერიოზული დარღვევები აღმოაჩინეს 93 ობიექტზე. დარღვევებია აღმოჩენილი ისეთი მსხვილი კომპანიების ავტოგასამართ სადგურებზე, როგორიცაა "ლუკ ოილი", "ეკო ჯორჯია" და სხვები. აღმოჩენილი დარღვევისათვის საჯარიმო სანქციების სახით დარიცხულმა თანხამ 55 ათას 800 ლარი შეადგინა.

ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელის დავით კეზერაშვილის განცხადებით, ერთკვირიანი ვადის ამოწურვის შემდეგ საგადასახადო დეპარტამენტი ფინანსურ პოლიციას იმ ურჩი ობიექტების სიას გადასცემს, რომლებმაც არ გაითვალისწინეს გაფრთხილება და ერთი კვირის ვადაში არ დაამონტაჟეს საკონტროლო სალარო აპარატები. ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელის თქმით, კანონის მოთხოვნათა დარღვევის გამო, სავაჭრო და მომსახურების ობიექტები მკაცრად დაისჯებიან. **"ობიექტები ჯერ დაჯარიმდებიან, ხოლო კანონის ორჯერ დარღვევის შემთხვევაში ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს ობიექტები დაილუქებიან",** - განაცხადა მან.


მარიკა ახვლედიანის ფოტო

*კეზერაშვილი და გალეგაშვილი სავაჭრო ობიექტებს ერთკვირიან ვადას აძლევენ.*

კანონის მიხედვით, სალარო აპარატის გარეშე მუშაობა 300 ლარიდან 1200 ლარამდე ოდენობის ჯარიმით ისჯება. ჯარიმის ოდენობა დარღვევის ხასიათის მიხედვით განისაზღვრება.

გუშინ ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტისა და ფინანსური პოლიციის თანამშრომლების ერთობლივმა ჯგუფმა თბილისში განთავსებული "საზკვების" ობიექტები და მსხვილი რესტორნებიც შეამოწმეს.

# შესაძლოა, "საფოსტო ბანკის" აქტივები "სახალხო ბანკმა" იყიდოს

*"საფოსტო ბანკის" ყველა ორგანოს უფლებამოსილება შეჩერებულია. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დანიშნული დროებითი ადმინისტრაცია, რომელსაც, სებ-ის განკარგულებით, "საფოსტო ბანკის" ყველა დოკუმენტაცია და რეკვიზიტი გადაეცა, ბანკში 2 მაისამდე იმუშავებს და შექმნილი ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებას შეეცდება. ფინანსების მოწესრიგებას კი, გავრცელებული ინფორმაციით, დროებითი ადმინისტრაცია "საფოსტო ბანკის" აქტივების გაყიდვის მეშვეობით გეგმავს.*

ნინო ნარჩემაშვილი

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, "საფოსტო ბანკში" ამჟამად მიმდინარეობს ინვენტარიზაცია და ბანკის ყოფილი კლიენტების ინფორმირება მათი კუთვნილი თანხების გაყინვის ან ბლოკირების შესახებ. განსაზღვრულია აგრეთვე ფინანსების სისტემაში მოყვანისათვის აუცილებელი ღონისძიებები. რაც შეეხება "საფოსტო ბანკის" აქტივებს, ჯერჯერობით უცნობია, ვინ გახდება მათი მფლობელი. როგორც ცნობილია, "საფოსტო ბანკის" კუთვნილებაში 35 ფილიალი (შესაბამისად, შენობები, სადაც ფილიალებია განთავსებული) შედის. ბანკის ერთ-ერთ აქტივს "კახეთის ენერგოკომპანიაც" წარმოადგენს. ფილიალების შესყიდვის მსურველთა შორის "სახალხო ბანკი", ხოლო აქტივების შემსყიდველთა შორის გერმანელი ინვესტორები და "ხადორჰესის" მშენებელი აღმოსავლური ენერგოკორპორაცია სახელდებიან.

სახალხო ბანკის გენერალური დირექტორის გიორგი გოგუაძის განცხადებით, **"თუ დროებითი ადმინისტრაციის მიერ "საფოსტო ბანკის" კუთვნილი აქტივების შეფასებისა და მათი ნომინალური ღირებულების განსაზღვრის შემდეგ შენობების გაყიდვის საკითხი დადგება, არ არის გამორიცხული, რომ "სახალხო ბანკმა" ისინი შეიძინოს. მით უმეტეს, რომ "სახალხო ბანკის" კლიენტების ოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ამასთან მოხდა ბანკის მომხმარებელთა კონცენტრირება მათი საცხოვრებელი ადგილების შესაბამისად. ამდენად, სერვისის ქსელის გაფართოება უკეთესი მომსახურების საშუალებას შექმნის".**

აღსანიშნავია, რომ სახალხო ბანკი, რომელსაც დღეისათვის საქართველოში მომსახურების ყველაზე ფართო ქსელი (70 ფილიალი და 50 მომსახურების ცენტრი) გააჩნია, უზრუნველყოფს პენსიებისა და ლტოლვილთათვის განკუთვნილი შემწეობების გაცემას. აქედან გამომდინარე, მას, შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანი, სპეციფიკური და მრავალრიცხოვანი კლიენტურის მომსახურება უწევს, ვისთვისაც მომსახურების ქსელის გაფართოება მნიშვნელოვანია.

# ფინანსური პოლიცია და "ყაზბეგი"

პირველი გვერდიდან

ფინანსური პოლიცია ოფიციალურ კომენტარს თავს არიდებს, თუმცა მისი პრესსამსახური ადასტურებს, რომ აღნიშნულ კომპანიებთან დაკავშირებით მოკვლევა მართლაც მიმდინარეობს. რაც შეეხება "ყაზბეგს", "24 საათის" კითხვებს მისი იურისტი გოჩა გოგეშვილი პასუხობს:

**- გავრცელდა ინფორმაცია, რომ კომპანია "ყაზბეგს" "ბაადურთან" დაკავშირებული მაქინაციების გამო 1.5 მილიონი ლარი ჩამოაჭრეს...**

- ასეთი არაფერი გაგვიგია. რა თქმა უნდა, ფინანსურ პოლიციას აქვს უფლება გადაამოწმოს, გამოიკვლიოს სხვადასხვა საკითხები, მაგრამ თანხის ჩამოჭრა ასე არ ხდება. ჯერ ერთი, ამისათვის სპეციალური პროცედურები არსებობს; მეორეც, ასეთი თანხა "ყაზბეგს" არც უზის ახლა ანგარიშზე.

**- ამ საკითხზე, საერთოდ, თუ არის საუბარი?**

- რამდენადაც ვიცი, ფინანსური პოლიცია ერთ-ერთ ხელშეკრულებაზე მუშაობს, რომელიც "ყაზბეგსა" და "ბაადურს" შორის გაფორმდა, მაგრამ ის არანაირად არ უკავშირდება იმ მაქინაციებს, რის გამოც "ბაადური" გამოიჭირეს. ხელშეკრულება წელიწადნახევრის წინ დაიდო და დადების დღიდან საგადასახადოშიც დევს. ამის შემდეგ კომპანიის შემოწმებაც ჩატარდა, თუმცა არანაირი პრობლემა არ შექმნილა. გასაგებია, რომ ახლა ფინანსური პოლიცია დაინტერესდა და "ბაადურის" ყველა ნაბიჯს სწავლობენ. არანაირი პრობლემა არ არის. კომპანია მზად არის, ყველა დოკუმენტაცია წარმოადგინოს. ეს ღია ინფორმაციაა და როგორც გითხარით, მისი დამადასტურებელი ხელშეკრულება საგადასახადოშიც არსებობს.

**- "ყაზბეგმა" თუ იცოდა, რომ "ბაადური" აქტივებს აყალბებდა?**

- როცა "ყაზბეგს" აქციზური მარკები სჭირდება, მათ ფინანსთა სამინისტროსგან ყიდულობს. ამ შემთხვევაში მოხდა ასე: "ბაადური" "ყაზბეგში" მოვიდა წინადადებით, რომ აქციზურ მარკებს ფლობდა და შეეძლო, გარკვეული შეღავათით მიეცა "ყაზბეგისთვის", სანაცვლოდ კი მიიღებდა 10 პროცენტს რეალიზაციის შემდეგ. "ყაზბეგმა" ინფორმაცია ფინანსთა სამინისტროსა და საგადასახადოში გადაამოწმა. მათ დაადასტურეს, რომ "ბაადურზე" მართლაც გაიცემოდა აქციზური მარკები და ისინი წინააღმდეგი არ იყვნენ, რომ "ყაზბეგს" მისგან მიეღო მარკები. დოკუმენტი საგადასახადოშიც მივიტანეთ და არავის პრეტენზია არ გამოუთქვამს. რა ფორმით ახერხებდა "ბაადური" აქციზური მარკების მოპოვებას, ეს ჩვენი პრობლემა არ იყო. ჩვენ ვიცოდით, რომ ფული სახელმწიფოსთვის გადახდილი იყო და მორჩა. ამასთან, ჩვენ "ბაადურს" ხელშეკრულებაში ჩავუდეთ, რომ აქციზური მარკები კანონით გათვალისწინებული წესით უნდა მიეღოთ. ამით თავი დავიზღვიეთ.

**- კანონი გაძლევთ იმის საშუალებას, რომ აქციზური მარკა კერძო კომპანიისგან მიიღოთ?**

- ასეთი რაღაც ადრე არც დაგვჭირვებია. ყოველთვის ვყიდულობდით ფინანსთა სამინისტროსგან. ამ შემთხვევაში, მარკები ფინანსთა სამინისტრომ გასცა "ბაადურზე", ჩვენ კი განგვიცხადა, რომ პრობლემა არ იქნებოდა.

მოკლედ, "ყაზბეგის" იურისტი ხელს ფინანსთა სამინისტროსა და საგადასახადო სამსახურისკენ იშვერს, იქ კი დღეს უკვე აღარავინ მუშაობს, ვინც აღნიშნულ კომბინაციასთან იყო დაკავშირებული, ამიტომ მათგან კომენტარების აღება ვერ მოხერხდა. "ყაზბეგის" იურისტმა კი "24 საათის" კითხვას იმის თაობაზე, აპირებს თუ არა კომპანია სადავო 1,5 მილიონის გადახდას, ასე უპასუხა: **"მობრძანდნენ და ნახონ, ყველა დოკუმენტაცია შეამოწმონ და თუ ფინანსური პოლიცია ან სხვა ვინმე გადაწყვეტს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი "ყაზბეგის" გამო დაზარალდა, კომპანია ყველა დაკისრებულ ვალდებულებას გადაიხდის".**

# ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ეძებს პროექტებს კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) ბანკის ნიდერლანდების ნახშირის საბადოების ფონდის (Netherlands EBRD Carbon Fund) საქმიანობა დაწყებულად გამოაცხადა. ამ ფონდის მეშვეობით, წმინდა განვითარების მექანიზმების გამოყენებით, ბანკი ნიდერლანდებისთვის ნახშირის საბადოების კრედიტებს იყიდის. ამ ინიციატივასთან დაკავშირებით, EBRD პროექტებს ახლა საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთში და უზბეკეთში ეძებს. პროექტები წმინდა განვითარების მექანზმებს უნდა შეესაბამებოდეს.

EBRD-მა ჰოლანდიურ კომპანია "Cap SD"-ს დაავალა თანამშრომლობა კომიტეტთან, რომელიც პროექტების მოსაძებნად პროექტს ამზადებს. პროექტის პირველ სტადიაზე (2004 წლის მარტი) მიმდინარეობს კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან მიღებული წინადადების ინვენტარიზაცია, რომლებიც ექვემდებარება წმინდა განვითარების მექანიზმს. მეორე სტადიის (2004 წლის აპრილი) პირობებში იგეგმება წინადადებების განხილვა და პროექტების მოკლე სიის შედგენა. შემდეგ შეირჩევა ერთი პროექტი, რომელიც სამაგალითოდ დამუშავდება.

წმინდა განვითარების პროექტებით EBRD ნავთობისა და გაზის, ენერგიის წარმოება-ტრანსპორტირების, განახლებადი ენერგეტიკისა და მრეწველობის სხვა დარგებშია დაინტერესებული.

კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში წმინდა განვითარების მექანიზმის შესრულება მხოლოდ საწყის ეტაპზეა. პროექტების მხარდამჭერი ინსტიტუციონალური ჩარჩოები კი - განვითარების სტადიაში. შესაბამისად, პროექტების შერჩევისას, EBRD მონაწილე ქვეყნების პოლიტიკურ და ინსტიტუციონალურ პირობებს გაითვალისწინებს.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი რაულ ხაჯიმბა აცხადებს, რომ ქართული მხარის მონაწილეობა აფხაზეთის ტერიტორიაზე რკინიგზის აღდგენაში დაუშვებელია. მან აღნიშნა, რომ რკინიგზის აღდგენასთან დაკავშირებულ საკითხებს გადაწყვეტს აფხაზური მხარე და ის, ვინც უშუალოდ იქნება ჩართული სარემონტო სამუშაოებში, ანუ რუსეთი: "საქართველომ შესაბამისი სამუშაოები თავის ტერიტორიაზე უნდა ჩაატაროს, აფხაზეთი კი თავად გადაწყვეტს, ვისთან იმუშაოს ამ მიმართულებით." **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მაისიდან ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ათასამდე თანამშრომლის ატესტაცია დაიწყება. საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის დავით გალეგაშვილის განცხადებით, თავდაპირველად ატესტაციას მსხვილგადამხდელთა ინსპექციის თანამშრომლები გაივლიან, ხოლო შემდგომში ეტაპობრივად მოხდება თბილისის, აღმოსავლეთ, დასავლეთ საქართველოს და ბოლოს აჭარის რეგიონის საგადასახადო ინსპექციების თანამშრომელთა ატესტაცია. ის თანამშრომლები, რომლებიც ატესტაციას ვერ გაივლიან, თანამდებობრივად ჩამოქვეითდებიან ან გათავისუფლდებიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტრო ერაყიდან რუსული კომპანიების თანამშრომელთა ევაკუაციას იწყებს. ძირითადად, ისინი რუსული ფირმების - "ინტერენერგოსერვისის" და "ტენქნოპრომექსპორტის" თანამშრომლები არიან. ერაყში მარტო რუსეთის ყველაზე მსხვილი ორგანიზაციის - "ტექნოპრომექსპერტის" 360 კაცი მუშაობს. რუსეთის ხელისუფლებამ ევაკუაციის შესახებ გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ორშაბათს ბოევიკებმა ერაყში მომუშავე რუსეთის ენერგეტიკული კომპანიის "ინტერენერგოსერვისის" 8 თანაშრომელი მძევლად აიყვანეს. სამშაბათს სპეციალისტები, რომელთაგან 5 უკრაინელი და 3 რუსია, ექსტრემისტებმა გაათავისუფლეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ს/ს "კამვოლნართი" საქართველოს მთავრობას შეღავათიან კრედიტს სთხოვს. გუშინ ეკონომიკის მინისტრმა ირაკლი რეხვიაშვილმა კომბინატი მოინახულა, რომელიც, ძირითადად, ტრიკოტაჟის ნაწარმს უშვებს. სააქციო საზოგადოების დირექტორის ომარ ჯანჯალიას თქმით, საწარმოს 5 მილიონი დოლარი ესაჭიროება, რათა სრული დატვირთვით იმუშაოს. მისივე თქმით, ამ თანხიდან 2,5 მილიონს ინვესტიციების სახით იტალიური კომპანია გაიღებს, 2,5 დოლარის მოძიებაში კი საწარმოს სახელმწიფო უნდა დაეხმაროს. **ინტერ-პრესი**


საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
მიერ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე
**გამოცხადებულია კომერციული კონკურსი**
**ფიჭური სატელეფონო კავშირით**
**მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად**

ლიცენზიის სახე: სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობა.
ლიცენზიის სახეობა: ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურება.
ლიცენზიის საგანი: ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურება
1745,1-1760 მგჰც (გადაცემაზე) და 1840,1-1855 მგჰც (მიღებაზე)
სიხშირულ დიაპაზონში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

**სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა - 1 026 000 (მილიონ ოცდაექვსი ათასი) ლარი.**

**ლიცენზიის მაძიებლების განცხადებები მიიღება 2004 წლის 16 სექტემბრის 17:00 საათამდე**

**კომერციული კონკურსი ჩატარდება**
**2004 წლის 12 ნოემბერს, 12:00 საათზე**

**გამარჯვებული გამოვლინდება აუქციონის წესით**

ფიჭური სატელეფონო ქსელით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელმა კომისიას უნდა მიმართოს განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
ა) ფიზიკური პირისთვის – სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, რეგისტრაციის მონაცემები, მისამართი, მოქალაქეობა;
ბ) იურიდიული პირისთვის – საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, მონაცემები დამფუძნებლების შესახებ;
გ) ლიცენზიის სახე, რომლის მიღებასაც მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;
დ) ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურების გავრცელების გეოგრაფიული ზონის დაფარვის გრაფიკი და პრაქტიკული საქმიანობის დაწყების ვადა.
ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:
ა) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.
ბ) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე. ლიცენზიის მიუღებლობის შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს აღნიშნული თანხა დაუბრუნდება საბანკო მომსახურების ხარჯების გამოკლებით, კომისიისთვის თანხის დაბრუნების შესახებ წერილობითი განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი დარჩენილ თანხას იხდის ლიცენზიის გაცემის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილი წესის შესაბამისად.
გ) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები; ფიზიკური პირისათვის – აგრეთვე პირადობის მოწმობის ასლი;
დ) განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკური პროექტი, რომელმაც სამშენებლო, სანიტარიულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური ექსპერტიზის და სათანადო ნებართვების უზრუნველყოფის მიზნით ექსპერტიზა უნდა გაიაროს კომისიასთან შექმნილ მუდმივმოქმედ ქვეკომისიაში. ლიცენზიის მაძიებელი კონკურსზე დაიშვება ქვეკომისიის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში.
კონკურსში მონაწილეობის უფლება არა აქვს პირს, რომელიც კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში GSM 1800 მგჰც სიხშირულ დიაპაზონში რესურსის საერთო მოცულობის 50%-ის ან მეტის მფლობელი გახდება.
კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადებისა და დოკუმენტაციის კომისიისთვის საფოსტო გზავნილების სახით მიწოდება დაუშვებელია.
კონკურსის პირობებია:
ა) კომისიისათვის წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებების ევროპულ ჰარმონიზებულ სტანდარტებთან შესაბამისობა;
ბ) ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურების გავრცელების გეოგრაფიული ზონის დაფარვის ვალდებულება (არაუმეტეს სამი წლის ვადაში ლიცენზიის გაცემიდან).
გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური სალიცენზიო გადასახდელის გადახდა.
საკონკურსო სხდომაზე ლიცენზიის მაძიებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის დასწრება სავალდებულოა;
ფიჭური სატელეფონო ქსელით მომსახურებაზე ლიცენზია გაიცემა კონკურსში გამარჯვებულის მიერ სალიცენზიო გადასახდელის 30%-ის (ლიცენზიის მაძიებლის მიერ გადახდილი სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10 %-ის გამოკლებით) გადახდიდან 7 სამუშაო დღის ვადაში. სალიცენზიო გადასახდელის დარჩენილი ნაწილის გადახდის ვადა და პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, მისამართზე:
**თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N 42 ტელ.: 921667 ფაქსი: 921625**

# „თქვენ ნახავთ, როგორ კვდება იტალიელი"

ეს სიტყვები 36 წლის იტალიელ მძევალს ფაბრიციო კუატროჩის ეკუთვნის. ის ერაყელებმა რამდენიმე დღის წინ მძევლად აიყვანეს და გუშინ სიკვდილით დასაჯეს. მისი მკვლელობის კადრები კი ვიდეოფირზე გადაიღეს და არაბულ ტელეკომპანია "ალ-ჯაზირას" გაუგზავნეს, რომელმაც, აღბეჭდილი სცენის სისასტიკის გამო, მისი ეთერში გაშვება ვერ გაბედა. თუმცა, ეს ფირი ნახა ყატარში კოალიციის სარდლობამ და იტალიის ელჩმაც. და ბოლოს, ეს ფირი იხილა თავად იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკო ფრატინიმ. **"ის გმირულად მოკვდა,"** - განუცხადა ფრატინიმ სააგენტო "როიტერს." მისი თქმით, როდესაც მკვლელებმა მას პისტოლეტი დაუმიზნეს, კუატროჩი შეეცადა, თავიდან მოეძრო კაპიუშონი და დაიყვირა: **"თქვენ ნახავთ, როგორ კვდება იტალიელი."**


ფაბრიციო მოკლეს.

ერაყელებმა ვიდეოფირთან ერთად თავიანთი შეტყობინებაც გამოაგზავნეს, სადაც ისინი აცხადებენ, რომ მძევალი მოკლეს, რადგან იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ ერაყიდან ჯარების გაყვანაზე უარი განაცხადა. **"მას არ ადარდებს იტალიელ მძევალთა სულები. მას მხოლოდ ის სურს, რომ მის პატრონებს თეთრ სახლში თავი მოაწონოს,"** - აცხადებენ ერაყელები.

მათ ტყვეობაში კიდევ სამი იტალიელი რჩება. დაზუსტებული მონაცემებით, ერაყში ასევე გატაცებულნი არიან ჩეხეთის, ამერიკის, კანადის და ისრაელის მოქალაქეები. რაც შეეხება სამ იაპონელ მძევალს, ისინი გუშინ გაათავისუფლეს.

მოკლული ფაბრიციო კუატროჩი და დანარჩენი სამი იტალიელი მძევალი ერთ-ერთი კომპანიის უსაფრთხოების სამსახურში მუშაობდნენ. კუატროჩი ოჯახთან ერთად გენუაში ცხოვრობდა და დაცვის კერძო კომპანიაში მსახურობდა. ერაყში ის გასული წლის ნოემბერში ჩავიდა, ისე, რომ ოჯახმა ეს არ იცოდა. მან დედას განუცხადა, რომ კოსოვოში მიემგზავრებოდა, რათა მშობლებს არ ენერვიულათ. მას შემდეგ, რაც დედამ შვილის მკვლელობის შესახებ შეიტყო, გულის შეტევით საავადმყოფოში მოხვდა. ყველა იტალიური გაზეთის პირველ გვერდზე ფაბრიციო კუატროჩის დიდი ფოტოა გამოქვეყნებული, რომელსაც ქვევით აწერია: ფაბრიციო მოკლეს.

გუშინვე იტალიის საზოგადოების წინაშე წარდგა პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი. **"მათ გაანადგურეს ადამიანის სიცოცხლე, მაგრამ ვერ შეძლეს ჩვენი ღირებულებების და ძალისხმევის განადგურება, რაც მშვიდობისკენაა მიმართული,"** - განაცხადა სილვიო ბერლუსკონიმ. მისი თქმით, იტალია ერაყიდან ჯარებს არ გამოიყვანს და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, პარტნიორებთან ერთად, ბოლომდე მიიყვანს.

# შარონის სამშვიდობო გეგმა - კონფლიქტის მოგვარების გზა თუ რეესკალაცია

*პრეზიდენტი ბუში მხარს უჭერს ისრაელის პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის "დაშორიშორების გეგმას", და ამით საკმაოდ სერიოზულ ცვლილებებს აფიქსირებს ისრაელ-პალესტინის კონფლიქტისადმი აშშ-ს დღემდე არსებულ პოლიტიკაში.*


*პრემიერ-მინისტრმა შარონმა აშშ-ს პრეზიდენტი მოხიბლა.*

მაინც, რა შეიცვალა აშშ-ს მიდგომებში? პირველ რიგში, თუ აქამდე აშშ-ს ადმინისტრაცია აცხადებდა, რომ ისრაელის მიერ 1967 წელს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ახალშენების შექმნა უკანონო ქმედებაა საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით და, აქედან გამომდინარე, სამშვიდობო პროცესისთვის მთავარ წინააღმდეგობას წარმოადგენს, დღეს, პრეზიდენტი ბუში ამტკიცებს, რომ არსებული მდგომარეობიდან და უწინარესად, იქიდან გამომდინარე, რომ აქ უკვე არსებობს მასშტაბური ებრაული დასახლებები, ოკუპირებული ტერიტორიის სრული დატოვება ისრაელის მიერ ამ ეტაპზე არარეალურად გამოიყურება. რაც შეეხება პალესტინელ ლტოლვილებს, ბუში აცხადებს, რომ რეალურია და სამართლიანიც იქნება მათი დაბრუნება პალესტინის სახელმწიფოში, და არა ისრაელში. ეს საკითხები წინ არის წამოწეული "საგზაო რუკის" გეგმაშიც. თუმცა, ბუშის ერთ-ერთი განცხადება შესაბამისობაში არ მოდის "საგზაო რუკის" დამტკიცებულ ტექსტთან. იგი ამბობს, რომ ისრაელის ქმედებებში აშკარაა პროგრესი ახალშენების გაზრდის შეწყვეტის პროცესში, მაშინ, როცა "საგზაო რუკაში" ერთმნიშვნელოვნად ნათქვამია, რომ ისრაელმა უნდა "გაყინოს" ახალშენების რიცხვი, მათ შორის - უკვე არსებულებში მოსახლეობის ზრდის მხრივ, და არა - შეამციროს მათი ზრდის ტემპი.

ძნელია ვიწინასწარმეტყველოთ, რას მოუტანს პოლიტიკის ამგვარი ცვლილებები აშშ-ს საბოლოო ჯამში, თუმცა ახლავე ჩანს, რომ ამის შემდეგ ნეიტრალიტეტის შესახებ აშშ-ს განცხადებები კონფლიქტის მეორე მხარისათვის ყოველგვარ აზრს კარგავს. გუშინვე პალესტინელები აცხადებდნენ, რომ აშშ პირუთვნელი შუამავალი ველარ იქნება. აღსანიშნავია, რომ პალესტინის ადმინისტრაციის მეთაურმა იასირ არაფატმა კატეგორიულად უარყო ისრაელის სამშვიდობო გეგმა. არაფატის ემოციურ სატელევიზიო გამოსვლაში ხაზი გაესვა, რომ იგი ვერ შეეგუება ისეთ მდგომარეობას, როცა პალესტინის ბედს ამერიკა და ისრაელი წყვეტს. იგი აცხადებს, რომ ეს გეგმა ვერ მოიტანს მშვიდობას - პირიქით, დაპირისპირებას გააძლიერებს. **"ჩვენი ბიჭები პალესტინის დროშას იერუსალიმზე, მის მეჩეთებსა და ტაძრებზე აღმართავენ,"** - იმუქრება არაფატი. პალესტინის ხელისუფლების მტკიცებით, ახალი სახელმწიფოს საზღვრები ისრაელსა და პალესტინას შორის მოლაპარაკებებით უნდა დადგინდეს და 1967 წლის მდგომარეობას უნდა შეესაბამებოდეს, ანუ აღდგენილი უნდა იქნეს შვიდდღიან ომამდე არსებული *სტატუს-ქვო*. პალესტინის ლიდერის აზრით, მშვიდობა არ დამყარდება მანამ, სანამ აღიარებული არ იქნება პალესტინელების დაბრუნების უფლება. ლაპარაკია იმ არაბთა შთამომავლებზე, რომლებმაც ეს ტერიტორია გასული საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბებისას დატოვეს.

ისრაელისათვის სრულიად მიუღებელია საკითხის ამგვარად დაყენება და აცხადებს, რომ არაბები მაშინ ნებაყოფლობით წავიდნენ, ხოლო დღეს მათი დაბრუნება ებრაელებს საკუთარ სახელმწიფოში უმცირესობად აქცევს. ამასთანავე, ისრაელში მოქმედებს საკუთარი "კანონი დაბრუნების შესახებ", რომელიც ისრაელში ცხოვრების მსურველ ყველა ებრაელს საშუალებას აძლევს, ისრაელის მოქალაქეობა მიიღოს.

გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი თავშეკავებულად და, ცოტა არ იყოს, გაუგებრად გამოეხმაურა შარონის გეგმას. მან განაცხადა, რომ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების ნებისმიერი გეგმა გაერო-ს რეზოლუციებს უნდა ემყარებოდეს. თუმცა, მისი ეს სიტყვები ბევრისათვის მაინც ისრაელის პოლიტიკის კრიტიკად იქნა აღქმული.

ევროკავშირი, თავის მხრივ, მიიჩნევს, რომ საზღვრების ცვლილებები ორივე მხარის თანხმობის გარეშე დაუშვებელია. "ევროკავშირი არ ცნობს 1967 წლამდე არსებული საზღვრების რაიმენაირ ცვლილებას ორივე მხარის თანხმობის გარეშე", - ევროკავშირის სახელით აცხადებს ირლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბრაიან კოუენი. კოუენის სიტყვებით, "საგზაო რუკის" სახელით ცნობილი, ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო დარეგულირების გეგმის თანახმად, ამ კონფლიქტის გადასაჭრელად შემუშავებული ნებისმიერი პროექტი "უნდა მოიცავდეს ლტოლვილთა საკითხის შეთანხმებულ, სამართლიან და რეალისტურ გადაწყვეტას".

რა შეიძლება მოხდეს, თუ შარონის გეგმა მაინც განხორციელდება? ებრაელები იმედოვნებენ, რომ გეგმის განხორციელების შემთხვევაში კამიკაძე-ტერორისტების მიერ მოწყობილი აფეთქებები საგრძნობლად შემცირდება და ებრაელებისათვის საჭირო აღარ იქნება ლოდინი, თუ პალესტინის ხელმძღვანელობა ისრაელთან მოლაპარაკებებისათვის მზად როდის იქნება. ამავდროულად, ასობით ათასი პალესტინელი გაექცევა დამთრგუნველ საოკუპაციო რეჟიმს, თუმცა, ისრაელის არმია შემოსაზღვრული ტერიტორიიდან ხელახალი თავდასხმის მოგერიებისათვის საკმაო ძალას შეინარჩუნებს. მთავარი საფრთხე ის არის, რომ ახალ პირობებში, ანუ როდესაც მხარეები დაშორიშორდებიან, კონფლიქტი გაიყინება და ისრაელ-არაბული პრობლემის უფრო ფართო გადაწყვეტის საქმეში რაიმე პროგრესის მიღწევა ძალიან გართულდება.

# ბინ ლადენს ევროპასთან მშვიდობა სურს

ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ანალიტიკოსები და კრიპტოგრაფები უკვე მერამდენედ იმტვრევენ თავს იმის დასადგენად, ეკუთვნის თუ არა ტელეკომპანია "ალ-ჯაზირას" ეთერში გაშვებული ხმა მსოფლიოს ნომერ პირველ ტერორისტს ოსამა ბინ ლადენს. არაბულმა ტელეარხმა აუდიოჩანაწერი გუშინ გადასცა, სადაც მამაკაცი, რომელიც თავის თავს ოსამა ბინ ლადენს უწოდებს, ევროპის ქვეყნებს დაზავებისაკენ მოუწოდებს. როგორც ჩანს, სწორედ ამან დააეჭვა დასავლეთის სპეცსამსახურები აუდიოჩანაწერის სანდოობაში, რადგან მათ წარმოდგენაში ბინ ლადენი ზავისგან და მშვიდობისგან საკმაოდ შორს დგას.

**"თუკი თქვენ მუსულმანებზე თავდასხმებს შეწყვეტთ, მე მშვიდობას გთავაზობთ,"** - უცხადებს ოსამა ბინ ლადენი ევროპის ქვეყნების მეთაურებს. იქვე, "ალ-ქაიდას" ლიდერი სარგებლობს შემთხვევით და უკვე მერამდენედ უთვლის მუქარას ისრაელს და შეერთებულ შტატებს. "ჰამასის" სულიერი ლიდერის შეიხ აჰმედ იასინის მკვლელობისათვის, ბინ ლადენი ისრაელის მთავრობას და ებრაელ ხალხს საშინელ შურისძიებას ჰპირდება. ის ასევე საუბრობს მადრიდში ა.წ. 11 მარტს და აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ტერაქტების შესახებაც. ბინ ლადენის თქმით, ეს იყო შურისძიება ერაყში, ავღანეთსა და პალესტინის ტერიტორიებზე აშშ-ს და ესპანეთის მიერ წარმოებული პოლიტიკის გამო. **"ის, რაც მოხდა 11 სექტემბერს და 11 მარტს, ეს იყო ის საქონელი, რაც თქვენ უკან დაგიბრუნდათ, რათა თქვენ იცოდეთ, რომ უსაფრთხოება ყველას სჭირდება,"** - აცხადებს ის.


*ბინ ლადენი.*

**"დაზავება გამოცხადდება მაშინ, როცა უკანასკნელი ჯარისკაცი დატოვებს ჩვენს მიწას, და კარები ღია იქნება კიდევ სამი თვის განმავლობაში დაზავების შესახებ განცხადების გაკეთებიდან. ის, ვინც ზავზე უარს განაცხადებს და სურს ომი, ჩვენ - ომის შვილები, რომლებსაც ეს ზავი გვსურს, ამ ომზეც თანხმობას ვიტყვით,"** - ამბობს ბინ ლადენი.

ამდენად, ის მშვიდობას სთავაზობს ევროპას, ხოლო აშშ-ს და ისრაელის წინააღმდეგ ომის გაგრძელებას სიცოცხლის ბოლომდე აპირებს.

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, ბინ ლადენის აუდიოჩანაწერი ეთერში სულ რამდენჯერმე გავიდა. უკანასკნელად ისევ ტელეკომპანია "ალ-ჯაზირამ" გადასცა მისი განცხადების ტექსტი, სადაც "ალ-ქაიდას" ლიდერი ერაყის და არაბული ქვეყნების ოკუპაციას გმობდა და პარტიზანულ ომს სრულ მხარდაჭერას უცხადებდა. მაშინ, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ანალიტიკოსებმა დაადასტურეს, რომ ეთერში მართლაც ბინ ლადენის ხმა იყო გადაცემული. რაც შეეხება უკანასკნელ განცხადებას, გამორიცხული არ არის, რომ "ალ-ქაიდას" ლიდერი ევროპას ზავს მართლაც სთავაზობდეს და ამით საერთაშორისო ანტიტერორისტული კამპანიიდან მისი გამოთიშვა სურდეს. ეს მას მოქმედების საშუალებას, რასაკვირველია, გაცილებით გაუადვილებს.



# „ოსებსაც და ქართველებსაც მშვიდობა გვინდა"



ჩვენც გაქცევაზე გვაქვს თვალი.

*ახალგორის სოფელ ყანჩავეთში ოთხმოცამდე ოჯახი ცხოვრობს. თორმეტი ოჯახი ოსი ეროვნებისაა. მოსახლეობის ნახევარმა დატოვა თავისი საცხოვრებელი ადგილი. ნაწილმა რუსეთს, ნაწილმა კი ევროპის ქვეყნებში მიაშურა სამუშაოდ.*

ნინო ბერელიძე

ქსნის ხეობის ეს ულამაზესი სოფელი და მისი მოსახლეობა უკიდურეს გაჭირვებას განიცდის. ღვთისაგან და კაცისაგან მიტოვებულს ჰგავს მშვენიერი კუთხე. საერთო გასაჭირი ელექტროენერგიისა და გზის უქონლობაა. აქაური მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედებაა. **"მიწასთან მუშაობა ყველაზე ძნელია - დიდ შრომას და ენერგიას მოითხოვს; მუხლჩაუხრელად უნდა იმუშაო, მოსავალი კი წლიდან წლამდე არა გვყოფნის. ამ გაჭირვებას უდენობა ემატება. არც გზა გვივარგა, წვიმების დროს კი მიუვალი ხდება ჩვენი სოფელი. ჩემი შემოსავლის წყარო თოთხმეტლარიანი პენსიაა, რომელსაც თვეობით ვერ ვიღებ",** - გვიამბობს ღრმად მოხუცი ვასილ გაგაძე.

სოციალურ-ეკონომიკური პირობები, თითქმის, ყველასათვის ერთნაირია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხალხი იქ უკიდურეს გაჭირვებაშია; თუმცა, ვარდების რევოლუციის შემდეგ იმედით შესცქერიან მომავალს. **"თუ საშუალება მოგვეცემოდა, ყურადღებით ვადევნებდით თვალ-ყურს თბილისში მიმდინარე მოვლენებს. ენთუზიაზმით შევხვდით მიხეილ სააკაშვილის გაპრეზიდენტებას. იქნებ ახლა მაინც გვეშველოს რამე. პირველ რიგში, საჭიროა ახალგაზრდების დასაქმება, თორემ დაიცალა სოფლები, თითოოროლა კაციღა შემოვრჩით და ჩვენც გაქცევაზე გვიჭირავს თვალი. ამ ბოლო დროს ფქვილზე ფასმა ისე მოიმატა, რომ ყიდვა გვიჭირს. თვეობით არა გვაქვს პური. ამან გული გაუტეხა ხალხს, მაგრამ გვჯერა, რომ ყველაფერი გამოსწორდება",** – აზრს გვიზიარებს გაიოზ ქუტაშვილი.

საერთო პრობლემებს ინდივიდუალური გასაჭირიც ემატება. იმ ფაქტმა, რომ ბავშვების ნაწილმა იქ წერა-კითხვა არ იცის, გამაოცა და დამაფიქრა. სამოც წელს გადაცილებული ლუბა გაგაძე თავის გასაჭირზე ჰყვება: **"სამი შვილი მყავს. უფროსმა ოსი ეროვნების ქალი შეირთო და მასთან ერთად წავიდა სახლიდან. მათი სამი შვილი ჩვენს ამარა დარჩა; როგორ ვარჩინოთ მე და მოხუცმა ბერიკაცმა ისინი, არ ვიცით. უკიდურეს გაჭირვებაში ვიმყოფებით. ყველაზე უფრო გული რაზედაც მტკივა ისაა, რომ ბავშვებმა წერა-კითხვა არ იციან. სკოლაში დაბადების მოწმობის გარეშე არ იღებენ. ვის უნდა მივმართო, არ ვიცი; ან მე რა შემიძლია."** ეს ბავშვები დიდები არიან - უფროსი 14 წლისაა, მომდევნოები - 13 და 10 წლისა. ველაპარაკები და ვგრძნობ, რომ წარმოდგენაც არა აქვთ, რა საჭიროა სწავლა.

ახალგორის რაიონი ძველად სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შედიოდა, ამჟამად მცხეთა-მთიანეთის გუბერნიაში შედის. როგორც ზემოთ აღვნიშნე, იქ ოსური ოჯახებიც ცხოვრობენ. აღმოჩნდა, რომ ურთიერთპატივისცემა და სიყვარული, რაც ქართველებსა და ოსებს შორის აქამდე არსებობდა, ახალ თაობებში თანდათან ქრება. მიშა ჯიოევი: **"წლების განმავლობაში ერთი გვქონდა ჭირიც და ლხინიც. კონფლიქტის შემდეგ ურთიერთობები საგრძნობლად გართულდა. უფროს თაობაში კიდევ არის დარჩენილი სიყვარულის გრძნობა, მაგრამ ადრე თუ ჩვეულებრივი იყო ერთმანეთში ქორწინება, ახლა ვერიდებით. ვფიქრობ, ახალი მთავრობა შეძლებს ჩატეხილი ხიდი გაამთელოს. ოსებსაც და ქართველებსაც მშვიდობა გვინდა. ჩემი სამშობლო ეს არის და აქ უნდა მოვკვდე. თუ მალე არ მოგვარდა ეს დაპირისპირება, შეიძლება, ახალგაზდებში ის, ძველი სიყვარული აღარც აღდგეს".**

ამაზე, ალბათ, ყველამ უნდა ვიფიქროთ.

# შემოწირულობებს თავისი სახელი უნდა დაერქვას

თამარ დვალი

*"მშობელთა შემოწირულობების გარეშე, ბაგა-ბაღები ვერ იარსებებს. ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ განათლებისა და მეცნიერების მინისტრისაგან კახა ლომაიასგან, რომ მის მიერ გაკეთებული განცხადება – თითქოს, მშობლებმა შემოწირულობები არ უნდა გადაიხადონ, საჯაროდ უარყოს. პედაგოგები ვაჭრები არ ვართ, მშობლებს რომ ვეკამათოთ. დაგვაფინანსოს სახელმწიფომ და შემოწირულობებმაც აღარ იქნება საჭირო; წინააღმდეგ შემთხვევაში, ბაღები დაიხურება", – ასეთ კატეგორიულ განცხადებებს აკეთებდნენ გუშინ საკრებულოში შეკრებილი ბაღის პედაგოგები. ისინი განათლების მუშაკებისაგან ახალი ნორმატიული დოკუმენტის მიღებას ითხოვდნენ.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ბაგა-ბაღებში, სავარაუდოდ, გადასახადი გაიზრდება.*

ცოტა ხნის წინ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა კახა ლომაიამ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ბაღებში შემოწირულობა ნებაყოფლობითია და მშობლებს უფლება აქვთ, ფული არ გადაიხადონო. იმ შემთხვევაში, თუკი ბაღის გამგე მშობლისაგან ფულის გადახდას მოითხოვდა, მინისტრის თქმით, მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგებოდა. ამ განცხადებამ პედაგოგების აღშფოთება გამოიწვია. ისინი აცხადებენ, რომ სახელმწიფო ბაღებს ვერ აფინანსებს და თუკი მშობლები გადასახადს არ გადაიხდიან, მაშინ ყველა სახელმწიფო ბაღი დაიხურება. **"როდესაც მინისტრი გამოდის და ასეთ კატეგორიულ განცხადებებს აკეთებს, უნდა დაფიქრდეს, რა პრობლემის წინაშე გვაყენებს ბაღის გამგეებს. სახელმწიფო თითო ბავშვის კვებისთვის დღეში 65 თეთრს იხდის. ამას ემატება მშობლის მიერ გადახდილი ოფიციალური გადასახადი თვეში 5,4 ლარის ოდენობით, რაც დღეში 25 თეთრია. 90 თეთრიდან 20 თეთრი დღგ-ის გადასახადია. ასეთ პირობებში ბაღის პედაგოგები იძულებულები ვართ, მშობლებს შემოწირულობის გადახდა ვთხოვოთ. მინისტრის გამოსვლის შემდეგ მშობელთა უმეტესობა ფულის გადახდაზე უარს აცხადებს. ამ სიტუაციიდან ორი გამოსავალია - ან უნდა დაიხუროს ბაღები, ან გაგრძელდეს ისე, როგორც ადრე იყო",** – განაცხადა 99-ე ბაღის გამგემ ია პატეიშვილმა. კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც ბაღის ხელმძღვანელები აწყდებიან, არის დაგვიანებული დაფინანსება. სახელმწიფოს მიერ დაწესებული ის მინიმალური თანხა, რომელიც დღეში 65 თეთრს შეადგენს, დანიშნულ ადგილამდე თვეების დაგვიანებით მიდის. სახელმწიფომ 5,4- ლარიანი გადასახადისაგან გაათავისუფლა ლტოლვილები, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედები. წესით, ეს თანხა მერიამ უნდა გადაურიცხოს ბაღებს, მაგრამ ასე არ ხდება. არის შემთხვევები, როდესაც 115 ბავშვიდან 80 გადასახადებისგან გათავისუფლებულია. ფაქტობრივად, თითო ბავშვზე დღეში 90 თეთრიც არ გამოდის. რამდენიმე წელიწადია, რაც ბაღებს არც ინვენტარი მიუღიათ და არც შენობების შეკეთება მომხდარა.

განათლების კომისიის თავმჯდომარის გია მურღულიას აზრით, მოსაწესრიგებელია ბაღებში პროდუქტის შეტანის საკითხიც. იქ საკვები შპს-ებს შეაქვთ, რაც გარკვეულ გაუგებრობებს იწვევს. ისინი, რატომღაც, უფრო ძვირად ყიდულობენ პროდუქტებს, ვიდრე ცენტრალურ მაღაზიებშია. მაგალითად, კარაქი მაღაზიაში თუ 4,5 ლარი ღირს, ისინი შვიდ ლარად ყიდულობენ. ახალი ბიუჯეტის დამტკიცების დროს, მურღულიას აზრით, სახელმწიფომ ბაგა-ბაღების დასაფინანსებლად გაცილებით მეტი თანხა უნდა გაითვალისწინოს.

როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელმა მიხეილ მინდაძემ განაცხადა, მშობლების მიერ გადახდილ თანხას შემოწირულობა კი არ უნდა დავარქვათ, არამედ - ოფიციალური გადასახადი. **" ჩვენ ვიტყუებით, როდესაც ვამბობთ, რომ გადასახადი არის ნებაყოფლობითი. ვარქმევთ შემოწირულობას, მაგრამ ყველამ იცის, რომ ამ სიტყვის უკან სავალდებულო გადასახადი იგულისხმება. დროა, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ. ჩვენთვის გასაგებია, რომ სახელმწიფოს არა აქვს შესაძლებლობა, შეინახოს ბაღები და ამიტომ საჭიროა მშობელთა დახმარება. სხვათა შორის, კვების გადასახადს კომუნისტების პერიოდშიც იხდიდნენ",** – აღნიშნა მინდაძემ. მისივე თქმით, პრობლემის მოსაგვარებლად, ბაღის გამგეებთან თანამშრომლობით, უნდა შემუშავდეს ახალი მექანიზმი, რომელიც ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედდება. შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა დაიანგარიშონ, თუ რა ჯდება ერთი ბავშვის შენახვა დღეში და, შესაბამისად, გაზარდონ მშობლების ოფიციალური გადასახადი.

ბაღის გამგეების მოთხოვნებს მშობელთა გარკვეული ნაწილიც ეთანხმება. მათი აზრით, უმჯობესია, გადაიხადონ ნებაყოფლობითი გადასახადი და მათ შვილებს უკეთესი კვება ჰქონდეთ, ვიდრე მხოლოდ სახელმწიფოს იმედად დატოვონ შვილები.

# ჯანდაცვის რეფორმის უახლესი კონტურები

## ახალი მთავრობის "სამაგიდო წიგნი"

*ახალი მთავრობის პირველი ხუთწლიანი გეგმა - "ეროვნული გადარჩენის პროგრამა", ვრცლად საუბრობს ცვლილებებზე, რომლებიც სახელმწიფომ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში უნდა განახორციელოს. სამოქმედო პროგრამის ძირითადი მიმართულებები, ამ კუთხით, ასეთია: სახელმწიფო და კერძო სადაზღვევო ინსტიტუტების განვითარება; მოსახლეობის ხარისხიანი, ფიზიკურად და გეოგრაფიულად ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების დანერგვა; ცხოვრებისათვის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნა.*

მაკა ჭაიანი

ამ საკითხების გადასაჭრელად ნავარაუდევია: სამედიცინო დაწესებულებებისა და სამედიცინო პერსონალის რაციონალიზაცია, დაწესებულებების ეტაპობრივი რეაბილიტაცია და თანამედროვე სამედიცინო და ლაბორატორიული აპარატურით მათი აღჭურვა; სამედიცინო მომსახურების უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით, სხვადასხვა დონის სამედიცინო დაწესებულებებს შორის პაციენტის მართვა რეფერალური სისტემით.

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისთვის ხელისუფლება ვარაუდობს, გაზარდოს სახელმწიფოს მიერ ჯანმრთელობის დაცვის სფეროზე მიმართული ფინანსური რესურსები, როგორც საერთო ეროვნულ პროდუქტთან, ასევე - სახელმწიფო ბიუჯეტთან მიმართებაში; მკაფიოდ განსაზღვროს სახელმწიფო ვალდებულებები და ადეკვატურად გადაანაწილოს ისინი ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის; გაზარდოს სამედიცინო პროგრამების ხარჯთეფექტურობა.

მთავრობის გეგმის მიხედვით, სრულ სახელმწიფო დაფინანსებაზე უნდა გადავიდეს პროფილაქტიკური მედიცინა, პირველადი ჯანდაცვა, სიცოცხლისათვის საშიში გადაუდებელი მდგომარეობის მართვა და ჩანაცვლებითი თერაპიის აუცილებელი მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სახელმწიფო ტარიფები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს რეალურ საბაზრო ფასებთან, რაც, ავტორების აზრით, ერთი მხრივ, გამორიცხავს პაციენტის მიერ სამედიცინო მომსახურების არაფორმალურ თანადაფინანსებას, მეორე მხრივ კი, გაზრდის მომსახურების ხარისხსა და სამედიცინო პერსონალის ანაზღაურებას.

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისთვის ხელისუფლება გეგმავს, ასევე, ჯანდაცვითი პროგრამების საფინანსო დისციპლინის განმტკიცებას, ანტიკორუფციული ღონისძიებების გატარებას; განვითარების მასტიმულირებელი ფისკალური პოლიტიკის გატარებას ჯანდაცვის მომწოდებლების - სამედიცინო დაწესებულებებისათვის; კერძო სამედიცინო დაზღვევისათვის ხელშემწყობი საგადასახადო საკანონმდებლო გარემოს ჩამოყალიბებას.

რაც შეეხება სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფას, ამ თვალსაზრისით, ნავარაუდევია დიპლომამდელი, დიპლომის შემდგომი და უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის გაუმჯობესება და რეფორმირება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; სამედიცინო სტანდარტების განვითარებადი და განახლებადი სისტემის დამკვიდრება; სამედიცინო დაწესებულებათა ლიცენზირების სისტემის სრულყოფა, აკრედიტაციის სისტემის დანერგვა და სამედიცინო პერსონალის სერთიფიცირების სისტემის გაუმჯობესება; "წამლის პოლიტიკის" შემუშავება და მისი რეალიზაცია; თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა სახელმწიფო ინვესტიციების მიზნობრიობის გაზრდის ხარჯზე, რამაც საშუალება უნდა მისცეს მოსახლეობას, ქვეყნის ფარგლებში მიიღოს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება; სამედიცინო ბიზნესში, ტექნოლოგიებში, ფარმაცევტულ წარმოებაში, სამედიცინო მეცნიერებაში ღია საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება; სამედიცინო მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა.

მთავრობის ხუთწლიანი გეგმა მოსახლეობისთვის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნას, პაციენტის და, ასევე, სამედიცინო პერსონალის უფლებების დაცვასაც ითვალისწინებს. პირველის მისაღწევად განხორციელდება ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფისკენ მიმართული პროგრამები; პრევენციული ღონისძიებები – სოციალურად საშიში დაავადებების (ტუბერკულოზი, შიდსი, მალარია, ნარკომანია) წინააღმდეგ; დამკვიდრდება ჯანსაღი ცხოვრების წესი. პაციენტებისა და სამედიცინო პერსონალის უფლებების დაცვაში კი იგულისხმება: საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან; პაციენტის ომბუდსმენის ინსტიტუტის ჩამოყალიბება; პაციენტთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობის ხელშეწყობა.

მორიგ პუბლიკაციაში სოციალურ სფეროში დაგეგმილ ცვლილებებს გაგაცნობთ.

# მაისში "ყაზბეგს" ნიუ-იორკშიც დალევენ

"ყაზბეგის" ლუდის გასინჯვას ნიუ-იორკის მცხოვრებლები უკვე ერთ თვეში შეძლებენ, შეერთებულ შტატებში ნიუ-იორკი უკვე მესამე შტატია, სადაც ქართული ლუდი გაიყიდება. შარშან ქართული სასმელის საცდელი პარტიები თავდაპირველად მაიამსა და ფილადელფიაში გაიგზავნა. შეერთებულ შტატებში ექსპორტზე კომპანია "ყაზბეგი" ყველა დასახელების ლუდს : "ყაზბეგს", "ტრადიციულს", "მონადირეს" გზავნის, ლუდის გარდა ამერიკის ბაზარზე პირველი წარმატებული გამოცდა "ყაზბეგის" ლიმონათმაც ჩააბარა. კომპანია წელს შეერთებულ შტატებში 3 მილიონი ბოთლი ლუდის და ლიმონათის ექსპორტს გეგმავს. შეერთებული შტატების ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე მთლიანად შეიცვალა საექსპორტო პროდუქციის იერსახე, დამზადდა ახალი ეტიკეტები, შეფუთვა და ყუთი.

შეერთებული შტატების პარალელურად კომპანია ლიმონათის ექსპორტს იწყებს რუსეთის სამხრეთში, მაისში პირველი კონტეინერი -10 ათასი ბოთლი - ვლადიკავკაზში გაიგზავნება.

შარშან "ყაზბეგის" საექსპორტო გეოგრაფია აღმოსავლეთით გაფართოვდა, "ყაზბეგი" პირველი ქართული კომპანია გახდა, რომელმაც ომისშემდგომ ერაყში ექსპორტი დაიწყო.კომპანიაში თვლიან ,რომ ერაყის ბაზარზე შესვლა წარმატებული და მომგებიანი იყო და სისტემატიური სავაჭრო პარტნიორობისათვის ემზადებიან.

ამჟამად "ყაზბეგის" პროდუქციის 10 პროცენტი იგზავნება ექსპორტზე, ტრადიციული საექსპორტო ბაზრებია შუა აზიის ქვეყნები, უკრაინა, სომხეთი და აზერბაიჯანი.

საექსპორტო ბაზრების ათვისება 1999 წელს აზერბაიჯანიდან დაიწყო, ყოველწლიურად მილიონობით ბოთლი ლუდი, ცივი ჩაისა და ლიმონათის დისტრიბუციას აზერბაიჯანული კომპანია " **აზევრო**" ახორციელებს. მაისში ბაქოს საერთაშორისო გამოფენაში "ყაზბეგი" ტრადიციულად მიიღებს მონაწილეობას და ახალი კონტრაქტებიც გაფორმდება.

2000 წელს დაფუძნდა ერთობლივი კომპანია "ყაზბეგი-უკრაინა", რომელსაც განვითარებული სადისტრიბუციო ქსელი აქვს კიევში , პოლტავასა და დონეცკში.

რუსეთის ფედერაციაში ქალაქ პოდოლსკში მიმდინარეობს ქარხნის მშენებლობა, რომელიც " ყაზბეგის" ხილის არომატიზატორების ბაზაზე ჩამოასხავს ცივ ჩაისა და ლიმონათს.

"ყაზბეგი" აგრძელებს ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისებას, კომპანიის სტრატეგიაა გააქტიურდეს თანამეგობრობის წევრი ქვეყნების , განსაკუთრებით ცენტრალური აზიის საექსპორტო ბაზრებზე.

5 აპრილს შვეიცარიის დედაქალაქში გამართულ დაჯილდოების სადღესასწაულო ცერემონიაზე ჟენევის მე-6 საერთაშორისო ხარისხის კონვენციის გადაწყვეტილებით ქართულ სარეკლამო კომპანია იმპერიალ BBDO-ს მიენიჭა საუკუნის მსოფლიო ხარისხის ჯილდო "Century International Quality Era Award". ცერემონიას ესწრებოდა კომპანია იმპერიალის გენერალური დირექტორი ბ-ნი კახა კუპატაძე, რომელსაც ჯილდო გადასცა შესარჩევი კომიტეტის B.I.D - ის (Business Initiative Directions) პრეზიდენტმა ბ-ნმა ხოსე ე. პრიეტომ.

ჟენევის საერთაშორისო მოწვევის მთავარ მიზანს წარმოადგენს წარმოებისა და მომსახურების სფეროთა მუდმივი გაუმჯობესების ხელშეწყობა, ხარისხის სრულყოფისაკენ სწრაფვის წახალისება. ამიტომაც აქციის ორგანიზატორები გამარჯვებულ კომპანიათა გამოვლენისას მსოფლიო ხარისხის მაჩვენებლით ხელმძღვანელობენ.

B.I.D - ის პრეზიდენტის მიერ წარმოთქმულ საზეიმო სიტყვაში ხაზგასმით იყო აღნიშნული კომპანია იმპერიალი BBDO-ს, როგორც საერთაშორისო დონის სარეკლამო კომპანიის შესახებ, კერძოდ ითქვა, რომ კომპანია მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვისა და მუდმივი განახლების ინიციატივით ხასიათდება, და რაც მთავარია, თავის ქვეყანაში სარეკლამო სერვისს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ანვითარებს. ამასთან, ბ-ნმა ხოსე ე. პრიეტომ გამოსვლისას ბრძანა, რომ კომპანია იმპერიალი წარმატებით ახორციელებს მსოფლიოში რიგით პირველი საერთაშორისო სარეკლამო კორპორაციის BBDO-ს კლიენტთა სარეკლამო მომსახურებას ამიერკავკასიის ქვეყნებში, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს კომპანიის სერვისის საერთაშორისო ხარისხსა და მის პროგრესულობაზე.

ჟენევის მე-6 საერთაშორისო ხარისხის კონვენციის გადაწყვეტილებით საუკუნის ხარისხის პრიზით კომპანია იმპერიალ BBDO-სთან ერთად დაჯილდოებულ კომპანიათა რიცხვში არიან ისეთი მსხვილი და სახელგანთქმული კომპანიები, როგორებიცაა: РАО "ЕЭС России" (რუსეთი) "DUBAI DUTY FREE" (არაბეთის გაერთიანებული ემირატები), hurst parnell & co. (დიდი ბრიტანეთი), TMS (საფრანგეთი) და სხვა მრავალი.

უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში კომპანია იმპერიალისათვის ეს არის მეორე საერთაშორისო აღიარება; 2003 წლის მარტში საინვესტიციო ბანკ "THE GALT & TAGGATR SECURITIES LLC" მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე სარეკლამო კომპანია იმპერიალი BBDO შევიდა საქართველოს იმ 75 საუკეთესო კომპანიათა რიცხვში "*რომლებზეც დგას საქართველოს ეკონომიკა*".

*დავით დოლიძე*


5 აპრილს შვეიცარიის დედაქალაქში გამართულ დაჯილდოების სადღესასწაულო ცერემონიაზე ჟენევის მე-6 საერთაშორისო ხარისხის კონვენციის გადაწყვეტილებით ქართულ სარეკლამო კომპანია იმპერიალ BBDO-ს მიენიჭა საუკუნის მსოფლიო ხარისხის ჯილდო "Century International Quality Era Award". ცერემონიას ესწრებოდა კომპანია იმპერიალის გენერალური დირექტორი ბ-ნი კახა კუპატაძე, რომელსაც ჯილდო გადასცა შესარჩევი კომიტეტის B.I.D - ის (Business Initiative Directions) პრეზიდენტმა ბ-ნმა ხოსე ე. პრიეტომ.

ჟენევის საერთაშორისო მოწვევის მთავარ მიზანს წარმოადგენს წარმოებისა და მომსახურების სფეროთა მუდმივი გაუმჯობესების ხელშეწყობა, ხარისხის სრულყოფისაკენ სწრაფვის წახალისება. ამიტომაც აქციის ორგანიზატორები გამარჯვებულ კომპანიათა გამოვლენისას მსოფლიო ხარისხის მაჩვენებლით ხელმძღვანელობენ.

B.I.D - ის პრეზიდენტის მიერ წარმოთქმულ საზეიმო სიტყვაში ხაზგასმით იყო აღნიშნული კომპანია იმპერიალი BBDO-ს, როგორც საერთაშორისო დონის სარეკლამო კომპანიის შესახებ, კერძოდ ითქვა, რომ კომპანია მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვისა და მუდმივი განახლების ინიციატივით ხასიათდება, და რაც მთავარია თავის ქვეყანაში სარეკლამო სერვისს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ანვითარებს. ამასთან, ბ-ნმა ხოსე ე. პრიეტომ გამოსვლისას ბრძანა, რომ კომპანია იმპერიალი წარმატებით ახორციელებს მსოფლიოში რიგით პირველი საერთაშორისო სარეკლამო კორპორაციის BBDO-ს კლიენტთა სარეკლამო მომსახურებას ამიერკავკასიის ქვეყნებში, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს კომპანიის სერვისის საერთაშორისო ხარისხსა და მის პროგრესულობაზე.

ჟენევის მე-6 საერთაშორისო ხარისხის კონვენციის გადაწყვეტილებით საუკუნის ხარისხის პრიზით კომპანია იმპერიალ BBDO-სთან ერთად დაჯილდოებულ კომპანიათა რიცხვში არიან ისეთი მსხვილი და სახელგანთქმული კომპანიები, როგორებიცაა: РАО "ЕЭС России" (რუსეთი) "DUBAI DUTY FREE" (არაბეთის გაერთიანებული ემირატები), hurst parnell



სურათზე^სარეკლამო კომპანია იმპერიალის გენ. დირექტორი კახა კუპატაძე და B.I.D.-ის პრეზიდენტი ხოსე ე. პრიეტო.

& co. (დიდი ბრიტანეთი), TMS (საფრანგეთი) და სხვა მრავალი.

უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში კომპანია იმპერიალისათვის ეს არის მეორე საერთაშორისო აღიერება; 2003 წლის მარტში საინვესტიციო ბანკ "THE GALT & TAGGATR SECURITIES LLC" მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე სარეკლამო კომპანია იმპერიალი BBDO შევიდა საქართველოს იმ 75 საუკეთესო კომპანიათა რიცხვში "*რომლებზეც დგას საქართველოს ეკონომიკა*".

# ზურაბ ადეიშვილი ჟურნალისტებს „ჭკუას ასწავლის"

ბაზრის მოთხოვნილება – ქართული დამოუკიდებელი პრესის წარმომადგენელთა დიდი უმრავლესობისთვის, 90-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, სწორედ ეს იქცა დაუწერელ, მაგრამ მოღვაწეობისთვის ძირითად კანონად. ყოფილი ხელისუფლებისთვის, ერთეული გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ეს სრულიად ხელსაყრელი აღმოჩნდა, არც იყო გასაკვირი, რადგანაც ამგვარმა მიდგომამ მასმედიის საშუალებები ერთგვარად "გიჟი თავისუფალიას" პოზიციაში ჩააყენა და მინიმუმამდე დასცა მათ მიმართ საზოგადოების ნდობა. თუმცა, გაჩნდა იმედი, რომ ახალ ხელისუფლებას თავისუფალი პრესის მიმართ სხვა მოთხოვნები ექნება, რაც მედიისთვისაც გახდება დაკარგულის დაბრუნების შანსი. თავის მხრივ, ახალ რეალობას ჟურნალისტებიც მომზადებულნი უნდა შეხვდნენ, რის საშუალებასაც მათ მნიშვნელოვანწილად მისცემთ ახალგამოცემული, ერთგვარად სახელმძღვანელოდ ჩაფიქრებული წიგნი, სახელწოდებით - "მედია და სამართალი". ერთადერთი, რამაც ამ სახელმძღვანელოს ადრესატები – ჟურნალისტები შეიძლება დააფიქროს, ის გახლავთ, რომ წიგნის ავტორი ამჟამად უშიშროების მინისტრია. თუმცა, მაღალი თანამდებობის პირისგან რჩევების მიღება თავისუფალი მედიის წარმომადგენელთათვის უხერხულობას ნაკლებად შექმნის, რადგან წიგნზე მუშაობის დროს ზურაბ ადეიშვილი მინისტრის პორტფელის მფლობელი კი არა, მედიასამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის ექსპერტი გახლდათ.

წიგნი "მედია და სამართალი", რომლის პრეზენტაციაც გუშინ, საჯარო ბიბლიოთეკაში შედგა, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოსგან (IREX) მიღებული გრანტისა და თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელთა მიერ შეტანილი წვლილის შედეგად შეიქმნა. "მედია და სამართალი" სამი ნაწილისგან შედგება, პირველი – ეს გახლავთ კანონმდებლობაზე დაყრდნობით შედგენილი, ჟურნალისტებისთვის განკუთვნილი პრაქტიკული რჩევები; მეორე ნაწილი შეიცავს იმ კანონებს, ან კონკრეტულ მუხლებს კანონებიდან, რომლებიც ჟურნალისტურ საქმიანობას ეხება, ან რომლებთან შეხებაც ყველაზე ხშირად უწევთ მედიის წარმომადგენლებს; მესამე ნაწილი კი შეიცავს კანონ-პროექტებს სიტყვისა და პრესის თავისუფლების, აგრეთვე, მაუწყებლობის შესახებ.



იური მეჩითოვის ფოტო

უშიშროების მინისტრის რჩევებს ჟურნალისტები არ ითაკილებენ.

უშიშროების მინისტრი მაამებლობაში არ ჩამოგვართმევს, მაგრამ მისი წიგნი ნამდვილად გაამდიდრებს არა მხოლოდ ქართველი ჟურნალისტების ბიბლიოთეკებს, არამედ, მათ სამართლებრივ ცოდნასაც, რაც, საბოლოო ჯამში, საქართველოში თავისუფალი სიტყვის გაძლიერებას წაადგება.

*24 საათი*

# „აჭარის ხელისუფლება კოლუმბიის ნარკოკარტელს ემსგავსება"

პირველი გვერდიდან

**"იმედაძეს პირადი ჩხრეკისას, რა თქმა უნდა, იარაღი აღმოაჩნდა",** - განაცხადა გუშინ სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე გიორგი ბარამიძემ.

"ქურდების გენერალური მდივანი" წარსულში მძიმე დანაშაულისთვის არის ნასამართლევი, ამჟამად კი მისი დაპატიმრების საფუძველი აღმოჩნდა "მაკაროვის" სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი მჭიდითა და 8 საბრძოლო ვაზნით.

შს მინისტრის ინფორმაციით, იმედაძე აკონტროლებდა შპს "იმერეთი 2000"-ის ბაზრობას, წილს იღებდა ქუთაისში სამარშრუტო ტაქსების შემოსავლიდან და რაც მთავარია...

**"იმედაძე თავის სამყაროში ისეთი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, რომ იგი ქუთაისის ე.წ. კანონიერი ქურდების "ობშიაკს" განაგებდა",** - ამბობს გიორგი ბარამიძე.

ალექსანდრე იმედაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ამ ეტაპზე იარაღის უკანონო ტარების მუხლით არის აღძრული და იგი ქუთაისის შს სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ მომავალში მას ბრალდება სხვა მუხლებითაც დაუმძიმდეს.

გარდა კანონიერი ქურდების დაკავებისა, გუშინდელ ბრიფინგზე შინაგან საქმეთა მინისტრმა საკუთარ სისტემაში მყოფ ნარკომანთა წინააღმდეგ ბრძოლითაც მოიწონა თავი. გუშინ სამინისტროს ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა წითელი ხიდის გამშვებ პუნქტზე ნარკორეალიზატორი გიორგი არწივაძე დააკავეს.

დღემდე დაკავებული ნარკორეალიზატორების ფონზე რუსთაველი არწივაძე მართლაც სერიოზული ნადავლია. სამართალდამცველებმა მას პირადი ჩხრეკისას სარეალიზაციოდ გამზადებული განსაკუთრებით დიდი ოდენობის - 115,7 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ოპიუმი" აღმოუჩინეს. აღნიშნული დანაშაულისთვის კი კანონმდებლობა საკმაოდ დიდ სასჯელს - 8-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

როგორც ჩანს, ნარკობიზნესთან ბრძოლას შინაგან საქმეთა სამინისტრო მხოლოდ ჩვეულებრივი მოქალაქეების დაპატიმრებით არ ამთავრებს. ბარამიძე აღიარებს, რომ სამართალდამცველები, ძალოვანები და სახელისუფლებო წრეების წარმომადგენლები საქართველოში ნარკობიზნესის ყველა მსხვილ ხაზს აკონტროლებენ.

საკუთარ სისტემაში აღნიშნულ მანკიერებასთან ბრძოლა გიორგი ბარამიძემ გამინისტრებისთანავე დაიწყო და დღემდე ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან დაკავშირებული ათობით პოლიციელია სამინისტროდან დათხოვილი, მაგრამ ბრძოლა კვლავ გრძელდება.

გიორგი ბარამიძის ინფორმაციით, შს სამინისტროს ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის ეროვნული ბიუროსა და გენერალური ინსპექციის თანამშრომლების მიერ დაკავებულია დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის ინსპექტორი უშანგი გურიელი.

თუმცა, გუშინდელი ბრიფინგი მხოლოდ კანონიერი ქურდების და ნარკობიზნესის თემით არ დასრულებულა. შინაგან საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას, რა თქმა უნდა, გვერდი ვერ აუარა აჭარაში შექმნილ მდგომარეობას არა მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ მსოფლიო მნიშვნელობის დანაშაულის კუთხითაც.

**"აჭარა ნარკობიზნესის თვალსაზრისით ერთ-ერთი სოლიდური რეგიონია, სადაც ხდება როგორც ნარკოტიკების გადაზიდვა, ასევე ნარკოტიკების წარმოება",** – განაცხადა გიორგი ბარამიძემ და დასძინა, რომ ამის დამადასტურებელი დოკუმენტები შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე გააჩნია. მათი გამოქვეყნება მინისტრს დღეს მიზანშეწონილად არ მიაჩნია, ვინაიდან კვლავ გრძელდება ოპერატიული მუშაობა,

**"აჭარის ხელისუფლება კოლუმბიის ნარკოკარტელს ემსგავსება, რომელსაც ძირითად ბიზნესად იარაღისა და ნარკოტიკებით ვაჭრობა გაუხდია. ბუნებრივია, ეს არ დარჩება უყურადღებოდ ქართული საზოგადოებისა და სხვადასხვა ცივილიზებული დემოკრატიული სახელმწიფოების მხრიდან",** - განაცხადა ბარამიძემ.

რაც შეეხება აჭარაში არსებულ საარჩევნო დაძაბულობას, აქ შინაგან საქმეთა მინისტრი, როგორც ჩანს, უძლურია და ამიტომ სიტუაციის განმუხტვის გზების საძებნელად, ცესკო-ს თავმჯდომარესთან - ზურაბ ჭიაბერაშვილთან ერთად, საქართველოში აკრედიტებულ სხვადასხვა საელჩოების წარმომადგენლებს შეხვდა.

**"ხულოსა და ქობულეთის საარჩევნო ოლქებში განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება საკმაოდ მნიშვნელოვანია არჩევნების საბოლოო შედეგების დაზუსტებისთვის.**

**გარდა ამისა, შეხვედრის დროს განვიხილეთ ის ღონისძიებები, რომელთა გატარება აიძულებს აჭარის ლიდერს ასლან აბაშიძეს, გააცნობიეროს პასუხისმგებლობა ქვეყნისა და საქართველოს კონსტიტუციის წინაშე. ასლან აბაშიძე ვალდებულია, დაემორჩილოს იმ კანონიერ მოთხოვნებს, რომელსაც მას ცენტრალური ხელისუფლება უყენებს",** - განაცხადა ბარამიძემ.

რაც შეეხება აჭარის მოსახლეობის განიარაღების საკითხს, მინისტრის თქმით, ავტონომიური რესპუბლიკის შს სამინისტრო არავითარ ქმედით ზომებს არ იღებს, რადგან იგი აბაშიძის უკანონო ბრძანებას ასრულებს.

**"სიტუაციის განსამუხტად ცენტრალური ხელისუფლება გამოიყენებს ყველა ბერკეტს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე",** – სჯერა გიორგი ბარამიძეს.

# არასრულწლოვანი მკვლელობას აღიარებს

მუხიანის მე-4 მიკრორაიონში გამთენიისას, 4 საათზე, მოსახლეობამ 21 წლის მალხაზ გოგიაშვილის ცხედარი აღმოაჩინა. მას თავსა და ზურგის არეში ცეცხლსასროლი იარაღით ოთხი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული.

გლდანი-ნაძალადევის რაიონის სამართალდამცველებმა და თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დანაშაული ცხელ კვალზე გახსნეს და მკვლელობაში ეჭვმიტანილი, მუხიანში მცხოვრები 17 წლის სოსო ლოლუა მკვლელობიდან რამდენიმე საათში, მუხიანის დასახლებაშივე დააკავეს.

მომხდართან დაკავშირებით გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე 108 - განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. რაიონის პროკურორის ლენა კაპანაძის განცხადებით, დამნაშავემ აღიარა დანაშაული, თუმცა თავი დამნაშავედ არ ცნო.

როგორც ეჭვმიტანილის დაკითხვით გაირკვა, ლოლუამ გოგიაშვილი ურთიერთშელაპარაკებისას მოკლა. დაკავებულის ჩვენების თანახმად, იგი გოგიაშვილს საქმის გასარჩევად ერთ-ერთ სადარბაზოში შეხვდა. სიტყვიერი კამათი რამდენიმე წუთს გაგრძელდა, რის შემდეგაც სოსო ლოლუამ საფანტის პისტოლეტიდან მალხაზ გოგიაშვილს რამდენჯერმე ესროლა და ადგილზევე მოკლა.

მკვლელობის მთავარი მტკიცებულება, საფანტი პისტოლეტი "ვოლტრა", სამართალდამცველებმა ლოლუას დაკავებისას ამოიღეს. ლენა კაპანაძის განცხადებით, იგი რეგისტრირებულია და სოსო ლოლუას ოფიციალურად აქვს გაფორმებული.

მართალია, ლოლუამ აღიარა, რომ იარაღი მას ეკუთვნოდა, მაგრამ დაკითხვისას განმარტა - მე გაზის პისტოლეტის ყიდვა მინდოდა. ასეც მჯეროდა, რომ აღნიშნული იარაღი გაზის იყო და გოგიაშვილს შესაშინებლად ვესროლეო.

გაიზიარებს თუ არა გამოძიება აღნიშნულ ვერსიას, რომელიც, შესაძლებელია, მოსალოდნელი სასჯელის თავიდან აცილების მცდელობა იყოს, მომავალი გვიჩვენებს. ამ ეტაპზე კი რაიონის პროკურორი საჭიროდ მიიჩნევს, დაიკითხონ ის პირები, ვინც ლოლუას იარაღი მიყიდა, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება დასკვნების გაკეთება და დანაშაულის ზუსტ კვალიფიკაციაზე მსჯელობა.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა თავის პირველი მოადგილე გია ჯიქია თანამდებობიდან გაათავისუფლა, თუმცა შესაბამისი ბრძანება, ჯერჯერობით, ხელმოწერილი არ არის. ჯიქიას ადგილს, სავარაუდოდ, თბილისის პროკურორის მოადგილე გიორგი ჯანაშია დაიკავებს, რომელსაც გენპროკურორმა თანამდებობა გუშინ შესთავაზა. თანამდებობა დაატოვებინეს საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების უფროსს პაატა მსხილაძეს და თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსს მერაბ გვილავას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ნარკოტიკების მოხმარებისათვის შსს-ს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს ნარკომანიასა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების ინსპექტორი, თბილისელი, 35 წლის უშანგი გურიელი დააკავეს. შსს-ს პრესსამსახურის ცნობით, დაკავებისას გურიელი ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. მოკვლეული მასალები გადაეგზავნა შსს-ს გენერალურ ინსპექციას. გენერალური ინსპექციის მასალების საფუძველზე ნარკოტიკების მოხმარებისათვის მიმდინარე წლის განმავლობაში შს სისტემიდან 40-მდე პოლიციის თანამშრომელი დაითხოვეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მრავალჯერ ნასამართლევი, 38 წლის ზურაბ ქავთარაძე თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, ქავთარაძეს ჩხრეკისას 0.05 გრ. "ჰეროინი" აღმოაჩნდა. ამავე რაიონის პოლიციელებმა ამავე ბრალდებით 26 წლის გიორგი ფონაძე ამხილეს, რომელსაც ჩხრეკისას 0.32 გრ. ჰეროინი აღმოაჩნდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ბორჯომი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ბორჯომში მცხოვრები, 29 წლის დავით გოგოლაძე (მეტსახელად - „როშტია"), 24 წლის ირაკლი თაყაიშვილი, 22 წლის ვახტანგ იობაშვილი და 29 წლის არმენ დავითიანი (მეტსახელად - „არმენიჩკა"), რომლებიც სოფელ ჭობისხევში ფულს სძალავდნენ იქვე მცხოვრებ, 52 წლის გიორგი მახარაშვილს. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის ბორჯომის ქვეგანყოფილება. **მედია-ნიუსი**


WORLD BANK OFFICE TBILISI
5A, 1st Drive, Chavchavadze Ave, Georgia
Tel: 91 30 96, Fax: 91 34 78

მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობა
თბილისი ჭავჭავაძის გამზ. I ჩიხი 5ა
ტელ: 91 30 96, ფაქსი: 91 34 78

## მოწვევა "ახალგაზრდობის ხმის" გუნდში გაწევრიანებაზე

მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობა საქართველოში სთავაზობს 15-25 წლამდე ახალგაზრდებს პროგრამაში "ახალგაზრდობის ხმა" გაწევრიანებას. მსოფლიო ბანკის მიერ წამოწყებული "ახალგაზრდობის ხმის" ინიციატივა წარმოადგენს მცდელობას, რომელიც მიმართულია ახალგაზრდობის ხედვის, აზრებისა და მოთხოვნების გასათვალისწინებლად ქვეყნის განვითარების პროცესში, რაც დამყარებული იქნება მათთან სისტემატიური დიალოგის მეშვეობით. ამ ინიციატივას საფუძველი ჩაუყარა "ახალგაზრდობის ხმის" წარმატებამ ქ. ლიმაში (პერუ), სადაც ახალგაზრდები აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი მსოფლიო ბანკთან კონსულტაციებში მათ ქვეყანაში ამ ორგანიზაციის საქმიანობასა და პრიორიტეტებზე.

მსოფლიო ბანკი აპირებს ჩამოაყალიბოს "ახალგაზრდობის ხმის" მოდელი ევროპისა და ცენტრალური აზიის რამოდენიმე ქვეყანაში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა რეგიონებში.

"ახალგაზრდობის ხმის" მიზანია მისცეს ახალგაზრდებს შესაძლებლობა გაუზიარონ მსოფლიო ბანკს მათი გამოცდილება, მოსაზრებები და რეკომენდაციები ახალგაზრდული პროგრამებისა და ახალგაზრდების საკითხებისდმი მიმართულ პოლიტიკაზე.

"ახალგაზრდობის ხმაში" გაერთიანდებიან სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლები: სოფლისა და ქალაქის ახალგაზრდობა, გეოგრაფიული, თუ ეთნიკური ნიშნით შერჩეული ახალგაზრდობა, უნარშეზღუდული ახალგაზრდები და სხვა.

"ახალგაზრდობის ხმის" ჯგუფის წევრები გაეცნობიან მსოფლიო ბანკის საქმიანობას საქართველოში, რათა შემდგომში მათი აზრი ახალგაზრდებისა და ბავშვების საკითხებთან მიმართებაში გათვალისწინებულ იქნეს და ადექვატურად აისახოს მსოფლიო ბანკის პროგრამებში.

"ახალგაზრდობის ხმაში" გაწევრიანებისათვის მსოფლიო ბანკი შეარჩევს ათ-თორმეტ კანდიდატს. პირველი ეტაპი ითვალისწინებს შერჩეული კანდიდატების პროგრამაში მონაწილეობას დაახლოებით 5 თვის განმავლობაში (2004 წლის 30 ოქტომბრამდე), თუმცა პროგრამა შესაძლოა გაგრძელდეს მომდევნო ექვსი თვის განმავლობაშიც.

**მოთხოვნები:**

- ასაკი: სასურველია 15-დან 25-წლამდე
- დაინტერესება საქართველოში ახალგაზრდობის საკითხების განხილვასა და გაანალიზებაში
- ენები: ინგლისური ენა სასურველია, მაგრამ არა სავალდებულო
- კომპიუტერის საბაზისო ცოდნა და Internet-ში მუშაობის გამოცდილება
- მზადყოფნა დაუთმოთ სათანადო დრო ამ ინიციატივას
- ჯგუფში მუშაობის უნარი, რაც აგრეთვე გულისხმობს თქვენგან განსხვავებული აზრების მქონე ადამიანებთან თანამშრომლობას
- დაძაბულ დროის რითმში მუშაობის უნარი
- კრიტიკული აზროვნება, პასუხისმგებლობა და შემოქმედებითი მიდგომა საქმისათვის.

**"ახალგაზრდობის ხმის" წევრებს მსოფლიო ბანკი შესთავაზებს ტრენინგსა და ბანკის საქმიანობისა და პროგრამების გაცნობის შესაძლებლობას.**

მსურველებს ვთხოვთ შეავსონ თანდართული სააპლიკაციო ფორმა და მოგვაწოდონ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ან მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობაში 2004 წლის 30 აპრილამდე. შერჩევის შემდგომი ეტაპი (ორი კვირა) ითვალისწინებს მიღებული განაცხადების განხილვას. მსოფლიო ბანკი აღნიშნულ ვადაში დაუკავშირდება მხოლოდ იმ კანდიდატებს, რომლებიც შეირჩევიან განხილვის საფუძველზე არაუგვიანეს 2004 წლის 20 მაისისა.

მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობა საქართველოში იმედოვნებს, რომ თქვენ გამოთქვამთ აღნიშნულ ჯგუფში გაწევრიანების სურვილს.

ველით თქვენს გამოხმაურებას.



განაცხადი გაწევრიანებაზე

პროგრამა "ახალგაზრდობის ხმა"

# დევნილთა უფლებები და მათი სოციალური დაცვის გარანტიები

9 აპრილს გაზეთ “24 საათში" დაიბეჭდა სტატია, რომელიც დაწვრილებით აღწერდა მოქალაქეთა კონსტიტუციით აღიარებული უფლების (სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაციის გაცნობის) განხორციელების გზებსა და საშუალებებს. აღნიშნული სტატიის მთავარი მიზანი იყო ის, რომ მოქალაქეებისთვის შეგვეხსენებინა საკუთარი უფლებები და ამ უფლებების დაცვისათვის ისინი უფრო აქტიურები გაგვეხადა. მართალია, სახელმწიფო ახდენს ადამიანის უფლებების დეკლარირებას, იცავს მათ უფლებებს, მაგრამ, პირველ რიგში, მოქალაქეების აქტიურობა არის იმის გარანტი, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა და მისი რეალური განხორციელება გაცილებით ქმედითი ხელშესახები გახდეს.

დღევანდელი სტატია ამ მიზნის ერთგვარი გაგრძელებაა და იგი შეეხება დევნილთა პრობლემატიკას, მათთვის სახელმწიფოს მიერ დაწესებულ შეღავათებს და აგრეთვე, ამ შეღავათებზე ინფორმაციის მოპოვების ულფებას.

დევნილთა საკითხის წამოწევა არ ყოფილა შემთხვევითი. ამ თემაზე ბევრი დაწერილა და თქმულა, თუმცა პრობლემების მოგვარება, ჯერჯერობით, მაინც ვერ ხერხდება.

იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) მდგომარეობა რთულია. ეს ადამიანები არ არიან, უბრალოდ, ერთი ტერიტორიიდან გადაადგილებული პირები. მათი მიგრაციის მიზეზი არის იმ ძირითადი უფლებების ხელყოფა, რომელიც აღიარებულია მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ. ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, საფრთხე ექმნება სიცოცხლის, ღირსების, პიროვნული თავისუფლების, უსაფრთხოების უფლებების დაცვას. საომარი ან კონფლიქტური სიტუაციების დროს სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს თავისი მოქალაქეების სათანადო დაცვას.

იმის გამო, რომ მსოფლიოს ნებისმიერი მოქალაქე დაცული ყოფილიყო, 1951 წელს მსოფლიო საზოგადოებრიობამ მიიღო საერთაშორისო კონვენცია "ლტოლვილის სტატუსის შესახებ" და ამ კონვენციით აღიარებული უფლებების შესრულება სავალდებულო რანგში აიყვანა. კონვენციას საქართველოც არის მიერთებული. ამასთან, ჩვენმა ქვეყანამ მიიღო არაერთი აქტი ლტოლვილთა და დევნილთა უფლებების დასაცავად, რაზეც უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

## განსხვავება ლტოლვილსა და დევნილს შორის

ლტოლვილიცა და დევნილიც არიან ის პირები, რომლებსაც იძულებით, თავიანთი ნების საწინააღმდეგოდ მოუწიათ საკუთარი საცხოვრებელი ადგილის დატოვება. ორივე კატეგორიის ადამიანების სიცოცხლე, ჯანმრთელობა და სხვა აღიარებული უფლებები შეილახა ან დგას ასეთი საფრთხის წინაშე. თუმცა, ეს ცნებები იდენტური მაინც არ არის.

კონვენცია “ლტოლვილთა სტატუსის შესახებ" იძლევა ლტოლვილის განმარტებას. ეს არის პირი, რომელიც “შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგეფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო, იმყოფება თავისი მოქლაქეობის ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია, ან არ სურს, ამგვარი შიშის გამო ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით..."

საქართველოს კანონით "ლტოლვილთა შესახებ" ლტოლვილად ითვლება “საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელისთვისაც საქართველო არ არის მისი წარმოშობის ქვეყანა და რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მოქალაქეობის ან მუდმივად საცხოვრებელი ქვეყანა, რადგან იდევნებოდა რასის, რელიგიის, ეროვნული კუთვნილების, რომელიმე სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულების გამო და არ შეუძლია, ან არ სურს, ისარგებლოს იმ ქვეყნის მფარველობით ასეთი საშიშროების გამო".

იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) განმარტებას და მათი უფლებების აღიარებას ახდენს "სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ", რომლის თანახმად, ასეთებად "ითვლებიან ის პირები და პირთა ჯგუფები, რომლებიც გამოძევებულ იქნენ ან იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ თავიანთი სახლი ან ჩვეული საცხოვრებელი ადგილი, რათა გაქცეოდნენ შეიარაღებულ კონფლიქტს, საყოველთაო ძალადობას, ადამიანის უფლებათა ხელყოფასა და სტიქიურ ან ტექნოგენური მიზეზებით გამოწვეულ კატასტროფებს და, ამასთან, არ გადაუკვეთავთ საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვარი".

საქართველოს კანონი "იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ" ზემოთ მოყვანილი განმარტების შესაბამისად, ასეთებად თვლის საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე, მის ფარგლებში საფრთხის არსებობის გამო გადაადგილდნენ.

მოყვანილი ციტირებებიდან ჩანს, რომ ლტოლვილი არის პირი, რომელმაც გადაკვეთა საკუთარი ქვეყნის საზღვარი (საერთაშორისო საზღვარი), ხოლო დევნილი გადაადგილდება მისივე ქვეყნის ფარგლებს შიგნით. თუმცა, არსებული განსხვავება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე კატეგორიის პირებს ენიჭებათ სახელმწიფოს მხრიდან პრივილეგირებული მდგომარეობა. ნებისმიერი სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც არიან ლტოლვილები ან დევნილები, ვალდებულია, გაუწიოს ამ ადამიანებს დახმარება და იკისროს კანონმდებლობით მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

ჩვენი სტატიის გაგრძელება შეეხება უშუალოდ საქართველოს ტერტორიაზე მყოფ დევნილთა უფლებებს და მათზე გავრცელებულ სოციალურ დახმარებებს.

## დევნილთა ზოგადი უფლებები

**თუ ხართ იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი, თქვენ:**

- **სარგებლობთ იგივე უფლებებითა და თავისუფლებებით, რითაც სარგებლობენ სხვა პირები თავიანთ ქვეყანაში;**
- **უფლება გაქვთ, მოსთხოვოთ და მიიღოთ დაცვა და ჰუმანიტარული დახმარება საკუთარი ხელისუფლებისგან. მსგავსი მოთხოვნების გამო დაუშვებელია თქვენი დევნა;**
- **ბავშვებს, განსაკუთრებით უპატრონო არასრულწლოვნებს, ორსულ ქალებს, ჩვილბავშვიან დედებს, მარტოხელა დედებს, მოხუცებს, უფლება გაქვთ, მოითხოვოთ დაცვა და დახმარება;**
- **უფლება გაქვთ, დაცული იყოთ იძულებითი დაბრუნების ან დასახლებისგან ისეთ ადგილას, სადაც თქვენს სიცოცხლეს, უსაფრთხოებას, თავისუფლებას და/ან ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება;**
- **უფლება გაქვთ, იცოდეთ დაკარგული ნათესავის ბედისა და მისი ადგილსამყოფელის შესახებ;**
- **ოჯახებს, რომლებიც დაშორებული ხართ იძულებით გადაადგილების გამო, რაც შეიძლება მალე უნდა მოგეცეთ გამთლიანების უფლება;**
- **ხელისუფლების ორგანოებმა, როგორც მინიმუმი, უნდა უზრუნველყონ თქვენთვის აუცილებელი საკვები და სასმელი წყალი, თავშესაფარი და საცხოვრებელი, შესაფერისი ტანსაცმელი, გადაუდებელი სამედიცინო დახმარება და სანიტარული მომსახურება;**
- **და სხვა**

## საქართველოში დევნილებისათვის გათვალისწინებული სოციალური გარანტიები

### სამედიცინო დახმარება

დევნილებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებულია უფასო სამედიცინო დახმარება, თუმცა, არსებობს გარკვეული პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც ვრცელდება მათზე აღნიშნული დახმარება. **პირველ რიგში, უფასო სამედიცინო დახმარებით სარგებლობენ უმწეო მდგომარეობაში მყოფი დევნილები. ასეთებად კი ითვლებიან:**

**მარტოხელა არამომუშავე, შრომისუუნარო პენსიონერები, ან პენსიონერთა ოჯახები (მეუღლეები, და-ძმა, დედა-შვილი, მამა-შვილი), რომელთაც არ ჰყავთ იურიდიულად პასუხისმგებელი მარჩენალი;**

**მარტოხელა არამომუშავე, შრომისუუნარო პენსიონერთა ოჯახი, რომელსაც არ ჰყავს მარჩენალი და კმაყოფაზე ჰყავს მარჩენალდაკარგული უდედმამო არასრულწლოვანი ბავშვი ან ბავშვები;**

**მარტოხელა დედები, რომელთაც კმაყოფაზე ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები;**

**ობოლი (უდედმამო) არასრულწლოვანი ბავშვები, რომელთაც ჰყავთ მეურვე;**

**მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 3-ზე მეტი არასრულწლოვანი ბავშვი;**

**აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში შეიარაღებული კონფლიქტების დროს დახეიბრებული I ჯგუფის ინვალიდები;**

**I და II ჯგუფის ინვალიდები და მძიმე სენით (ონკოლოგიური, ფსიქიკური დაავადებები, დიაბეტი და სხვა) დაავადებული ბავშვები;**

**აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში შეიარაღებული კონფლიქტების დროს დაღუპული მეომრის მეუღლე და არასრულწლოვანი შვილები.**

თუმცა, ამ კატეგორიის დევნილთათვის გათვალისწინებული უფასო სამედიცინო დახმარებაც არ არის უსაზღვრო. იგი უნდა ჯდებოდეს სახელმწიფო სტანდარტების საზღვრებში. ჯანდაცვის სფეროში სტანდარტებს ამტკიცებს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.

**უმწეო მდომარეობაში მყოფ პირებს კანონი აძლევს შესაძლებლობას, წელიწადში ერთხელ ისარგებლონ გადაუდებელი უფასო სამედიცინო დახმარებით.**

გარდა კანონით გათვალისწინებული შეღავათებისა, პრეზიდენტის 2002 წლის 10 დეკემბრის განკარგულებით, დევნილი ბავშვების რეაბილიტაციისა და დასვენება-გაჯანსაღების მიზნით, პრეზიდენტის ფონდიდან გამოიყო 15 000 ლარი, რომელიც აფხაზეთის განათლების სამინისტროს გადაეცა.

**გახსოვდეთ: ნებისმიერ დევნილს, დაინტერესების შემთხვევაში, შეგიძლიათ მიმართოთ განცხადებით ჯანდაცვის სამინისტროს და მოითხოვოთ დაწვრილებითი ინფორმაცია უფასო სამედიცინო დახმარების შესახებ. ასევე, აფხაზეთის განათლების სამინისტროდან გამოითხოვოთ ინფორმაცია, თუ კონკრეტულად რომელი კატეგორიის ბავშვებმა ისარგებლეს გამოყოფილი თანხებით და რა სახით.**

### სხვადასხვა სახის სოციალური დახმარებები

იძულებით გადაადგილებულ პირთა მძიმე მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით, სახელმწიფო მათთვის გამოყოფს დროებით სარგებლობაში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებს და რაც მთავარია, მოსარგებლეებს (დევნილებს) **ანთავისუფლებს მიწის გადასახადისაგან.**

**ამ შეღავათის რეალიზაციისათვის განცხადებით უნდა მიმართოთ შესაბამის გამგეობას ან საკრებულოს.**

**სარკინიგზო ტრანსპორტით მგზავრობისას დევნილები სარგებლობენ 50%-იანი შეღავათით.** იმისათვის, რომ კონკრეტულმა პირმა ამ შეღავათით ისარგებლოს, სამგზავრო ბილეთის შეძენისას საჭიროა:

სალაროში წარადგინოს დევნილის მოწმობა პირადობის მოწმობასთან ან პასპორტთან ერთად (რადგან დევნილის მოწმობას მათ გარეშე ძალა არა აქვს);

დაუშვებელია სხვისი ან ვადაგასული მოწმობით სარგებლობა;

ბილეთში უნდა მოხდეს დევნილის მოწმობის ნომრის შეტანა;

**გახსოვდეთ: ყველა ამ რეკვიზიტის დაცვის შემთხვევაში, არავის აქვს უფლება, გადაგახდევინოთ ზედმეტი თანხა!**

დევნილის გარდაცვალებისას სახელმწიფო უზრუნველყოფს დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურებას. იმისათვის, რომ სახელმწიფომ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, საჭიროა, შესაბამისმა პირმა მიმართოს ადგილობრივ მმართველობის ორგანოს (გამგეობას) განცხადებით, რადგან აღნიშნული თანხის გაღება ხდება ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ.

### დახმარება მიწისძვრით მიყენებული ზარალის გამო

2002 წელს თბილისში მომხდარმა მიწისძვრამ მოსახლეობას და, მათ შორის, დევნილებს, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა მიიღო განკარგულება "მიწისძვრით გამოწვეული შედეგების აღმოფხვრის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ", რომლითაც შესაბამის უწყებებს და, მათ შორის, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა ვითარების შესწავლა და სათანადო ღონისძიებების გატარება. **ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს აღნიშნული ღონისძიებების გასატარებლად გამოეყო (პრეზიდენტის განკარგულება N614, 2002 წლის 15 მაისი) 350 ათასი ლარი. ვფიქრობთ, ნებისმიერი დევნილის კანონიერ ინტერესს წარმოადგენს გაიგოს, მათი დაზიანებული საცხოვრებელი სახლების შეკეთებისათვის გამოყოფილი თანხა რამდენად მიზნობრივად დაიხარჯა და ამ თანხით რამდენი დაზიანებული შენობა-ნაგებობა შეკეთდა. ამ ინფორმაციის მოსაპოვებლად ნებისმიერ დევნილს შეუძლია განცხადებით მიმართოს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და მოითხოვოს მასალები (მათი ასლები) გატარებულ ღონისძიებათა შესახებ.**

### ორგანიზებულად ჩასახლებულ დევნილთა საზოგადოებრივი წარმომადგენლობა

ორგანიზებულად ჩასახლებულ დევნილებს შეუძლიათ თავიანთი სამეურნეო თუ სხვა საკითხების მარტივად მოგვარების მიზნით, დევნილთა საერთო კრებაზე აირჩიონ საზოგადოებრივი ორგანო 3-5 კაცის შემადგენლობით. წარმომადგენლობა, თავის მხრივ, ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც ხელმძღვანელობს მის მუშაობას.

ამ ორგანოს მოვალეობას წარმოადგენს:

იქონიოს ჩასახლებულ ობიექტში დევნილთა ზუსტი სააღრიცხვო მონაცემები. მასში ყოველგვარი ცვლილების (დაბადება, გარდაცვალება, ახალი ოჯახის ჩასახლება ან საცხოვრებელი ფართის გამონთავისუფლება და სხვა) შეტანის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს სამინისტროს შესაბამის სამსახურს და დევნილთა სიები სისტემატურად (თვეში ერთხელ) შეაჯეროს სამინისტროს კომპიუტერული ცენტრის მონაცემებთან;

ჩასასახლებულ დევნილებს გააცნოს ის ნორმატიული აქტები, რომელიც ეხება დევნილთა სამართლებრივი და სოციალური დაცვის საკითხებს;

უზრუნველყოს დევნილთა მიერ შინაგანაწესის დაცვა, შენობა-ნაგებობის და ინვენტარის მოვლა-პატრონობა;

ადგილზე შექმნილი სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ადგილობრივ სამსახურებს;

კონტროლი დააწესოს წყლითა და ელექტროენერგიით მომარაგებაზე. დარღვევის შემთხვევაში აცნობოს ზემოთ ჩამოთვლილ სამსახურებს;

საჭიროების შემთხვევაში, უშუამდგომლოს დევნილებს შესაბამისი სამსახურების წინაშე, რათა მათ მიიღონ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ფულადი, სამედიცინო და სხვა სახის დახმარება;

არ დაუშვას საცხოვრებელი ფართის თვითნებური დაკავება.

საზოგადოებრივი წარმომადგენლობა ყველა ჩამოთვლილი საკითხის გადაწყვეეტისათვის უფლებამოსილია, ითანამშრომლოს როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

### საქართველოში დევნილთა საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციები

ჩვენს ქვეყანაში დევნილთა პრობლემებზე არაერთი საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს და მაქსიმალურად ცდილობს, ამ პრობლემების მოგვარებაში ჩვენს სახელმწიფოს დახმარება გაუწიოს. მათ რიცხვს მიეკუთვნება გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, გაეროს განვითარების პროგრამა, მსოფლიო ბანკისა და ჰუმანიტარული საქმიანობის საკოორდინაციო ოფისი და სხვა. თითოეული ეს ორგანიზაცია ახორციელებს სხვადასხვა სახის საქმიანობას:

კონფლიქტის ზონებში უსაფრთხოების კონტროლს;

გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენას;

სარეაბილიტაციო პროცესების ხელშეწყობას;

სურსათისა და გადაუდებელი საჭიროების საგნების განაწილებას;

რეგულარული სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე ზრუნვას;

დევნილთა კოლექტიური ჩასახლების ცენტრების რეაბილიტაციას;

დევნილთა იურიდიულ დაცვას;

საკვები პროდუქტებით მომარაგებას;

ფერმერთა დახმარების პროგრამას

და სხვა.

**თუ თქვენ გესაჭიროებათ იურიდიული კონსულტაცია და სასამათლოში წარმომადგენლობა, ასეთ შემთხვევაში თქვენ უფასოდ მოგემსახურებიან - საქართველოს იურისტთა კავშირის თბილისის, გორის, ქუთაისის, ზუგდიდის, რუსთავის განყოფილებები და ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო.**

ჩვენს შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ წინამდებარე სტატიამ სრულყოფილად დააკამყოფილა თქვენი ინტერესი, თუმცა დაწვრილებით საუბარი ყველა იმ ღონისძიების შესახებ, რომელიც ხორციელდება იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად, შეუძლებელია.

**მთავარია გახსოვდეთ: სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს თქვენი უფლებების სათანადო დაცვა, მოქმედებს მთელი რიგი სოციალური შეღავათები, რომელთა შესახებ ინფორმაცია თქვენთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს!**

www.24hours.ge
24
B

ნომრის სტუმარი

# თბილისის გარეთ დემოკრატია ნაკლებად ესმით

პირველი გვერდიდან

**- ბათუმში მოგზაურობიდან რა ჩამოიტანეთ?**

- ჩვენი ინსტიტუტის საქმიანობა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებთან მუშაობას მოიცავს. ამ სამუშაოს ნაწილი იყო ბათუმში ჩასვლა და "აღორძინების" წარმომადგენლებთან შეხვედრაც.

**- ეს მოგზაურობა კრიზისის გამწვავებას დაემთხვა.**

- დაძაბული სიტუაცია კი გრძელდება, მაგრამ ეს შეხვედრა ადრე გვქონდა დაგეგმილი. ჩემს მისიაში არ შედის კონფლიქტის მოგვარება.

**- რას შეეხო ასლან აბაშიძესთან თქვენი საუბარი?**

- საუბრის ძირითადი თემა აჭარაში დემოკრატიის განვითარება იყო. ვისაუბრეთ იმის შესახებაც, თუ როგორ მოგვენახა ამ პროცესის წინ წასაწევი გზები.

**- NDI-ში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლასთან ერთად თქვენს საქმიანობაში ახალი ეტაპი დაიწყო?**

- ჩვენმა ორგანიზაციამ ძალზე დიდი სამუშაო ჩაატარა. ახლა ჩვენი საქმიანობა, ძირითადად, საპარლამენტო მუშაობას უკავშირდება. საკანონმდებლო ორგანო უნდა გაძლიერდეს. ვიმუშავებთ როგორც აპარატთან, ისევე პარლამენტის ახალ წევრებთან. დიახ, ბევრი ახალი დეპუტატია და სამუშაოც ბევრია. ჩვენ ფართო მასშტაბის საორიენტაციო სემინარებს ვგეგმავთ.

**- რა ორიენტაციაზე საუბრობთ?**

- სწორედ ამ საკითხებზე ვმუშაობთ. ეს სემინარი მაისის დასაწყისისთვის არის დაგეგმილი. მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ ვაშინგტონის ოფისთან, სპიკერის ოფისთან. ბევრ საინტერესო საკითხზე იქნება მსჯელობა. ახალ წევრებს საპარლამენტო მუშაობის არანაირი გამოცდილება არ გააჩნიათ. ეს იქნება საკონსტიტუციო ცვლილებების, ახალი რეგლამენტის განხილვა-ანალიზი. სემინარი შეეხება საკომიტეტო მუშაობასაც და ამომრჩეველთან ურთიერთობასაც. მთავარია, რომ ეს პარლამენტი მოსახლეობის საშუალო ფენისთვის არა დახურულ, არამედ საკმაოდ გამჭვირვალე სივრცედ იქცეს.

**- არჩევნების შედეგები ცნობილია. თქვენი აზრით, იქნება ეს ძლიერი და გავლენიანი პარლამენტი?**

- ახალ პარლამენტს მძიმე გზა აქვს გასავლელი. მით უფრო, რომ მას უფლებები შეუმცირდა. ახალ პრეზიდენტს ახალი დინამიკა, თანამედროვე ხედვა მოაქვს და პარლამენტს აქვს შანსი, იყოს ეფექტური ორგანო.

წინა მოწვევის პარლამენტი ოპოზიციის ერთგვარი თავშესაფარი იყო - იყო დავა, კამათი, ექსცესები. ახლანდელ პარლამენტს ეს როლი არ უნდა ჰქონდეს, თუმცა, აქ ბევრი ისეთი პოლიტიკოსია, რომელიც ნომინალურად მხარს უჭერს პრეზიდენტს, მაგრამ მას ბრმად არ გაჰყვება.

პარლამენტის ეფექტურობის გასაზარდელად მთავრობასთან თანამშრომლობაა მთავარი. საკანონმდებლო ორგანო არც მარიონეტი უნდა იყოს და არც ძალზე კრიტიკული.

**- ბევრი დეპუტატი ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების წინააღმდეგია. ალბათ, დღის წესრიგში ეს საკითხი დადგება. შეძლებს თუ არა რაიმეს შეცვლას ეს პარლამენტი?**

- ადამიანების საკმაოდ დიდ რაოდენობას ეს საკონსტიტუციო ცვლილება არ მოსწონს, მაგრამ ერთადერთი გამოსავალი ამ პროცესზე მუშაობაა. თანაც, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ეს დროებითი ცვლილებებია. მათ, ვისაც არ მოსწონს, პრეზიდენტს უნდა მოსთხოვონ ამ პირობის შესრულება, რადგან სხვა არავინ შეუსრულებს ამას.

**- პარლამენტს გარეთ დარჩენილ პარტიებთან რა ურთიერთობები გაქვთ, რას ურჩევთ რეიტინგის ასამაღლებლად?**

- ჩვენ ვთანამშრომლობთ და კარგი ურთიერთობები გვაქვს "ლეიბორისტებთან", "ტრადიციონალისტებთან" და "აღორძინებასთან". 2-3 წელიწადში, საქართველოში, შეიძლება, რადიკალურად შეიცვალოს პოლიტიკური სურათი. ხომ ნახეთ, სულ ცოტა ხნის წინ გამოჩენილმა პარტიამ "თავისუფლება" ამ არჩევნებში რამდენი ხმა აიღო. ჩემი აზრით, შემდეგ საპარლამენტო არჩევნებზე დიდი ცვლილებები მოხდება.

დღეს ყველაფერი თავიდან არის დასაწყები. სამთავრობო ბლოკი ისე დიდია, რომ წარმოუდგენელია, ცალკეულ ფრაქციებად არ დაიშალოს. დიდი სამუშაო აქვს ჩასატარებელი ისეთი ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციას, როგორიც ჩვენ ვართ.

**- ნოემბრის მოვლენების დროს "ლეიბორისტები" და "აღორძინება" ხალხის მხარეს არ დადგნენ. რას გულისხმობთ, როცა მათთან კარგ ურთიერთობებზე საუბრობთ?**

- მათი მოქმედებების განსჯა ჩვენი საქმე არ არის. "ლეიბორისტული" პარტიის რეიტინგი ახლა ძალზე დაბლაა, მაგრამ შეიძლება ისე შეიცვალოს ვითარება, რომ რეიტინგმა ისევ აიწიოს.

**- საამისოდ რა პოტენციალს ხედავთ?**

- უნდა გავითვალისწინოთ, რომ საპარლამენტო არჩევნები 2008 წლამდე აღარ იქნება. თუ დროს შევაჩერებთ, დღევანდელი სურათი ნათელია, მაგრამ თუ წარსულს გადავხედავთ, მაშინ მხოლოდ "მოქალაქეთა კავშირი" არსებობდა, არ იყო არც "ნაციონალური მოძრაობა" და არც სხვა პარტიები... ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

**- თქვენ მუშაობთ "აღორძინებასთან", რომელიც რეგიონში სახელისუფლებო პარტიაა. შეხვედრის დროს თუ ესაუბრეთ მათ არსებულ კრიზისზე და რა პოზიციით წარდგნენ ისინი NDI-ს წინაშე?**

- ბათუმში სულ ორიოდე თითო საათიანი შეხვედრა გვქონდა. ამ საკითხებზე მუშაობას ახლა ვიწყებთ, ამიტომ რაიმე დასკვნების გაკეთება ჯერ ნაადრევია. ორივე მხარეს მიაჩნია, რომ თავად არის მართალი და ვფიქრობ, რომ ძალადობის ესკალაციის სურვილი არც ერთ მხარეს არ აქვს. მთავარია, რომ ორივე მხარე სიტუაციის დარეგულირებას შეეცადოს.

**- აჭარაში ნახეთ სანგრები და იარაღი?**

- დიახ.

**- რა სტადიაშია დემოკრატია აჭარაში?**

- ამ კითხვას ახლა პასუხს ვერ გავცემ, შეფასებისგან თავს შევიკავებ.

**- აბაშიძემ მიგიღოთ, როგორც თბილისის ემისარი?**

- არა მგონია. მან იცის, რას აკეთებს NDI. მას არ მივუღივარ არც როგორც ამერიკის და არც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი.

ეს იყო ჩვეულებრივი, ერთსაათიანი შეხვედრა, რომელზეც კრიზისის შესახებ დაწვრილებით არ გვისაუბრია.

**- თქვენ ურთიერთობები გაქვთ ცესკო-სთან. რა თვისობრივ განსხვავებას ხედავთ ძველ ცესკო-სთან?**

- ზურაბ ჭიაბერაშვილს დონორებთან ერთად ვხვდები. რა თქმა უნდა, წინა ცესკო-სგან განსხვავდება - უფრო ენერგიულია და საქმისადმი პასუხისმგებლობა იგრძნობა, მაგრამ არავინ არის სრულყოფილი, ამეტებენ ხოლმე...

**- მათთან ისაუბრეთ თუ არა ქობულეთში და ხულოში ჩასატარებელ არჩევნებზე?**

- პირველ რიგში, იმას ვიტყვი, რომ ცესკო-ს თავმჯდომარეს ყველგან შესვლა უნდა შეეძლოს.

ხულოსა და ქობულეთის განმეორებითი არჩევნების შესახებ უზენაეს სასამართლოს უნდა გამოეტანა განაჩენი. ალბათ, ყველასთვის ნათელია, რომ ეს არჩევნები არ იქნება, ამას უფრო შეჯიბრების სახე ექნება, ამიტომ, არ ვიცი, როგორ განვითარდება მოვლენები. ცენტრმა შეცდომა მაშინ დაუშვა, როცა არჩევნების ჩატარებამდე გამოაცხადა, რომ აჭარაში ეს პროცესი უნდა გადადებულიყო. და ეს ყველაფერი, თითქოს, დადგმული გამოდის.

**- ჩვენს ქვეყანაში 2002 წლიდან მუშაობთ. როგორ შენიშნეთ, ამ ხნის განმავლობაში პოლიტიკური კულტურა განვითარდა?**

- რეჟიმის მშვიდობიანმა გადაგდებამ, რაც გასული წლის ნოემბერში მოხდა, საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც კარგი გამოხმაურება ჰპოვა, კარგი რაღაც მოხდა. ის მთავრობა ხალხს არ ემსახურებოდა.

ამ კუთხით, ნოემბრის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. მოსახლეობაში გაჩნდა ოპტიმიზმი, უკეთესი მომავლის იმედი, მაგრამ რაც შეეხება დემოკრატიას, დემოკრატიულ ფასეულობებს და პოლიტიკურ კულტურას, თბილისის გარეთ ეს ნაკლებად ესმით. "ეს არის ის, რაც ხდება თბილისში და არ მეხება მე" - ასე აღიქვამენ რეგიონებში.

საქართველოს რეგიონებში ვმოგზაურობ და სწორედ ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა. ნოემბერში მომხდარ გარდატეხას შენარჩუნება უნდა, რათა ეს არ იყოს ერთი მომენტი, მეხის გავარდნა და მერე ისევ უკუსვლა არ მოჰყვეს.

არ შემიძლია იმის თქმა, რომ მთავრობას არაფერი გაუკეთებია, არა, ეს პირიქით არის და ხალხი ამას გრძნობს, მაგრამ ბევრი რამ არ შეცვლილა. დემოკრატია არ არის პრეზიდენტის მიერ გაკეთებული ხმამაღალი განცხადებები, დემოკრატია არც საარჩევნო ყუთთან წყდება. დემოკრატია იგრძნობა ხალხში, ქუჩებში და ა.შ. ეს მონაპოვარი უნდა გამყარდეს.



ლინკოლნ მიტჩელი.

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ეს საკონსტიტუციო ცვლილებები დროებითია. მათ, ვისაც არ მოსწონს, პრეზიდენტს უნდა მოსთხოვონ ამ პირობის შესრულება, რადგან სხვა არავინ შეუსრულებს ამას.

დემოკრატია არ არის პრეზიდენტის მიერ გაკეთებული ხმამაღალი განცხადებები, დემოკრატია არც საარჩევნო ყუთთან წყდება. დემოკრატია იგრძნობა ხალხში, ქუჩებში და ა.შ. ეს მონაპოვარი უნდა გამყარდეს.



პარლამენტი მოსახლეობის საშუალო ფენისთვის არა დახურულ, არამედ საკმაოდ გამჭვირვალე სივრცედ უნდა იქცეს.



ნოემბერში მომხდარ გარდატეხას შენარჩუნება უნდა, რათა ეს არ იყოს ერთი მომენტი, მეხის გავარდნა და მერე ისევ უკუსვლა არ მოჰყვეს.



არ შემიძლია იმის თქმა, რომ მთავრობას არაფერი გაუკეთებია, არა, ეს პირიქით არის და ხალხი ამას გრძნობს, მაგრამ ბევრი რამ არ შეცვლილა.




## თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
გიგა ნახუცრიშვილი,
ზურაბ ქიქოძე
მუუუ...
რეჟ. ზურაბ ქიქოძე
დას. 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ავქსენტი ცაგარელი
ხანუმა
რეჟ. ლევან წულაძე
დას. 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ევრიპიდე, ჟან ანუი
მედეა
რეჟ. გოჩა კაპანაძე
დას. 19:00 სთ.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
ზამთრის ღამის სიზმარი
(ოტია იოსელიანის ექვსი შინაბერასა და ერთი მამაკაცის მიხედვით)
რეჟ. დავით ანდღულაძე
დას. 18:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
უილიამ შექსპირი
ტიტუსი
რეჟ. დავით შალიკაშვილი
დას. 18:00 სთ.

## კონცერტები

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
იუმორინა 2004
დას. 19:00 სთ.

## კინოთეატრი

**კინოს სახლი**
სამურაი
(საფრანგეთი, მთ. როლში ალენ დელონი)
დას. 18:00 სთ.

## გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
პერესტროიკიდან გადატრიალებამდე

**ბაიას გალერეა**
მერაბ აბრამიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**თბილისის ისტორიის მუზეუმი ქარვასლა**
ქრისტინე რობაქიძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა ევოლუცია

**სურათების ეროვნული გამოფენა**
ჯემალ გვიმრაძის მემორიალური გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ფესტივალი ოზურგეთში

## ფესტივალი საქართველოს პრეზიდენტის პატრონაჟის ქვეშ ჩატარდება

თამაზ ხარაიშვილი
*ოზურგეთი*

ამ ფესტივალს საერთაშორისო სტატუსი იმიტომ მიენიჭა, რომ ქართველ ერთან ერთად მასში მონაწილეობას მიიღებენ ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები საფრანგეთიდან, აშშ-დან, კანადიდან, იაპონიიდან და სხვა ქვეყნებიდან. ეს უთუოდ შთამბეჭდავი ღონისძიება სექტემბრის დამლევს გაიმართება და თბილისის ფოლკლორის საერთაშორისო სიმპოზიუმის გაგრძელება იქნება. შექმნილია ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის, გურიის მხარის ადმინისტრაციისა და ოზურგეთის გამგეობის ერთობლივი საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც ფესტივალის მოსამზადებელ სამუშაოებს გაუძღვება. როგორც ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი აცხადებს, ფესტივალი კიდევ ერთი საუკეთესო საშუალება იქნება ქართული სიმღერის, განსაკუთრებით მისი გურული კილო-კავის პოპულარიზაციისათვის. იგი სასარგებლო იქნება ახალგაზრდობისათვის, რომელიც თანდათან სწყდება ერის ერთ-ერთ უმთავრეს საუნჯეს, ვერ აცნობიერებს მის ჭეშმარიტ ღირებულებას და უფრო იაფფასიან უცხოურ და ქართულ მუსიკას ეტანება.

საფესტივალოდ ოზურგეთში სხვა არაერთი ღონისძიება არის განზრახული, გაიხსნება მსოფლიოში ერთადერთი საგალობლის მუზეუმი, გამოიცემა წიგნი ძველ მომღერალ-მგალობლებზე, ასევე დღის სინათლეს იხილავს გურული სიმღერების სანოტო კრებული ქართულ-ინგლისური ტექსტებით, გამოიცემა კომპაქტ-დისკები ძველი მომღერლების ჩანაწერებით. ფესტივალს მოამზადებენ და საგამომცემლო საქმიანობაში აქტიურად არიან ჩაბმულნი ბიზნესმენები ვაჟა ლომინაძე, ივანე ჩხარტიშვილი და ბადრი პატარკაციშვილი. ფესტივალის დასკვნითი გალა-კონცერტი პატარკაციშვილის (და არა მარტო პატარკაციშვილის) იმედი-ქალაქში გაიმართება.

რაც მთავარია, ფესტივალის ჩატარების იდეა მოიწონა საქართველოს პრეზიდენტმა, უფრო მეტიც - ფესტივალი მისი უშუალო პატრონაჟით ჩატარდება.

# მელანი გრიფიტის ახალი სახე

დაიჯერებთ, რომ ეს ჰოლივუდის მშვენებად აღიარებული ქალია, რომელმაც ერთ დროს ანტონიო ბანდერასი მოხიბლა და ქორწინების უღელში შეაბა ჰოლივუდისათვის უპრეცედენტო ვადით?

მრავალგზის გაკეთებულმა პლასტიკურმა ქირურგიამ და მზის გადამეტებულმა დოზამ საგანგაშო კვალი დატოვა 45 წლის მელანი გრიფიტის სახეზე. ქმარმა (ანტონიო ბანდერასმა) მას ამჯერად უკვე სასტიკად აუკრძალა კიდევ ერთი პლასტიკური ოპერაციის გაკეთება. კოსმეტოლოგ-დერმატოლოგი ჰილარი ალანი ამბობს: მელანის ძალიან ბევრი "ბოტოქსი" აქვს გაკეთებული, განსაკუთრებით თვალების ირგვლივ, რაც ასეთ არაბუნებრივ და ნიღაბისებურ იერს აძლევს მის სახეს. ინექციებმა ტუჩებზე კი მას დაზიანება და სიწითლე დაუტოვა, ხოლო აწითლებული სახე, ყელი და მკერდი მზისგან მიღებულ სერიოზულ დამწვრობაზე მიუთითებს."

ფოტოზე, ერთ დროს ულამაზესი მელანი ნაადრევად დაბერებულად და საკმაოდ არაესთეტურად გამოიყურება. შედეგი მართლაც ძალიან სავალალოა - სილამაზის გახანგრძლივების ნაცვლად ნაადრევი სიბერე და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება.

# პურ-მარილი ახალი დატვირთვით

## გოეთეს ინსტიტუტი ლიტერატორებს მასპინძლობს



პურ-მარილი



თენგიზ ხაჭაპურიძე და ზვიად რატიანი

*სიყვარულს ყველაფერი შეუძლია.*
*მთების გადადგმა, სუნთქვის შეკვრა, გაგიჟება და გაბედნიერება, მას შეუძლია, ვნება, მონატრება ან იდეალი იყოს.*
*მას უამრავი სახე აქვს რეალობაში, მოგონებებსა თუ მოტივაციაში, რომელიც კაცს წერას აწყებინებს: სქესთა თუ თაობათა შორის სიყვარული, მიტოვებულისა და დავიწყებულის სიყვარული, კულტურისა თუ რელიგიის სიყვარული, ახლობლისა თუ უცხოს სიყვარული, ყველაფრის სიყვარული,*
*რისი გამოგონება თუ შეგრძნებაც შესაძლებელია.*
*წელს რაურისის ლიტერატურული დღეების ძირითადი თემა სიყვარული იყო.*

ანა კორძაია-სამადაშვილი

### რაურისის ლიტერატურული დღეები

რაურისი პატარა დასახლებაა, ინსბრუკსა და ზალცბურგს შორის. ზამთარში აქ სათხილამუროდ დადიან, ზაფხულში ლაშქრობებს აწყობენ ხოლმე. როცა სტუმრები აღარ ჰყავთ, რაურისელებს სიმშვიდე უკვირთ...

პირველად რაურისის ლიტერატურული დღეები 1971 წლის თებერვალში გაიმართა. თავდაპირველად ეს ღონისძიება თითქოს კომერციულ მიზანს ემსახურებოდა ზამთრის სეზონის ბოლოს რაურისში უცხო ხალხის მოზიდვას.

თავად რაურისელებს უნდოდათ, რომ ამ დღეებში ცნობილ მსახიობებს მათთვის კლასიკური ლიტერატურა წაეკითხათ, ამიტომ პირველ საჯარო კითხვებს იმედგაცრუებული მოსახლეობა ნაკლებად ეტანებოდა.

არადა, ის პროგრამა სენსაციური იყო. მოწვეულ ავტორთაგან რამდენიმეს დასახელებაც სავსებით საკმარისია, რომ ღონისძიების დონეზე წარმოდგენა შეგექმნათ: ილზე აიხინგერი, თომას ბერნჰარდი, გაბრიელე ვომანი, გერჰარდ ამანსჰაუზერი... ორგანიზატორებს უნდოდათ, რომ განცალკევებით მდებარე რაურისისთვის ახალი სულიერი იმპულსი მიეცათ და მისთვის თანამედროვე ლიტერატურა გაეცნოთ. ეს კონცეფცია დღემდე აქტუალურია.

წელს რაურისის ლიტერატურული დღეები 34-ედ გაიმართა და უცხოური ლიტერატურის პროგრამა ქართულ ლიტერატურას მიეძღვნა: იდუმალებით მოცული საქართველო. ქართულ ლიტერატურას სამი ავტორი წარმოადგენდა: მწერალი, ესეისტი და მთარგმნელი დათო ბარბაქაძე, მთარგმნელი თენგიზ ხაჭაპურიძე და პოეტი და მთარგმნელი ზვიად რატიანი.

პროგრამის მთავარ თემას სწორედ მისი ლიტერატურული შემოქმედება წარმოადგენდა (საუბარია პროგრამაზე, რომელშიც პეტერ ჰოდინა, ქრისტიან ფუქსი, ჰანა იოჰანსენი, ბარბარა ფრიშმუტი, ერიხ ჰაკლი, რობერტ მენასე, დიტერ ქიუნი, რაულ შრპტი და კატია ოსკამპი მონაწილეობდნენ). ის გაგაცნობთ სამხრეთ კავკასიის უცხო, თვალწარმტაც სამყაროს, დაჰპირდნენ ორგანიზატორები ლიტერატურული დღეების სტუმრებს, და ლიტერატურული დღეების დასრულების შემდეგ გამოქვეყნებული სტატიების მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, იმედგაცრუებული არავინ დარჩენილა.

თქვენთვის ეს ყველაფერი ძალიან ნაცნობი იქნება, - თქვა სამმა ქართველმა, რომლებიც რაურისში იყვნენ მიწვეული: მთები და თოვლი, მზე და ცაში მოცურავე ღრუბლები. უცხოს არაფერს ნახავთ კავკასიონის ქედის უკან, მათ ქვეყანაში, რომელიც მეტისმეტად დიდხანს იყო უცხოთა ბატონობის ქვეშ და დასავლეთს მეტისმეტად დიდი ხნის განმავლობაში იყო მოწყვეტილი. შემდეგ მათ თავიანთი ლექსები წაიკითხეს. მათ ყელში უცნაური ბგერები ჩნდებოდა, სწრაფ ტემპში იბადებოდა სულშიჩამწვდომი მელოდიები, რისი უნარიც მათ საუცხოო ენას შესწევს. "Schreib auch ber die Liebe, ნათქვამია ზვიად რატიანის ლექსში Ex Voto (თარგმანი თენგიზ ხაჭაპურიძისა) und sag, dass du das Geheimnis erfuhrst - / dass Gedichte vor der Liebe geschrieben / und nach der Liebe gelesen werden (წერე სიყვარულზედ და თქვი, რომ ჩაწვდი საიდუმლოს - / რომ ლექსები იწერება სიყვარულამდე / და სიყვარულის შემდეგ იკითხება). გერმანულად ეს ლამაზად და დალაგებულად ჟღერს, ქართულად კი ანარქიულია, ეს არის სიყვარულის წყურვილი, და იმ ლიტერატურისა და ხელოვნების წყურვილი, რომელშიც ამდენხანს არ შეეძლო მონაწილეობა... (ნოიე ციურხერ ცაიტუნგ, 22 მარტი, 2004 წელი).

გარდა ამისა, სამმა ქართველმა ლიტერატორმა გამართა საუბარი ბავშვობის შესახებ, რომელიც, ტრადიციულად, რაურისის ლიტერატურული დღეების დროს საზოგადოებისთვის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ პროგრამას წარმოადგენს.

> *ეს არის სიყვარულის წყურვილი, და იმ ლიტერატურისა და ხელოვნების წყურვილი, რომელშიც ამდენხანს არ შეეძლო მონაწილეობა...*

### ზალცი

იქვე წარმოდგენილი იყო დიდი ტრადიციის მქონე ლიტერატურული ჟურნალის, ზალცის საგანგებო გამოცემა, რომელიც თანამედროვე ქართულ ლიტერატურას მიეძღვნა.

რედაქციის წინასიტყვაობაში ნათქვამია: ლიტერატურული ჟურნალი ზალცი წარმოგიდგენთ ლიტერატურას საქართველოდან, მდიდარი ლიტარატურული ტრადიციის მქონე ქვეყნიდან, რომელიც ჩვენთან თითქმის უცნობია. საქართველო ეგ სადაა? ატლასში ვიხედები ხოლმე, რომ დავრწმუნდე, რომ საქართველო მართლა არსებობს, წერდა ლემენს აიხი თავის წიგნში ჩანაწერები საქართველოდან..

ჩვენი თანამედროვე ლიტერატურა ამგვარადაა წარმოდგენილი: კარლო კაჭარავას, დავით ჩიხლაძის, დათო ბარბაქაძის, ზვიად რატიანის, შოთა იათაშვილის, რატი ამაღლობელის, სოფიკო კვანტალიანის ლექსები, აკა მორჩილაძის - წიგნი, ზურაბ ქარუმიძის - თხა და გიგო, ლაშა ბუღაძის - მათ, ვისაც მოცარტის საფლავის მოძებნა უნდათ, ირმა თაველიძის - მოქმედი პირები, გივი მარგველაშვილის - მინიატურები. შესავალი პოსტსაბჭოთა ქართულ ლიტერატურაში დათო ბარბაქაძესა და ბელა წიფურიას ეკუთვნით, ქართული ლიტერატურის მიმოხილვის ავტორი, ისევე, როგორც რატი ამაღლობელის ლექსების მთარგმნელი, უტე აიზინგერი გახლავთ. სხვა ავტორების ნაწარმოებები შტეფი ხოტივარი-იურგენმა, თენგიზ ხაჭაპურიძემ და მანანა პაიჭაძემ თარგმნეს.

### მასპინძელი – გოეთეს ინსტიტუტი

ეს კრებული გუშინ, გოეთეს ინსტიტუტში გამართულ საღამოზე, სუფრის ნაწილი იყო: ზალც გერმანულად მარილს ნიშნავს, და გრძელ, შოთის პურთან ერთად ის სუფრას ამშვენებდა. პურ-მარილზე მობრძანებულ სტუმრებს ბატონი ჰარალდ ბიკი მიესალმა, ინსტიტუტის ენის განყოფილების ხელმძღვანელი (ავსტრიის კონსულმა, ქალბატონმა ევა ბერგერმა, მნიშვნელოვანი შეხვედრის გამო მობრძანება ვერ შეძლო). ის ძალიან გახარებული იყო, რომ ქართულ-ავსტრიული ლიტერატურული საღამო სწორედ გოეთეს ინსტიტუტში გაიმართა, რადგან ეს ინსტიტუტი არა მარტო გერმანული კულტურის ქომაგია, არამედ მთელი გერმანულენოვანი ლიტერატურისაც. მან განაცხადა, რომ გერმანულენოვან სივრცეში თანამედროვე ქართულ ლიტერატურას ნაკლებად იცნობენ, ისევე, როგორც ჩვენ ვერ დავიკვეხნით თანამედროვე გერმანულენოვანი ლიტერატურის ღრმა ცოდნას. არადა, გერმანელებს, შვეიცარიელებს თუ ავსტრიელებს ჩინებული ლიტერატორები ჰყავთ, და საქართველოშიც უაღრესად საინტერესო ნაწარმოებები იქმნება.

ღონისძიების გოეთეს ინსტიტუტში გამართვის ინიციატორი მარინე ფერაძე გახლდათ, და რაურისის ლიტერატურულ დღეებში ქართველ ლიტერატორთა მონაწილეობასაც მნიშვნელოვანწილად სწორედ მას ვუმადლით. მან საზოგადოებას რამდენიმე სიტყვით უამბო იმის შესახებ, რაც ზემოთ მოგახსენეთ, და ამ მოვლენების უშუალო მონაწილეები, მანანა პაიჭაძე და თენგიზ ხაჭაპურიძე და მთავარი გმირი, ზვიად რატიანი წარმოგვიდგინა.

ვგონებ, ყველა კმაყოფილი დარჩა გერმანული კულტურის ინსტიტუტში ნაგემი ქართული პურითა და ავსტრიული მარილით.

# ძველი ავტორი ახალ განზომილებაში

თეონა ჭაფარიძე



ნუგზარ შატაიძე ზაალ სამადაშვილის სტუმარია

კალმით ვეღარ ვმუშაობ, კომპიუტერზე ვბეჭდავ, მეუბნება ჩვენი დროის ცნობილი მწერალი ნუგზარ შატაიძე. მე მას წიგნის სახლში გამართულ მისი წიგნის პრეზენტაციაზე შევხვდი. ყველამ მშვენივრად იცით (ყოველ შემთხვევაში, ჩვენი გაზეთის მკითხველმა მაინც) წიგნის სახლისა და მწერალ ზაალ სამადაშვილის ლიტერატურული ციკლის “ახალი განზომილების” შესახებ. მოგეხსენებათ, ხუთშაბათობით აქ იკრიბება ყველა, ვისაც ლიტერატურა ძლიერ უყვარს და ხვდება მათ, ვინც მას ქმნის ანუ მწერლებსა და პოეტებს.

ჰოდა, გუშინდელ ხუთშაბათობაზე ბატონ ზაალ სამადაშვილს ნუგზარ შატაიძის ახლად გამოცემული წიგნი ნოემბრის წვიმა ეჭირა ხელში. სუფთა კაცის სუფთა წიგნიო, ასე დაასათაურეთ თქვენი სტატიებიო გვირჩია ბატონმა ზაალმა წიგნის სახლში მისულ ჟურნალისტებს. დარწმუნებული ვარ, ვინც თანამედროვე ქართულ მწერლობას კარგად იცნობს, ამ აქსიომაში ეჭვი არავის შეეპარება, მაგრამ მე მაინც ახალ განზომილებასა და დროს დავუკავშირებ 70-იანელი მწერლის დღევანდელ განცდებს: ქვეყანა შეიცვალა. კრიტერიუმები გადაადგილდა. ცხოვრების წესი და ურთიერთობები ახალია. ამ ცვლილებებით გამოწვეული სევდა გასდევს ჩემს მოთხრობებს. ბევრი ახალი ფასეულობა ჩემთვის მისაღებია. მაგალითად, კომპიუტერი, შესანიშნავი გამოგონებაა. კალმით ვეღარ ვმუშაობ. ვცდილობ, ჯუჯღუნა მოხუცად არ გადავიქცე, ეს სიტყვები პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, საუბრისას წამოსცდა მწერალს და, ვფიქრობ, რომ ვერც ერთი დამწყები ან უკვე მოდური ახალგაზრდა ავტორი ვერ დაწერს იმაზე, რაზეც მწერალი, რომელსაც რაღაცნაირი სევდა ეუფლება, როცა კალმით ვეღარ მუშაობს და კომპიუტერზე ბეჭდავს.

წიგნის პრეზენტაციამ კი დიდებულად ჩაიარა. პრეზენტაცია ახალია ჩემთვის. არც კი ვიცი, როგორ მოვიქცე, ეს უშუალობა და გულწრფელობა არავის გაჰკვირვებია მისგან. შემდეგ დაამატა: თუ გინდათ, პატარა ნოველას წაგიკითხავთ, სასაცილო ნოველაა, სადღეგრძელო ჰქვია.

“ნოემბრის წვიმას”, რომელშიც მწერლის მოთხრობები, ნოველები და რადიოპიესები შედის, ზაალ სამადაშვილის წინასიტყვაობა აქვს დართული. ბატონი ზაალი ამაყობს, რომ ეს მცირე ესე, რომელიც მან ნუგზარ შატაიძის შესახებ ოთხი წლის წინ დაწერა, მწერალმა თავის ახლად გამოცემულ წიგნს დაურთო. რამდენიმე საინტერესო ფრაგმენტს თქვენც შემოგთავაზებთ: ნუგზარ შატაიძე ჩემი მწერალია. ჩემს მწერლებს ვუწოდებ მათ, ვის წიგნებსაც, რამდენჯერმე წაკითხულებს, ხშირად ვუბრუნდები, წელიწადში, სულ ცოტა, ორ-სამჯერ მაინც, წერს ზაალ სამადაშვილი. ნუგზარ შატაიძის წიგნებთან ხელახალი მიბრუნების სურვილზე გუშინ წიგნის სახლში მწერალი და მსახიობი ჯემალ მონიავაც საუბრობდა. სხვათა შორის, სუფთა კაცის სუფთა წიგნი სწორედ მან უწოდა “ნოემბრის წვიმას”, რომლის შესახებაც შემდეგ ბატონმა ზაალმა ჟურნალისტებს რჩევა მოგვცა. ზაალ სამადაშვილის მცირე ესედან კიდევ ერთ ნიუანსზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას: ის კი არ აფიქსირებს ცხოვრებას ფოტოგრაფივით, კი არ აკვირდება მას, როგორც ექსპერიმენტისთვის გამეტებულ საბრალო ცხოველს, არამედ თანაუგრძნობს ადამიანს, უყვარს ადამიანი.

ექსპერიმენტებით აღსავსე ახალ განზომილებაში, სადაც ადამიანთა სიყვარულის დეფიციტია, ვფიქრობ, აქტუალური უნდა იყოს “ნოემბრის წვიმა” და მისი ავტორი.

და კიდევ ერთი, ჩვენი დროისთვის დაუჯერებელი ნიუანსი: წიგნი, რომელიც სამი წლის მანძილზე ელოდა გამომცემელს, სრულიად უანგაროდ გამოსცა ბატონმა გიორგი ყვავილაშვილმა და გამომცემლობა “თერმამ”.

# დიდი პატარა ადამიანი

## დღეს ჩარლი ჩაპლინის დაბადების დღეა

**ნაწყვეტები ჩაპლინის წიგნიდან "ჩემი ბიოგრაფია"**

დავიბადე 1889 წლის 16 აპრილს, საღამოს რვა საათზე, უოლვორთში, ისტ-ლეინის ქუჩაზე. სულ პატარას მამა არ მახსოვდა, - საწყალი საშინლად გალოთდა და ამიტომაც დავშორდიო მეტყოდა ხოლმე დედა, ამიტომ სახლში მე, ჩემი ძმა სიდნეი და დედა ვცხოვრობდით. ჩემი ცხოვრების ეს პერიოდი, ხან მკაფიოდ, ხან კი, თითქოს ფოკუსიდან ამოვარდაო ბუნდოვნად მახსოვს.

ბავშვობა უკიდურეს სიღარიბეში გავატარე, ისე იმდენად შევეჩვიე, რომ დიდად არც მაწუხებდა. დედა ჩაის აგვიდუღებდა, ქონში შეგვიწვავდა პურს და საინტერესო ამბებს მოგვიყვებოდა. თუ დაჟინებით მოვითხოვდით გადმოიღებდა თავის თეატრალურ კოსტიუმებს, დაიხურავდა პარიკს და სხვადასხვა დადგმიდან ნაწყვეტებს წაგვიკითხავდა. ახლავე გაიქეცი მაკარტებთან, იქ ისადილე, შინ არაფერია მეტყოდა ხოლმე ხშირად. მაკარტები დედას ძველი მეგობრები იყვნენ, მათ ჯერ კიდევ იმ დროიდან იცნობდა, როცა ვარიეტეში გამოდიოდა. მისის მაკარტი ზოგჯერ მოიკითხავდა დედას, ამ ბოლო ხანებში რატომ ველარ ვხედავო. მე ხან რას მოვიგონებდი და ხან რას. სინამდვილეში კი, რაც გავლატაკდით, დედა ძველ მეგობრებთან შეხვედრას ერიდებოდა.

მალე იძულებული გახდა ჰანუელის ობოლ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში ჩავებარებინეთ. როგორ არ მიყვარდა იქაურობა, თითქოს ჰაერიც სევდით იყო გაჟღენთილი. ასი ბიჭი ორ-ორად მოვეწყობოდით მწკრივში და გაჯგიმულები მივდიოდით. ო, როგორ მძულდა ეს გასეირნება. ის სოფლები, რომელთაც ჩვენ გავდიოდით. ცნობისმოყვარეობით მოგვაშტერდებოდა ხალხი და ხმამაღლა ხეპრეების საბუდარიდან გამოსულებს გვეძახდნენ. რამოდენიმე ხანი ვცხოვრობდით ინტერნატში, ბოლოს კი, როცა დავბრუნდით, ჩვენი სამოთახიანი ბინის მაგივრად, ქალაქის ყველაზე ღარიბი უბანი და სხვენზე ოთახი დაგვხვდა. სულ უფრო და უფრო ვეფლობოდით სიღარიბეში. უკიდურესი გაჭირვების დროს, დედას შაკიკი გაურთულდა და იძულებული გახდა თავი გაენებებინა კერვისთვის. ეს ჩვენი შემოსავლის მთავარი წყარო იყო. რამოდენიმე დღე ბნელი ოთახიდან არ გამოდიოდა, სულ იწვა და თვალებზე ჩაის საფენებს იდებდა. პიკასოს ე.წ. ცისფერი პერიოდი ჰქონდა. ჩვენ კი წნიანის ტალონებით და შემწეობის ამანათებით გვედგა სული, თან სიდნეიმ გაზეთების გაყიდვა დაიწყო. დედას, დარწმუნების რაღაც საოცარი უნარი ჰქონდა. სიდნეის, რამდენჯერაც გაახსენდებოდა, იმდენჯერ უკვირდა - როგორ დამითანხმა და ჩავიცვიო. ზამთარი იყო, სიდნეის კი ჩასაცმელი არაფერი ჰქონდა და დედამ თავისი ძველი ხავერდის ჟაკეტისგან შეუკერა პალტო, რომელიც სულ ჭრელი გამოვიდა, თან მხრებში საშინელ ნაოჭებს იკეთებდა. ფეხზე თავისი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ჩააცვა და ისე გაუშვა სკოლაში, რამაც ბევრ ჩხუბსა და დავიდარაბას გადაჰკიდა საწყალი სიდნეი. იოსები და მისი ჭრელი პალტოო ეძახდნენ, მე კი ძველი წითელი ტრიკოსგან მაღალყელიანი წინდები გამომიჭრა (რომელიც სულ მეჩაჩებოდა) და სერ ფრენსის დრეიკი შემარქვეს.

მამის გარდაცვალების მერე, მაშინ 12 წლის ვიყავი, რამოდენიმე კვირა მკლავზე სამგლოვიარო, შავი ბაფთა მეკრა. ისე, როცა კომერციულ საქმიანობას მივჰყავი ხელი, ჩემი ბაფთა საკმაოდ გამომადგა. შევიდოდი, რომელიმე ლუდხანაში და ნაღვლიანად ვიტყოდი ნარგიზები მისს, ნახეთ რა ლამაზი ყვავილებია მისის... ქალი უსათუოდ მკითხავდა ვინ მოგიკვდა ბიჭი? მეც დავხრიდი თავს და ჩუმად ჩავიჩურჩულებდი მამა მისს. საჩუქარი და ყვავილების გასაღება გარანტირებული იყო. ისე ათას რამეში ვცადე ბედი; ჯერ მეწვრილმანესთან ვმუშაობდი დამტარებლად, ვმუშაობდი ერთ ექიმთან დამლაგებლად, თუმცა იქიდან მალევე გამომაგდეს ამ საქმისთვის პატარა ხარო, რადგან ათი ფუტის სიმაღლის ფანჯრებს ვერ ვწვდებოდი და მუდამ ჭუჭყიანი იყო. ამის გამო იმდენი ვიტირე კაბინეტში, რომ კინაღამ მთელი კლიენტურა დავუფრთხე. შეშინებულმა ექიმმა თვითონ მიშოვა სამუშაო ადგილი მოახლედ, კერძო სახლში. თქვენ იცით, ეს რა დიდებული იყო, გემუშავა კერძო სახლში! მაგრამ, არც იქ გავჩერებულვარ დიდხანს. ერთხელ, როცა დიასახლისმა სარდაფის დალაგება მიბრძანა, ქვემოდ ჩასულმა რვა ფუტის სიგრძის მილი აღმოვაჩინე. ყველაფერს თავი დავანებე, მოვიმარჯვე უზარმაზარი მილი და თითქოს საყვირი ყოფილიყოს ჩაბერვა დავიწყე... ამ დროს თავზე დიასახლისი დამადგა. იმ დღესვე დამითხოვეს.

- იცი, დედაშენი გაგიჟდა! მომახალა ერთხელ მეზობლის გოგომ. ყველას ჩამოგვიარა, ნახშირი არ გინდათ, ბავშვებს დაბადების დღისთვის უყიდეთო... ექიმი მალე მოვიდა, გასინჯა, მერე მომიბრუნდა და მითხრა - ეს შიმშილისგან მოუვიდაო. დედა, კეინ ჰილის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. იმის მერე აღარ გამოჯანმრთელებულა.

ხუთი წლის ვიყავი, როცა პირველად გამოვედი სცენაზე და ეს დედაჩემის წყალობით მოხდა. საერთოდ, შინ არ მტოვებდა, თეატრში დავყავდი. იმ დროს ოლდერშოტში გამოდიოდა, ერთ ჭუჭყიან თეატრში, სადაც უმთავრესად ჯარისკაცები მოდიოდნენ. ხულიგნობა და ადამიანის მასხრად აგდება მათი მოგონილი იყო. ოლდერშოტში გასტროლები საშინელ წამებად იქცეოდა მსახიობებისათვის. მახსოვს, კულისებში ვიდექი, დედას ხმა რომ წაუვიდა. ასე ხშირად ემართებოდა. დარბაზში ხარხარი ატყდა, ვიღაცამ ფალცეტით წამოიმღერა, იქით ვიღაცამ დაიკნავლა. ჯერ ვერ მივხვდი რა ხდებოდა, მაგრამ ღრიანცელი სულ უფრო და უფრო მატულობდა და დედაჩემმა სცენა დატოვა. საშინლად აღელვებულს დირექტორი ხმამაღლა უყვიროდა, ეჩხუბებოდა... უცებ შემომიტრიალდა და მოდი, ერთი ვცადოთ ეგ შენი ბიჭი რას იზამსო (ერთხელ ვყავდი ნანახი, როგორ ვმაიმუნობდი ნაცნობებთან). მტაცა ხელი და იმ ჯოჯოხეთურ ღრიანცელში სცენაზე გამომათრია; ორი სიტყვით მიმართა ხალხს და მარტო დამტოვა. თვალებში რამპის სინათლეების შუქი ვიგრძენი, იმის იქით კი, თითქოს ბურუსში გახვეული, მაყურებლის ცალკეული სახეები. უცებ მაშინდელი პოპულარული სიმღერა ჯეკ ჯონსი გამახსენდა და წავიმღერე. ჯერ შუამდე არ ვიყავი მისული, რომ სეტყვასავით წამოვიდა დარბაზიდან მონეტები. სიმღერა შევწყვიტე და ხალხს მივმართე: მოდი, ჯერ ამ მონეტებს მოვკრეფ და სიმღერას მერე გავაგრძელებ-მეთქი. ამაზე ხარხარი ატყდა. დირექტორიც გამოვიდა სცენაზე, რაღაც თქვა და მონეტების აკრეფა დაიწყო. მე შემეშინდა, ეს ფული არ დაიტოვოს-მეთქი და მუხლებზე ისე შემოვეხვიე, რომ ნაბიჯიც ველარ გადადგა, ამას უარესი ხარხარი მოჰყვა. მხოლოდ მაშინ, როცა დავრწმუნდი, ფულს დედას მისცემდა, ხელი გავუშვი და სიმღერა გავაგრძელე. რას არ ვლაყბობდი, რას არ ვცეკვავდი, ვის არ ვბაძავდი... მქუხარე აპლოდისმენტებით დამაჯილდოვეს მეც და დედაც, რომელიც სცენაზე გამოვიდა. ასეთი გახლდათ ჩემი პირველი და დედაჩემის უკანასკნელი გამოსვლა სცენაზე.

მაგრამ, ეს ადრე იყო. ახლა ჯანმრთელად ვარ, შემოქმედების უნარი კვლავ შემრჩა. მე, ალბათ, აღარასოდეს ვითამაშებ, მაგრამ სცენარს დავწერ, დავდგამ... შოპენჰაუერი ამბობდა, ბედნიერება ნეგატიური ცნებააო. მე ვერ დავეთანხმები, ამ ბოლო ოც წელს ვიგრძენი, რაც ყოფილა ბედნიერება. ბედმა გამიღიმა და შესანიშნავ, ცოლს შევხვდი. ნეტა, შემეძლოს, ბევრი დავწერო მასზე... მაგრამ მაშინ სიყვარულზე უნდა ვილაპარაკო, ჭეშმარიტი სიყვარულის გამოთქმა კი შეუძლებელია. ასეთი ბედნიერებით აღსავსე, ვზივარ ზოგჯერ მზის ჩასვლისას აივანზე და გავყურებ მწვანედ ახასხასებულ დიდ ეზოს, მოშორებით მოლივლივე ტბას, უზარმაზარ მთებს...



კადრი ფილმიდან "პატარა მაწანწალა"



ჩაპლინი ირლანდიაში

**მე გამოვცადე დამამცირებელი ტკივილი მოხეტიალე მასხარასი, რომლის გულშიც მთელი ოკეანის სიამაყე ბობოქრობდა, რაც სამოწყალოდ გადაგდებულ მონეტებს უნდა დაეშროთ.**

### ეცადე შენც! ჩაპლინის წერილი ქალიშვილისადმი (შემოკლებით)

ჩემო გოგონა!

ახლა ღამეა, შობის ღამე. ჩემი ციხე-სიმაგრის ყველა შეუიარაღებელ მეომარს ძინავს. შენი პორტრეტი ჩემს საწერ მაგიდაზეა, გულთან ახლოს. შენ პარიზში ხარ, ცეკვავ ელისეის მინდვრების დიდებული თეატრის სცენაზე, მზეთუნახავს ცეკვავ. იყავი მზეთუნახავი და იცეკვე!

იყავი ვარსკვლავი და იკიაფე!

მაგრამ, თუ მაყურებლის აღფრთოვანება და ტაში თავბრუს დაგახვევს, მიჯექ კუთხეში და წაიკითხე ჩემი წერილი, მოუსმინე მამის ხმას: - მე მამაშენი ვარ ჯერალდინა, მე ჩარლი ვარ, ჩარლი ჩაპლინი.

იცი შენ, რამდენი ღამე გამითევია შენს საწოლთან; გიყვებოდი ზღაპრებს, მე კი ოცნებაში ვხედავდი სცენაზე მოცეკვავე გოგონას და მესმოდა აღფრთოვანებული შეძახილები - ხედავთ ამ გოგონას, იგი ერთი ბებერი მასხარას ქალიშვილია, გახსოვთ? მას ჩარლი ერქვა: დიახ! მე ჩარლი ვარ! ბებერი მასხარა!

მე ვცეკვავდი ფართე დახეული შარვლით, შენ კი ცეკვავ პრინცესას აბრეშუმის კაბაში. ეს ცეკვები და მხურვალე აპლოდისმენტები ცაში აგაფრენენ, მაგრამ დაეშვი დედამიწაზეც. შენ უნდა ხედავდე ხალხის ცხოვრებას. ქუჩის მოცეკვავეთა ცხოვრებას, რომელნიც თრთიან სიცივისა და შიმშილისგან, მე ვიყავი ასეთი. მე ღარიბი, მშიერი მსახიობი ვიყავი, რომელიც მღეროდა და ცეკვავდა ლონდონის ღარიბთა კვარტლებში. მეტიც: მე გამოვცადე დამამცირებელი ტკივილი მოხეტიალე მასხარასი, რომლის გულშიც მთელი ოკეანის სიამაყე ბობოქრობდა, რაც სამოწყალოდ გადაგდებულ მონეტებს უნდა დაეშროთ.

შენ ჩემს გვარს ატარებ ჯერალდინა! ჩაპლინს. ორმოცი წელიწადია ის აცინებს ადამიანებს დედამიწაზე, მაგრამ მე უფრო მეტს ვტიროდი, ვიდრე ისინი იცინოდნენ. როდესაც უზარმაზარი დარბაზიდან გამოდიხარ, არ დაივიწყო ჰკითხო ტაქსის მძღოლს, რომელსაც სახლში მიჰყავხარ, მეუღლეზე, და თუ მას უჭირს და ცოლი ფეხმძიმედ ჰყავს, ჩაუდე მას ფული დაუთვლელად. დაათვალიერე ქალაქი, იარე ფეხით ან ავტობუსით, დააკვირდი ხალხს! შენც ერთ-ერთი მათგანი ხარ! ხელოვნება, სანამ ადამიანს ფრთებს შეასხამდეს, ჩვეულებრივ, ამტვრევს მას ფეხებს.

მე მოვკვდები. შენ კი იცოცხლებ... მინდა, რომ არასდროს გამოსცადო გაჭირვება. წერილთან ერთად გიგზავნი ბანკის ქვითრებს, მაგრამ იცოდე, როდესაც დახარჯავ ორ ფრანკს, გახსოვდეს, რომ მესამე სხვას ეკუთვნის. მე დიდხანს ვმუშაობდი ცირკში და უნდა გამოგიტყდე ერთ ჭეშმარიტებაში: ადამიანები უფრო ადვილად ეცემიან მიწაზე, ვიდრე ჯამბაზები. არასაიმედო თოკიდან შეიძლება შენც მოგაჯადოვოს ბრილიანტის ბრწყინვალებამ, სწორედ ეს ბრილიანტი იქნება არასაიმედო ბაგირი და შენი ჩამოვარდნა გარდაუვალია. იცოდე, რომ ყველაზე დიდი ბრილიანტი არის მზე, რომელიც საბედნიეროდ ყველას სახეზე, ერთნაირად კიაფობს. ხოლო როცა დრო მოვა და შენც შეგიყვარდება ვინმე, გიყვარდეს მთელი გულით. ჩარლი უკვე დაბერდა, ადრე თუ გვიან შენ თეთრი კაბის მაგიერ შავებს ჩაიცვამ, რათა მოხვიდე ჩემს საფლავთან, დროდადრო, როცა სარკეში ჩაიხედავ მე დამინახავ. შენს ძარღვებში ჩემი სისხლია. მე ვისურვებდი რომ მაშინაც კი, როცა ჩემს ძარღვებში სისხლი გაიყინება, არ დაივიწყო მამაშენი ჩარლი.

მე არ ვყოფილვარ ანგელოზი, მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი ვყოფილიყავი ადამიანი.

ეცადე შენც!

გკოცნი, ჩარლი.

---

ნინია კაკაბაძის სვეტი

# "ახალი" ტენდენციები და პრივილეგიები - ახალ საქართველოში



სამწუხაროდ საქართველომ ვერაფრით მოიშორა ისეთი მახინჯი ჩვევა, როგორიც "ზმი" არის. ზვიადიზმი, შევარდნაძიზმი, ასლანიზმი და საბოლოოდ მიშიზმი. რიგ შემთხვევაში "ზმი" ანგარებიან ხასიათს ატარებს და რიგ შემთხვევაში ფანატიკურს. აქ "ისტების" დიფერენციაცია ძალიან მარტივია, ასლანისტები და შევარდნაძისტები, ძირითადად, ანგარებით ეწერებოდნენ "ისტების" რიგებში და ზვიადისტების და მიშისტების სიაში კი, ძირითადად, ფანატიკოსები არიან. თუმცა, გამონაკლისები ორივე შემთხვევაში არის. ამგვარი ტენდენციები არა მხოლოდ საქართველოსთვის არის ნიშანდობლივი, მაგრამ ქართველი ერი, როგორც განსხვავებული და გამორჩეულად თვითმყოფადი, განსაკუთრებული "ისტობით" გამოირჩევა. ქართველი ხალხი გასული საუკუნეებიდან მუდმივად გმირის ძიებაშია, გმირისა - რომელსაც გაჰყვება და მისი გულისთვის თავს დადებს. მათი გმირი, თუკი მებრძოლებზე ვისაუბრებთ, ხან სამშობლო იყო, ხან კი კონკრეტული ადამიანი. მაგრამ თანამდეროვე საქართველოში გმირი, ძირითადად, კონკრეტული ადამიანია და მისი არმია ფანატიურად შეყვარებული კონკრეტული ადამიანებისგან შედგება. მათთან დისკუსია საკმაოდ სახიფათოა, ვიანიდან თუკი პატარა შენიშვნა წამოგცდა ახალი "გმირის" მისამართით, ხელშეუხებლობა გარანტირებული არ არის. გამოსავალი ამგვარი ფანატიზმიდან, ალბათ, ზოგადად ერის განათლებასთან და განვითარებასთან არის დაკავშირებული. რაც, არც თუ ისე ახლო პერსპექტივაში მოჩანს. მაგრამ ფანატიკოსებზე და მათ ლიდერებზე უფრო საინტერესო ანგარებიანი "ისტები"არიან, რომელნიც საკუთარი ფსევდო გმირის დაცემას ან სიჩუმით ან დამოკიდებულების გადაადგილებით ხვდებიან. აი, მაგალითად, შევარდნაძისტები. უკვე იმის გახსენებაც მიჭირს, ვინ იყო შევარდნაძისტი ან სად წავიდა ის ხალხი. აქედან გამომდინარე, ყველაზე დიდ სიბრალულს გმირი იწვევს, შევარდნაძის არსებობა ნამდვილად წუთიერი ყოფილა. თუკი მისმა ქვეყნის შვილებმა დაივიწყეს, თავს იმით ვინუგეშებ, რომ მასზე მისი საზღვარგარეთელი მეგობრები: გენშერი, ბეიკერი, უფროსი ბუში და სხვანი ფიქრობენ და ვინ იცის, ყოველთვიურად ძღვენსაც უგზავნიან. მხოლოდ ეს მანუგეშებს მიგდებული პრეზიდენტის გახსენებისას, უცხოელი მეგობრები, თორემ ქართველი მეგობრები სოროებში შეძვრნენ და პირში წყალი დაიგუბეს. საბრალო ედუარდი. სამაგიეროდ დღეს მიშისტები ბობოქრობენ, მათთვის ვარდი, როგორც ნატიფი, ლამაზი ყვავილი და მიშა უკვე საერთო ცნებებია. მაგალითად, ამას წინათ ასეთ წიგნსაც წავაწყდი, ვარდო ვარდოსანიძის პროზაული პოეზიის კრებული სახელწოდებით "ვარდს გაეფურჩქნა კოკორი", იმასაც შეამჩნევდით, რომ ავეჯის მაღაზია "ბელუქსის" სარეკლამო ფირნიშებზე, კომფორტაბელურ დივანზე ძროხის ნაცვლად ახლა ვარდი დევს და ამგვარი წარწერაც ამშვენებს: "იავნანა ვარდო ნანა", თავად მაღაზიის ფასადზე კი წარწერაა: "რევოლუციური ფასდაკლება". ამგვარი მაგალითების ჩამოთვლა დაუსრულებლად შეიძლება. საინტერესო მხოლოდ ერთი რამ არის, ნეტავ რას მოელის პოეტი ვარდო ვარდოსანიძე ან მაღაზია "ბელუქსის" მენეჯერი?! ეს აბსოლუტურად გაუგებარი და არამოტივირებულია. არც კი ვიცი, რა დავარქვა ამას, ალბათ, "ირიბი პათხალიმაჟი", ვინაიდან ეს არ არის მლიქვნელობის კლასიკური მეთოდი. კლასიკოსი მლიქვნელების საქციელი სრულიად გამჭვირვალე და ლოგიკურია. ერთი სიტყვით, ეს ორი უკანასკნელი მაგალითი შეიძლება "ისტების" მესამე კატეგორიას მივაკუთვნოთ, რომელთა ქმედება განმარტებისათვის ოდნავ ბუნდოვანია.

### ახალი პრივილეგიები.

დღევანდელ დღეს იმისათვის, რომ გარკვეულ წარმატებას მიაღწიო საკუთარ პროფესიონალურ სფეროში, ადგილი დაიმკვდრო ახალ მთავრობაში თუ, უბრალოდ, საზოგადოების პრივილეგირებული წევრი იყო, აუცილებელია: შემჩნეული იყო ნოემბრის მიტინგებზე, არ არის აუცილებელი ყოველდღიური დასწრება, მაგრამ არც დღეგამოშვებით უკანა რიგებში დგომაა საკმარისი. ერთ-ერთ სოლიდურ პოსტზე ახალგაზრდა ყმაწვილი დაინიშნა, მისი ვინაობის გახსენებისას რამდენიმე ადამინმა ერთდროულად შევყვირეთ: "ოჰ, მიტინგებიდან გვეცნობა, კაცო"... კიდევ აუცილებელია საერთაშორისო დიპლომი, სწავლა-განათლება უცხოეთში და განსაკუთრებით პრიორიტეტულია, თუკი დიპლომი ამერიკულია. ასევე, განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობენ ყოფილი "ზვიადისტები", საქართველოს პირველი პრეზიდენტისათვის შეწირული, ან, უბრალოდ, მხარდამჭერი პირები. ყოველივე ზემოთქმული მისასალმებელია, რევოლუციონერები თავშესაფარს პოულობენ, უცხოეთში განათლებულების ცოდნა ფასდება, შემრიგებლური პოლიტიკა გარიყულ ზვიადისტებთან პოზიტიური მოვლენაა, ამაში ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ ყველაფერი წესრიგში რომ არ არის, ამასაც ყველა ხვდება, ვინაიდან პრივილეგიებით არა მხოლოდ მომიტინგეები, უცხოეთში განათლებულები თუ ზვიადისტები სარგებლობენ. შევარდნაძის ეპოქას რამდენიმე ისეთი სუბიექტი გადმჰოყვა, რომელიც კვლავინდებური სტატუსით აგრძელებს არსებობას და მოღვაწეობას და რომლის ძველებური პრივილეგირებულობა ისევ ალოგიკურია. აი, მაგალითად, რის საფუძველზე იკავებს თავის თანამდებობას ვანო ზოდელავა, რომელმაც დღეს ისეთი აქტუალური თემის, რასაც თბილისის იერსახის დამახინჯება ჰქვია, გადამწყვეტის როლი ითამაშა. მის მიერ არის შედგენილი და ხელმოწერილია უკანონო კანონები, რომლებმაც ისეთი სიმახინჯეები წარმოშვა, რომლისგანაც თბილისი მრავალი ათწლეულის მანძილზე ვერ განთავისუფლდება. ვერ განთავისუფლდება მახინჯი ნაგებობებისაგან და სამწუხაროდ, როგორც ეტყობა, ვერ დაიბრუნებს იმ თანხებს, რომელიც ყველა თბილისელის საკუთრებაა. ისიც ნათელია, რომ ვერც მეანაბრეები დაიბრუნებენ იმ დანაზოგს, რომელსაც წლების მანძილზე აგროვებდნენ და რომელიც "ვანო მეორემ" ანუ ვანო ჩხარტიშვილმა მიითვისა; ვერც სახელმწიფო ტელევიზიის თანამშრომლები დაიბრუნებენ იმ თანხებს, რომელიც მათ ზაზა შენგელიამ მოპარა და ა.შ. ამ კატეგორიის ადამიანთა რიცხვი, სამწუხაროდ, ისევე დიდია, როგორც პოეტი ვარდო ვარდოსანიძის მსგავსი სუბიექტებისა, მაგრამ ბატონი და არა ქალბატონი ვარდოს მსგავსი პროზაული პოეტები უფრო ნაკლებად საშიშია საზოგადოებისათვის და საზოგადოებრივი ცნობიერებისათვის, ვიდრე ზემოთ ნახსენები "მოღვაწეები" და მათი მსგავსნი.

თუკი ნოემბრის დღეებში სახალხო განწყობა ოპტიმისტური იყო და ნამდვილად იგრძნობოდა ერთ მხარეს მდგომი, ანუ ტყუილის, კორუფციის და ყაჩაღობის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოების გულწრფელი თანამოაზრეობა, დღეს სამწუხაროდ ნელ-ნელა იმედებიც იწყებს გაცრუებას და მინდა მჯეროდეს, რომ უიმედობა და უპერსპექტივობა ისევ არ დაისადგურებს ქართულ ცნობიერებაში.

ფეხბურთი

# სფფ-ის აღმასკომმა ახალი კადრები და ახალი ლოგო დაამტკიცა

## იოჰან ბოსკამპი მეტისმეტად დიდ ხელფასს ითხოვს

გუშინ, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, გამართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა სხდომა. განსახილველი საკითხები წინასწარვე იყო ცნობილი. საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელების, ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორის, სამსაჯო და საინსპექტრო კომიტეტების ხელმძღვანელთა კანდიდატურების დამტკიცება, ყრილობის თარიღის დადგენა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი ლოგოს მიღება.

"აღმასკომი დიდი ხანია არ შეკრებილა, თუმცა, ამისთვის ობიექტური მიზეზი მქონდა", - იხუმრა სხდომის დასაწყისში მერაბ ჟორდანიამ. პირველ საკითხად სფფ-ის აღმასრულებელი დირექტორის პოსტზე ანდრო აბაშიძის დანიშვნა განიხილეს. გენერალური მდივნის თანამდებობიდან ვალერი ჩოლარიას გადადგომის შემდეგ ეს პოსტი საერთოდ გაუქმდა. გენერალური მდივნის თანამდებობის ნაცვლად სფფ-ში შემოიღეს აღმასრულებელი დირექტორის პოსტი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ჩააბარეს ანდრო აბაშიძეს. გუშინ კი ეს კანდიდატურა ოფიციალურად დაამტკიცეს. აბაშიძეს აღმასკომის ყველა წევრმა დაუჭირა მხარი. ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით გავიდა სერგო კოტრიკაძისა და ანატოლი მილჩენკოს კანდიდატურებიც. მოგეხსენებათ, ფედერაციაში სამსაჯო-საინსპექტრო კომიტეტი ორად გაიყო. ორივე კომიტეტს თავ-თავისი ხელმძღვანელი ეყოლება. საინსპექტრო კომიტეტს სერგო კოტრიკაძე უხელმძღვანელებს, ხოლო სამსაჯოს - ანატოლი მილჩენკო.

მერაბ ჟორდანიამ, რომელიც სხდომას თავმჯდომარეობდა, ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის სავარაუდო კანდიდატურაზეც ისაუბრა. მოგეხსენებათ, ჩვენი ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცი, ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი ამჟამად თბილისშია და სფფ-სთან საქართველოს ოლიმპიური ნაკრების შესაძლო მწვრთნელობის შესახებ აწარმოებს მოლაპარაკებას. სავარაუდოდ, ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელად დანიშვნის შემთხვევაში ბოსკამპი რომელიმე ქართულ კლუბსაც ჩაუდგება სათავეში. აღმასკომის წევრებმა სურვილი გამოთქვეს, რომ ახალგაზრდული ნაკრები გუნდის მწვრთნელი პარალელური საქმიანობით არ დაკავდეს და მხოლოდ ერთ გუნდზე იყოს კონცენტრირებული, რაშიც მათ სფფ-ის პრეზიდენტიც დაეთანხმა. თუმცა, ბოსკამპის შემთხვევაში ამ მოთხოვნის შესრულება ცოტა გაძნელდება. საქმე ის არის, რომ ბოსკამპი დაახლოებით ისეთივე ანაზღაურებას მოითხოვს, როგორიც ეროვნული ნაკრების თავკაცს, ჟირესს აქვს. ორი ასეთი მაღალანაზღაურებადი მწვრთნელის შენახვა კი პრობლემებთან არის დაკავშირებული. ამიტომაც, სფფ თანახმაა, ბოსკამპის ხელფასის გადახდა რომელიმე კლუბთან ერთად გაინაწილოს. მსურველებიც არიან. თბილისის "თბილისის" პრეზიდენტმა ნიკა დოლიძემ უკვე შესთავაზა ჟორდანიას, რომ ახალგაზრდული ნაკრების პარალელურად ბოსკამპი "თბილისში" დაასაქმონ. ასეა თუ ისე, ამ საკითხთან დაკავშირებით გასარკვევი კიდევ ბევრია. ჯერ გაურკვეველია, დაბრუნდება თუ არა ბოსკამპი საქართველოში. თუ ეს ვარიანტი ჩაიშლება, ერთ ადამიანს ნამდვილად ესიამოვნება. სფფ-ის აღმასკომის წევრი, ვეტერანი ფეხბურთელი ვლადიმერ ელოშვილი გუშინდელ სხდომაზე თავის შეშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს უცხოელმა უნდა უხელმძღვანელოს: "ამდენი ბუმბერაზი ფეხბურთელი გვყავდა, რატომ უნდა ვეძებდეთ მწვრთნელებს უცხოეთში. კი ბატონო, იყოს პირველ ნაკრებში ეს ჟირესი, მაგრამ ახალგაზრდულ ნაკრებშიც უცხოელი?!"

საკადრო საკითხების შემდეგ, აღმასკომმა სფფ-ის მომავალი ყრილობის ჩატარების თარიღზე იმსჯელა და სავარაუდო თარიღად 17 ივნისი დაასახელა.

ბოლოს კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი ლოგოც დაამტკიცეს. ლოგოს ავტორია გაზეთ "24 საათის" სპორტული რედაქტორი აკა ტონია, რომელიც ამავდროულად ფიფა-ს ლიცენზირებული აგენტიც არის. ფედერაციის წინა ლოგო სულ რაღაც წელიწადნახევრის წინათ მიიღეს, თუმცა, სფფ-მ მისი შეცვლა გადაწყვიტა. ამჯერად კონკურსი აღარ გამართულა - აკა ტონიას ლოგოს კონკურენტი არ ჰყავდა. ფედერაციის ახალი კადრების მსგავსად, ახალი ლოგოც ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მიიღეს. მერაბ ჟორდანიამ კი აღნიშნა, რომ ეს ფედერაციის ლოგოს შეცვლის ბოლო ფაქტია და რომ ეს ლოგო აღარ შეიცვლება. "ეს არის ჩემი მოკრძალებული საჩუქარი, ქართული ფეხბურთისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობისადმი ჩემი დიდი პატივისცემის გამოხატულება. იმედი მაქვს, ამ ემბლემით საქართველოს ნაკრები დიდ წარმატებებს მიაღწევს. სწორედ ეს იქნება საუკეთესო კომპენსაცია ჩემ მიერ გაწეული სამუშაოსთვის", - განაცხადა აკა ტონიამ.

ასე გამოიყურება სფფ-ის ახალი ლოგო

ბილიარდი

# "რიოში" საქართველოს ჩემპიონატი დაიწყო



დღლისის საბილიარდო "რიო" "პირამიდას" მასპინძლობს.

გუშინ, საბილიარდო "რიო"-ში "პირამიდაში ვაჟთა ჩემპიონატი დაიწყო". 16 პროფესიონალი ერთმანეთს ძირითად და "იმედის" ჯგუფებსა და ქვეჯგუფებში შეხვდება. კვირას ფინალი შედგება. ჩემპიონატი ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელებსაც წარმოაჩენს.

TV-სპორტი

## პარასკევი, 16 აპრილი

**НТВ+ ФУТБОЛ**

07:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ბილი უოლტონი
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1993. პირველი წრე. BOSTON CELTICS" - "NEW YORK KNICKS". მე-5 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
13:20 რუსეთის თასი. ფინალი. შინიკი ლოკომოტივი. პირველი მატჩი
15:05 რუსეთის თასი. ფინალი. როსტოვი ტორპედო-მეტალურგი. პირველი მატჩი
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 "FUTBOL MUNDIAL"
17:30 რუსეთის თასი. ფინალი. როტორი ტერეკი. პირველი მატჩი
19:10 ფეხბურთი ანიდან ჰაემდე
19:40 თავისუფალი დარტყმა
19:55 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. სპარტაკი - დინამო. პირდაპირი ტრანსლაცია
21:20 ექსპერტიზა
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
21:55 გაიტანე!
22:10 უკრაინის ჩემპიონატი. არსენალი შახტიორი
23:55 თავისუფალი დარტყმა
00:10 უკრაინის ჩემპიონატი. დინამო ობოლონი
01:55 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:50 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
03:45 03:45-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
05:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1993. პირველი წრე. "UTAH JAZZ" - "HOUSTON ROCKETS". მე-4 თამაში

**НТВ-ПЛЮС СПОРТ**

11:00, 14:00 პრესცენტრი
11:15, 22:20 ოლიმპის შვილები
11:20, 14:15 ფორმულის ჰარმონია
11:40 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
12:10 ჩქაროსნული სამყარო. ტელეჟურნალი
12:40 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
13:10 მოტოვებული კვირა
14:40 ბადმინტონი. საერთაშორისო ტურნირი Japan Open. შესვენებისას (17:00) პრესცენტრი
18:15 ტაილანდური კრივი
19:10 ნადირობის სეზონი
19:40 ჰოკეი
22:25 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 ნოკაუტი. ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
23:00 ფარი და ბურთი. გადაცემა კალათბურთზე
23:45 ბილიარდი. ევროპის ჩემპიონატი არტისტულ ბილიარდში სანკტ-პეტერბურგში. პირველი ნაწილი
02:15 ახალი ამბები
01:30 ჰოკეი. ევროტური. ფინალი. შვედეთი - ფინეთი. პირველი მატჩი

**EUROSPORT**

11:30 ოლიმპიური თამაშები. ტელეჟურნალი
12:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის კლასიკა
13:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალ ზელანდიაში
13:30 ფეხბურთი. უეფას თასი
14:30 ფეხბურთი. უეფას თასი
15:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
16:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალ ზელანდიაში
17:00 მოტორბოლები. სამხრეთ აფრიკის გრან-პრი
18:15 ჩოგბურთი. ATP ტურნირი პორტუგალიაში
19:45 ჩოგბურთი. ახალბედა
20:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
21:00 სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი სლოვენიაში
23:30 ყველაზე ძლიერი ადამიანი. შეჯიბრება პოლონეთში
01:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალ ზელანდიაში
02:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:30 ახალი ამბები
02:45 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
03:45 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების ისტორიიდან
04:15 ახალი ამბები

# Ciao Italia!

## ევროპა იტალიური კლუბების გარეშე დარჩა

ნინო პირველი

იტალიური გაელვება მხოლოდ ერთ სეზონს გაგრძელდა და ვულკანიდან ამორფქვეული ლავის მსგავსად უიმედოდ ჩაიფერფლა. სულ ტყუილად უხაროდათ იტალიური ფეხბურთის მოყვარულებს სერია ა-ს შარშანდელი გამოცოცხლება. ეს აღმავლობა, სამწუხაროდ, დროებითი აღმოჩნდა. გასულ წელს სერია ა-ს გრანდებმა სასწაული მოახდინეს: ჩემპიონთა ლიგაში მოასპარეზე ოთხი კლუბიდან სამი ნახევარფინალში გავიდა. ტურინის იუვენტუსმა მადრიდის რეალს მოუსპო ლიგის მეათედ მოგების იმედი. მილანმა და ინტერმა კი ჩემპიონთა ლიგის მეორე ნახევარფინალი ნამდვილ კოზა ნოსტრად აქციეს. ამ დაძაბული დერბის შემდეგ ფინალიც იტალიური აღმოჩნდა - მანჩესტერ იუნაიტედის ოლდ ტრაფორდზე მილანი და იუვე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ამ დიდი ტრიუმფის ფონზე საერთოდ დაიჩაგრა უეფას თასი, სადაც კიდევ ერთი იტალიური კლუბი - რომის ლაციო იბრძოდა ფინალში გასასვლელად, მაგრამ რომაელებს არაფერი გამოუვიდათ. ნახევარფინალში თასის მომავალ მფლობელთან, პორტუსთან წააგეს და იტალიური დიდება ცოტათი გააფერმკრთალეს, მაგრამ ამაზე უკვე აღარავინ დარდობდა. აბა, ვის ანაღვლებდა უეფას ტურნირი, როცა მილანმა ჩემპიონთა ლიგა მოიგო?

მიმდინარე სეზონში მოვლენები სულ სხვანაირად განვითარდა. იტალიელებმა თავიდანვე ცუდად დაიწყეს. სერია ა-ს ტიფოზებს პირველი მძიმე დარტყმა მილანის ინტერმა მიაყენა. მილანელებმა კარგი სტარტი აიღეს - ლონდონის არსენალს ჰაიბერიზე სამი გოლი გაუტანეს და გახარებულ ფანებს შარშანდელი შედეგის გაუმჯობესებას დაჰპირდნენ, მაგრამ... ინტერმა შემდეგ ვეღარაფერი შეძლო: მოსკოვის ლოკომოტივი და კიევის დინამო დაუძლეველ ბარიერად იქცნენ მილანელებისთვის, რომ აღარაფერი ვთქვათ ლონდონის არსენალთან საკუთარ სან-სიროზე განცდილ კოშმარულ მარცხზე. ასე რომ, ინტერი პირველივე წრიდან გავარდა. მერვედფინალში უკვე ტურინის იუვენტუსის ჯერი დადგა. ლა კორუნიას დეპორტივომ, რომელიც გასულ სეზონში იუვემ მეორე ეტაპზე ჯგუფში ჩატოვა, ბოლომდე იძია შური შარშანდელი წარუმატებლობის გამო. ესპანელებმა ორივე მატჩი ერთნაირი ანგარიშით მოიგეს და მეოთხედფინალში უკვე ლიგის ჩემპიონს, მილანს დაუპირისპირდნენ. ამ სერიაში რაც მოხდა, ალბათ, ყველას კარგად ახსოვს. მილანმა პირველი მატჩი საოცრად კარგად ჩაატარა, მეორე კი - საშინლად ცუდად და ნახევარფინალს მიღმა აღმოჩნდა. ასე დარჩა ჩემპიონთა ლიგა იტალიური კლუბების გარეშე. ამ ფიასკოს შემდეგ იტალიელი გულშემატკივრების მთელი ყურადღება უეფას თასისკენ იყო მიმართული, სადაც მილანის ინტერი იბრძოდა ნახევარფინალში გასასვლელად, მაგრამ...



"ინტერის" დამარცხებას "მარსელი" "სან სიროზე" ზეიმობდა

უეფას ტურნირიდან ჯერ რომა გამოვარდა, რომელმაც ვერაფერი მოუხერხა მოულოდნელად შესანიშნავად მოთამაშე ესპანურ ვილიარეალს. რომაელების შემდეგ უკვე მილანელების ჯერი დადგა. ინტერმა ორივე მატჩი წააგო ფრანგულ მარსელთან. მარსელში განცდილი მარცხის შემდეგ მილანელებს ჯერ კიდევ ჰქონდათ მეოთხედფინალში გასვლის შანსი, ბოლოს და ბოლოს, რა პრობლემა იყო ორი გოლის გატანა? ინტერის ფეხბურთელები 75 წუთის განმავლობაში თავგზააბნეული დარბოდნენ აქეთ-იქით და ჯიუტად ცდილობდნენ მეტოქის კარის აღებას, მაგრამ პირიქით მოხდა. 75-ე წუთზე მერიემმა კონტრშეტევაზე დაიჭირა მასპინძლები და ანგარიში გახსნა. ამით დასამარდა იტალიური ფეხბურთის ბოლო იმედიც. სერია ა-ს ყველა გრანდი ისევ ჭაობში ჩაეფლო. რა ხანმოკლე იყო ტიფოზების სიხარული!

სამაგიეროდ, ესპანურმა კლუბებმა გაახარეს გულშემატკივრები. დეპორტივო ლიგაში თამაშობს, ვალენსია და ვილიარეალი კი უეფას თასს ეცილებიან ერთმანეთს. პრიმერა დივიზიონის ლიდერმა ვალენსიამ მეორე მატჩიც მოუგო ფრანგულ ბორდოს, ესპანეთის ჩემპიონატში მეათე ადგილზე მყოფმა ვილიარეალმა კი გლაზგოს სელტიკს მოუსპო 2004 წელს სამი ტიტულის მოგების იმედი. შოტლანდიის ჩემპიონატს და თასს, ალბათ, მოიგებენ გლაზგოელები. აი, უეფას თასის ფინალში კი წლეულს უკვე ვეღარ შეძლეს გასვლა. ვილიარეალმა კიდევ ერთი სასწაული მოახდინა - თასის შარშანდელი ფინალისტი სელტიკი გამოთიშა ასპარეზობას. წლევანდელ ფინალში აუცილებლად ითამაშებს ერთი ესპანური კლუბი: ვალენსია და ვილიარეალი ახლა უკვე ერთმანეთში არკვევენ ურთიერთობას. მეორე ნახევარფინალში კი ფრანგული მარსელი და ინგლისური ნიუკასლი გაარკვევენ ურთიერთობას. უეფაზეც სწორედ ისე განვითარდა მოვლენები, როგორც ლიგაზე: აქაც ესპანური, ფრანგული და ინგლისური კლუბები შემორჩნენ. ვერც ერთმა იტალიურმა და გერმანულმა გუნდმა ვერ მიაღწია ნახევარფინალამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ სერია ა-შიც და ბუნდესლიგაშიც სერიოზული კრიზისია.

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ვლადიკავკაზის "ალანიას" ქართველი ლეგიონერის, ლევან გვაზავას ტრავმა, რომელიც მან "როტორთან" შეხვედრაში მიიღო, არც ისე მძიმე აღმოჩნდა, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. ფეხბურთელს მყესები აქვს გაწყვეტილი და, როგორც ექიმები ამბობენ, მის აღდგენას დაახლოებით ერთი თვე დასჭირდება. ამასთან, ორ კვირას ფეხბურთელი თაბაშირში გაატარებს. ვარაუდობენ, რომ ერთ მატჩს გამოტოვებს ვიტალი დარასელიაც, რომელმაც "როტორთან" მატჩში ასევე ტრავმა მიიღო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "მანჩესტერ იუნაიტედის" ჰოლანდიელმა ფორვარდმა რუუდ ვან ნისტელროიმ განაცხადა, რომ მონაწილეობას მიიღებს "პორტსმუთის" წინააღმდეგ შაბათის მატჩში. ჰოლანდიელს მარტის შემდეგ აღარ უთამაშია. ნისტელროის თქმით, შესვენება მისთვის უაღრესად სასარგებლო აღმოჩნდა და ის მზად არის, გუნდს დარჩენილ შეხვედრებში დაეხმაროს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ამსტერდამის "აიაქსის" მწვრთნელმა რონალდ კუმანმა განაცხადა, რომ ძალიან უნდა, თავის გუნდში ლონდონის "არსენალის" ფორვარდი დენის ბერგკამპი იხილოს. ჰოლანდიელი ფეხბურთელი სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი გახდება. ასე რომ, მას შეუძლია, ამსტერდამში ყოველგვარი საკომპენსაციო თანხის გარეშე გადავიდეს. "თუ ბერგკამპი გადაწყვეტს, ლონდონურ კლუბთან კონტრაქტი არ გააგრძელოს, მე მას დიდი სიამოვნებით მივიწვევ ჩემს გუნდში", - განაცხადა კუმანმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "პარი სენ ჟერმენთან" მატჩის შემდეგ "ნიცას" იტალიელმა ვეტერანმა მარკო სიმონემ გუნდი დატოვა. ის მხოლოდ შეცვლაზე გამოვიდა, რითიც დიდად უკმაყოფილო დარჩა. "ვერ ვხვდები, როგორ დავეხმარო "ნიცას", თუ სათადარიგოთა სკამზე დამსვამენ", - განაცხადა "მილანის" ყოფილმა ფორვარდმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლონდონის "ჩელსიმ" მოლაპარაკება შეწყვიტა გუნდის მთავარი მწვრთნელის კლაუდიო რანიერის აგენტთან. მოლაპარაკება ინიცირებული იყო მწვრთნელის აგენტის ჯონ სმიტის მიერ მას შემდეგ, რაც "ჩელსიმ" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალიდან "არსენალი" დაიფრინა. კლუბის მფლობელმა რომან აბრამოვიჩმა კი განაცხადა, რომ მას რანიერისთან განსახილველი არაფერი აქვს, რადგან გუნდმა ბოლო ორი მატჩი ჩააგდო. "კლაუდიო დუმდა და სკანდალებს არ აწყობდა, მაშინ, როცა, მას რეგულარულად შვებულებაში გზავნიდნენ. ის მხოლოდ ითხოვს, რომ მის წინაშე სამართლიანები იყვნენ. თუმცა, "ჩელსის" პირდაპირ ისიც ვერ უთქვამს, ათავისუფლებს თუ არა მას თანამდებობიდან", - "სანისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა რანიერის ახლო მეგობარმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მარსელის "ოლიმპიკის" მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე ანიგომ კლუბთან კონტრაქტი მომავალი სეზონის ბოლომდე გააგრძელა. ეს ამბავი მას შემდეგ მოხდა, რაც ფრანგებმა უეფას თასის მეოთხედფინალში მილანის "ინტერი" დაამარცხეს. "უნდა ითქვას, რომ კონტრაქტის გაფორმებისთვის კარგი დრო შევარჩიეთ", - განაცხადა "ოლიმპიკის" პრეზიდენტმა კრისტოფ ბუშემ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ლიონის" ნახევარმცველმა ვიკაშ დორასომ "მილანთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეთანხმება მომავალი სეზონიდან ამოქმედდება. თუმცა, ფრანგული კლუბი 30 წლის ფეხბურთელის "მილანში" გადასვლას არ ადასტურებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ოთხშაბათ საღამოს უცნობმა პირებმა პსჟ-ს პრეზიდენტი ფრანკ გრაპე გაძარცვეს. ფრანკ პრესი იუწყება, რომ ოთხშაბათს ლიონის გარეუბანში გრაპე ოთხი წლის ვაჟთან ერთად საკუთარ ავტომობილში იჯდა. მძარცველებმა იგი სალონიდან გადმოაგდეს და ავტომობილი გაიტაცეს. თავდაპირველად გამტაცებლებმა ვერ შეამჩნიეს, რომ სალონში ბავშვიც იყო, მაგრამ შემდეგ გაჩერდნენ და იგი ჩამოსვეს. პსჟ-ს პრეზიდენტი საავადმყოფოში მოათავსეს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ავტოავარიაში დაშავებული უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოლეგ ბლოხინი ჯერჯერობით საავადმყოფოშია. ამის შესახებ საagentო ინტერფაქსს ოთხშაბათს კლინიკის პრეზიდენტმა ბორის მიხეილ რატუცკიმ მოახსენა. მისი თქმით, ბლოხინის ანალიზები არც ისე კარგია. ოთხშაბათს პრესსამსახურმა ფფუ-მ იტარტასს აუწყა, რომ მწვრთნელი უკვე გამოწერილია საავადმყოფოდან და საკუთარ სახლში იმყოფება. როგორც ცნობილია, ბლოხინი დარნიცის რაიონის სადოვოის ქუჩაზე საკუთარი ჯიპით მოხვდა ავარიაში. სამშაბათ საღამოს მანქანა, რომელშიც ბლოხინი და კიდევ ორი ადამიანი იჯდა, მსუბუქ ავტომანქანა სლავუტას შეეჯახა. ბლოხინი კლინიკაში თავის დაზიანებითა და ტვინის შერყევით მოათავსეს.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** "როლან გაროსის" საპრიზო ფონდი 13 მილიონ ევრომდე გაიზრდება. შარშანდელთან შედარებით ეს 2 პროცენტით მეტია. ვაჟთა ტურნირის გამარჯვებული 860 000, ხოლო ქალთა ტურნირის ტრიუმფატორი 838 000 ამერიკულ დოლარს მიიღებს.

■ ■ ■

**ველოსპორტი.** ორგზის მსოფლიო და 1997 წლის "ტურ დე ფრანსის" გამარჯვებულმა, გერმანელმა იან ულრიხმა მოხსნა განაცხადი "ამსტელ გოლდის" ტურნირში მონაწილეობაზე. ოლიმპიური ოქროს მედლისა და 2004 წლის "ტურის" მოგების პრეტენდენტმა გადაწყვიტა, ვარჯიში გერმანიაში გააგრძელოს.

რაგბი

# ახალი კაცი ქართულ რაგბიში

## საქართველოს რაგბის კავშირს ახალი პრეზიდენტი ჰყავს, ძველის მასწავლებელი

პაატა თოთაძე

საქართველოს რაგბის კავშირს ახალი პრეზიდენტი ჰყავს მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ქართული რაგბის პირველკაცი მერაბ ანთაძე იქნება. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს იმ დელეგატებმა, რომლებმაც გუშინდელ ყრილობაზე დასწრება გადაწყვიტეს. ისინი 16-ნი იყვნენ, თუმცა, ამ რაოდენობამაც დიდი არეულობა და ალიაქოთი გამოიწვია. მიზეზი ბევრი იყო, თუმცა, მივყვეთ თანმიმდევრობით.

ბათუმისა და ქუთაისის წარმომადგენლები ყრილობას არ დასწრებიან (თბილისში მომავალი ქუთაისელები ავარიაში მოყვნენ), რაც შეეხება ბათუმელებს, წინა ყრილობაზე გადაწყდა, რომ მომავალი ყრილობა მაისში გაიმართებოდა. ჯერ არ გვქონდა გადაწყვეტილი, რომელიმე კანდიდატურას დავუჭერდით მხარს თუ ჩვენსას წარმოვადგენდით. ნებისმიერ შემთხვევაში მაისისთვის ვემზადებოდით. ამასთან, ის, რომ ყრილობა 15 აპრილს უნდა გამართულიყო, წინა საღამოს გავიგეთ. ასე რომ, ვერც ჩამოსვლას ვასწრებდით. საწყენია ასე რომ მოხდა, რადგან ჩვენ ჩვენი პოზიცია გვქონდა დასაფიქსირებელი ყრილობაზე, რამდენიმე საათით ადრე არ უნდა ვიგებდეთ ყრილობის გამართვის ამბავს, - ჩვენთან საუბრისას განაცხადა აჭარის რაგბის კავშირის გენერალურმა მდივანმა მერაბ დანელიამ. ისე კი, აჭარის რაგბის კავშირი მუდამ იმას საყვედურობდა ქვეყნის რაგბის კავშირს, დროულად რატომ არ გვატყობინებთ ამა თუ იმ ამბავსო. ახლა იგივე გამეორდა ოპოზიციისგან. რეგიონი, რომლის წარმომადგენელი არაერთხელ იყო ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ყრილობაზე დასწრებას ნამდვილად იმსახურებს. დანარჩენები უკლებლივ დაესწრნენ ყრილობას, თუმცა, აკადემიამ რეგისტრაციაზე უარი განაცხადა. ამასვე აპირებდნენ დინამო და უნივერსიტეტი და ამბავიც მაშინ დაიწყო...

როგორც გაირკვა, ამ ორ სუბიექტს ყრილობაზე ორ-ორი წარმომადგენელი ჰყავდა. როგორ და რატომ, ამაზე ქვემოთ გიამბობთ, თუმცა, ამ საკითხზე საუბარი, ალბათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

საქმე ისაა, რომ ყრილობაზე მისულმა დინამოს დირექტორმა, სერგო რამიშვილმა აღმოაჩინა: მისი კლუბის სახელით ხმის მიცემის უფლება ჰქონდა სერგო კეშელავას, რომელსაც ამის დამამტკიცებელი დოკუმენტიც კი წარუდგენია ყრილობისთვის. ანალოგიურად განვითარდა მოვლენები უნივერსიტეტთან დაკავშირებითაც. ყრილობის თავმჯდომარეს წარუდგინეს ორი დოკუმენტი, რომლის თანახმადაც ხმის მიცემის უფლება სხვადასხვა პიროვნებებს ჰქონდათ. შესაბამისად, ისინი სხვადასხვა კანდიდატებს უჭერდნენ მხარს. ყველაზე მეტი ვნებათაღელვა სწორედ ამან გამოიწვია, რადგან, იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტის ხმები არ ჩაითვლებოდა, როგორც



ანთაძე საქართველოს რაგბის კავშირის ახალი პრეზიდენტია

ამას გეგიძე ითხოვდა, კვორუმი არ შედგებოდა და, შესაბამისად, ვერც ყრილობა ჩატარდებოდა. ამას კი პრეზიდენტი იმის საფუძველზე ითხოვდა, რომ ორი სხვადასხვა დოკუმენტის არსებობის პირობებში, როცა ყრილობის თავმჯდომარე ვერ არკვევს, რომელს აქვს ძალა და რომელს - არა, სუბიექტს ხმის მიცემის უფლება საერთოდ არ უნდა მიეცეს.

ბუნებრივია, მეორე მხარე ამას არ დათანხმდა და ერთ-ერთი დოკუმენტი მაინც გაატარა რეგისტრაციაში. ეს სიყალბეა და მე ამ სიყალბეში მონაწილეობას ვერ მივიღებ. თქვე დალოცვილებო, რეპეტიცია მაინც გაგევლოთ, რომ ყველაფერი ლამაზად და კარგად გაგეკეთებინათ, - ამ სიტყვებით დატოვა ყრილობა ბიძინა გეგიძემ. შეკითხვაზე, აპირებს თუ არა ის სასამართლოში ჩივილს, თუ არჩევნები მაინც შედგა, მან გვიპასუხა: ჩემთვის მთავარია მორალური კანონები, რომლებსაც ესენი რატომღაც არღვევენ. ეს არის ყველაზე დიდი საშინელება. იმის შემდეგ, რაც აქ მოხდა, უკვე დავფიქრდი, შევიყვანო თუ არა ჩემი ვაჟი რაგბიზე. სპორტის ამ სახეობაში სულ სხვა ფასეულობები იყო, რომლებიც ახლა დაინგრა. რაც შეეხება სასამართლოში ჩივილს, მე ის კაცი არ ვარ, ეგეთი საქმეები ვაკეთო.

არჩევნები კი შედგა და, როგორც მოსალოდნელი იყო, მერაბ ანთაძეს მისი მოგება არ გასჭირვებია. 16 მომხრე, არც ერთი წინააღმდეგი ასეთია არჩევნების შედეგი, რომელსაც, ალბათ, არავინ და არაფერი შეცვლის. ყოველ შემთხვევაში, ის მხარე, რომელიც შედეგის წინააღმდეგი უნდა იყოს, გასაჩივრებას არ აპირებს. ჯერჯერობით ასეა და მერე ვნახოთ.

დიდი მადლობა ყველას, ვინც ყრილობის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა. სასიამოვნო იქნებოდა, რომ ყრილობა რაღაც ჩარჩოებში მოქცეულიყო და ისე ჩატარებულიყო, მაგრამ, იმედია, ყველაფერი მალე დაწყნარდება და თავის კალაპოტში ჩადგება. დიდ მადლობას ვუხდი ბიძინა გეგიძეს, რომელმაც, ყველაფერის მიუხედავად, ამ ხნის მანძილზე უდიდესი სამუშაო გასწია. ჩვენ ერთად გვითამაშია, ერთხანს მისი მწვრთნელიც ვიყავი. ბუნებრივია, თანამშრომლობას ყველასთან გავაგრძელებთ. უახლოეს მომავალში პრესკონფერენციას მოვიწვევთ და უფრო დეტალურად ვისაუბრებთ მომავალ გეგმებზე, - ასეთი იყო მერაბ ანთაძის პირველი სიტყვები გაპრეზიდენტების შემდეგ.

ცხენოსნობა

# ლეგენდა მილ რიფზე

ირაკლი ბერიაშვილი

წმინდა სისხლის ინგლისური ჯიშის ცხენებზე მინდა მოგიყვეთ.

წიგნი, რომელშიც ამ ჯიშის წარმომადგენლებს ატარებდნენ რეგისტრაციაში, სამი საუკუნის წინათ დაიხურა. მოყვარულის ენაზე ეს იმას ნიშნავს, რომ მას შემდეგ ამ ცხენებს სხვა არც ერთი ჯიში აღარ შერევია. სამი საუკუნის მანძილზე განუწყვეტელი ვარჯიშისა და ინგლისელი და ირლანდიელი სელექციონერების მუშაობის შედეგად ამ და სხვა ჯიშის ცხენებს შორის ისეთი უფსკრული გაჩნდა, რომ ყოველგვარმა ექსპერიმენტმა აზრი დაკარგა.

ჯიშის სრულყოფასთან ერთად მრავლდებოდა იპოდრომები, სულ უფრო პოპულარული ხდებოდა დოღები. იმდენად პოპულარული, რომ მალე სრულად გადაფარა სამხედრო ლაშქრობების მომხიბვლელობა და მაღალი საზოგადოების ცხოვრება თავისი ყველა ინტრიგით, ბალ-მასკარადებითა თუ ჭორებით. ერთადერთი იყო ზღვა, რომელიც, ასე თუ ისე, კონკურენციას უწევდა ცხენებსა და ცხენებით ნადირობას.

ყოველი ასეთი ნადირობის შემდეგ იდებოდა ნაძლევები. ცხენების ეს "შეჯიბრებები", როგორც წესი, ეკლესიის სამრეკლომდე იმართებოდა. ასე წარმოიშვა სახელწოდება "სტიპლ ჩეზი" (ნადირობა კოშკზე). პირველ ასეთ დუელად ითვლება დოღი ვინმე ო`კალაჰენსა და ედმუნდ ბლეიკს შორის ბუტევანტის ეკლესიიდან სენტ ლეჟერის ეკლესიამდე. დოღი 1752 წელს მოეწყო და შვიდ კილომეტრზე ოდნავ მეტს შეადგენდა. ორმოცი წლის შემდეგ ამგვარი დუელები რამდენიმე მხედრის შეჯიბრებამ შეცვალა. მაშინვე გაჩნდნენ კიდეც პირველი პროფესიონალი მხედრები და პირველი "ტოტალიზატორებიც".

დერბი. ეს არის სამწლიანი ცხენებისთვის მთელ მსოფლიოში დაკანონებული ყველაზე მთავარი პრიზი, რომელიც მილნახევარ დისტანციაზე ეწყობა. თუ რომელიმე ქვეყანაში ეს სახელწოდება შეცვლილია, იქვე აუცილებლად არის მინიშნებული, რომ ეს პრიზი "დერბის" ანალოგს წარმოადგენს.

ამ პრიზის შექმნის იდეა დაიბადა 1780 წელს დერბის მეთორმეტე ლორდის ედუარდის მიერ გამართულ სადილზე, მისსავე მამულში - ოქსში. სადილი ლორდის ფაშატის გამარჯვებას მიეძღვნა. სხვათა შორის, ამ ადგილის (ოქსი) სახელწოდება დაედო საფუძვლად სამწლიანი ფაშატების მთავარ ჯილდოსაც.

თუმცა, დავუბრუნდეთ ლორდის მიერ გამართულ სადილს.

ახალი პრიზის სახელწოდება სამწლიანი ულაყებისა და ფაშატებისთვის (მილნახევარი - 2414 მეტრი) წილისყრით გადაწყდა. კონკურსში ორნი - დერბის ლორდი ედუარდი და სერ ჩარლზ ბანბერი მონაწილეობდნენ. ბედმა დერბის მეთორმეტე ლორდს გაუღიმა. ასე იქცა დერბი დოღების უმაღლეს ჯილდოდ. საკუთარი სახელწოდების დოღის მოგება კი მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ მოახერხა ლორდის ულაყმა "სერ პიტერ ტისლმა".

ცალკე ამაზე საუბარი, ალბათ, ვერ მოხერხდება და ბარემ აქვე ვიტყვი სიტყვა "დერბის" გაუკუღმართებულ წაკითხვაზე. როგორც ზემოთქმულიდან ირკვევა, დერბი ტოპონიმია და თუ სპორტთან რაიმე კავშირი აქვს, მხოლოდ და მხოლოდ დოღებთან. არ ვიცი, ვინ და რატომ გარია ეს ტერმინი ფეხბურთში, რატომ იქცა ერთი ქალაქის ორი გუნდის შეჯიბრების სინონიმად. ერთი კი ნაღდია - ეს მეტამორფოზა ფანტაზიას მოკლებული საფეხბურთო მეტიჩრების დამსახურებაა.

მაგრამ დავუბრუნდეთ გაცილებით უფრო სერიოზულ თემას. ინგლისური დერბი ივნისის პირველ კვირას ეპსომის იპოდრომზე თამაშდება. ამერიკის, საფრანგეთის, ირლანდიისა და სხვა ქვეყნების სეზონის მთავარ ჯილდოებზე მომავალ წერილებში, დღეს კი ინგლისური დოღების ერთ-ერთ ვარსკვლავზე მილ რიფზე მოვუთხრობ მკითხველს.

ყოველწლიურად ასეულობით ახალი სახელი ჩნდება დოღების პროგრამებში. სხვადასხვა ჯილდოს ათეულობით მფლობელთა სახელები იწერება ცხენოსნობის ისტორიაში და მხოლოდ ერთეულებს ხვდებათ ხოლმე წილად ლეგენდად ქცევის პატივი. "ეკლიპსი", "ფარ ლეპი", "სეკრეტარიატი"... დიად ჩემპიონთა გალერეაში ეს სახელიც არის - "მილ რიფი"! მეოთხე სტრიქონი მეოცე საუკუნის 100 საუკეთესო წმინდა სისხლის ინგლისური ჯიშის ცხენს შორის; თოთხმეტიდან თორმეტ დოღში გამარჯვებული და ორგზის ჩემპიონი მწარმოებელთა შორის, უკანასკნელად კი - უკვე სიკვდილის შემდეგ.

თუმცა, ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა, მოთხრობა ამ ბრწყინვალე ულაყზე მისი უცვლელი მფლობელით პოლ მელონით დაგვეწყო.

ჯერ კიდევ კემბრიჯის სტუდენტმა იყიდა ირლანდიაში დაბადებული "დრინმო ლედი". უნდა ითქვას, რომ უფროსი მელონი, ცოტა არ იყოს, სკეპტიკურად უყურებდა შვილის გატაცებას. "მთლად ყეყეჩმაც კი იცის, რომ ორი ცხენიდან ერთ-ერთი უფრო კარგად, უფრო სწრაფად იჭენებსო". ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო დაბადებული მილ რიფის მომავალი მწვრთნელი იან ბალდინგი.

გავიდა წლები და 1968 წლის გაზაფხულზე პოლ მელონის მამულში, ვირჯინიაში, დაიბადა ჩალისფერი კვიცი, რომელსაც მილ რიფი დაარქვეს. ასე ეწოდებოდა სანაპიროს, სადაც მელონის რეზიდენცია იდგა. მამამისი, "ნევერ ბენდი" (Never Bend), შვილიშვილი იყო სახელგანთქმული "ნეარკოსი" (Nearco), რომელიც, თავის მხრივ, პაპად ეკუთვნოდა მეოცე საუკუნის საუკეთესო მწარმოებელს "ნორთენ დანსერს" (Northern Dancer). ორი წლის ასაკში "ნევერ ბენდმა" ჯიშის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, თუმცა, სამწლიანებში ვერ გაიმარჯვა ამერიკული კლასიკის (მხოლოდ სამწლიანი ცხენებისთვის გამართულ დოღებს ეწოდება) ვერც ერთ დოღში - მეორე იყო კენტაკი დერბიში, მესამე - პრიკნესში. ბალმონტში კი საერთოდაც საპრიზო ადგილს მიღმა დარჩა. მილ რიფის დედას, "მილან მილს" (Milan Mill), კარიერის მანძილზე არ მოუგია არც ერთი დოღი, სამაგიეროდ შესანიშნავი აღნაგობისა და ბრწყინვალე წარმომავლობისა გახლდათ (შვილიშვილი იყო სახელგანთქმული "ჰიპერიონისა").



მეოცე საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო ულაყი მილ რიფი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნევერ ბენდი | ნასრულა | ნეარკო | ფაროს (I) |
| | | | ნოგარა |
| | | მუმთაზ ბეგუმი | ბლენჰაიმ II |
| | | | მუმთაზ მაჰალი |
| | ლალუნი | ჯიედა | ჯიებელ (I) |
| | | | ჯიეზიმა |
| | | ბი ფიტფული | ბიმელეხი |
| | | | ბლუდროტი |
| მილან მილი | პრინცქუილო | პრინც როუზი | როუზ პრინცი |
| | | | ინდოლენსე |
| | | კოსქუილა | პაპირუსი |
| | | | ქუიკ თოუგჰტი |
| | ვირჯინია უოტერი | ქოუნთ ფლიტი | რაიგ ქოუნთი |
| | | | ქუიკლი |
| | | რედ რეი | ჰიპერიონი |
| | | | ინფრა რედი |

მილ რიფის გენეალოგია

მილ რიფის ტალანტი გაბრწყინდა ორწლიანების პირველივე დოღში, როცა "სალსბარის ჯილდოზე" გამართულ დოღში 5 ფარლონგის (ფარლონგი დაახლოებით 200 მეტრია) დისტანციაზე 5 კორპუსით გაასწრო უახლოეს კონკურენტს.

ამ დოღის შემდეგ ცხენი თავის მწვრთნელთან ერთად სამუდამოდ გადაბარგდა კინგსკლში. აქედანვე იწყება ულაყის აღმასვლა ინგლისური და მსოფლიო დოღების მწვერვალებისკენ. მართალია, თავისი მესამე სტარტი მილ რიფმა წააგო - თავით ჩამორჩა გამარჯვებულს - მაგრამ, სპეციალისტების თქმით, უარყოფითად იმოქმედა დამღლელმა მგზავრობამ და უიღბლო წილისყრამ. თუმცა, უკვე შემდეგ დოღში მილ რიფი უჩვენებს მთელ თავის შესაძლებლობებს. ორი წლის ცხენი ისე მიჰქროდა, თითქოს სულებმა შეიპყრესო - წერდნენ მიმომხილველები. ძალზე მძიმე გრუნტზე, ექვსფარლონგიან დისტანციაზე, მილ რიფი 10(!) კორპუსით ამარცხებს უახლოეს მდევარს. ისიც სათქმელია, რომ მომავალ გამარჯვებულს, როგორც ფავორიტს, 33 ფუნტით მეტი მიჰქონდა, ვიდრე მის მეტოქეებს. სეზონი მილ რიფმა Dewharst Stakes მოგებით დაასრულა.

ახალ სეზონს ინგლისი სამი უმაღლესი კლასის ცხენით ხვდებოდა. "მაი სვოლოუმ", გარდა იმისა, რომ ერთ დოღში თვით მილ რიფი დაამარცხა, ორწლიანებისთვის განკუთვნილი "მორნის", "სალამანდრისა" და "დიდი კრიტერიუმის" დოღებშიც იმარჯვა. ბრწყინვალედ ამთავრებს ორწლიანების სეზონს მილ რიფის მომავალი მეტოქე "ბრიგადირი ჟერარი". გაზაფხულზე, მაისის ტრადიციული პრიზების გათამაშების წინ, მილ რიფი ოთხი კორპუსით იგებს Greenham Stakes-ს. ახლოვდება "2000 გინეა" - პირველი იმ სამი კლასიკური დოღიდან, რომლებიც სამწლიანი ულაყებისთვის ეწყობა. მილიანი დისტანციის უკანასკნელ ფარლონგზე მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა - "ბრიგადირმა ჟერარმა" გადაასწრო დიდი "ნეარკოს" შთამომავალს. ეს იყო მილ რიფის მეორე და უკანასკნელი მარცხი. ამის შემდეგ არც ერთი ცხენი არ მისულა ფინიშთან მასზე ადრე. როგორც შემდეგ გაირკვა, პადოკიდან გაყვანისას ვიღაცას თუ რაღაცას დაუფრთხია ულაყი...

მიუხედავად ამ მარცხისა, მორიგ, ეპსომის დერბის სტარტზე, მილ რიფი ფავორიტად გადიოდა 10:3 და ულაყმა გაამართლა კიდეც მოლოდინი - უკან დარჩნენ ირლანდიის დერბისა და სენტ ლეჟერის მომავალი გამარჯვებულები. სამი კვირის შემდეგ მილ რიფი პირველია "ეკლიპს სტეიკში" - 4 კორპუსს უგებს საფრანგეთის საუკეთესო ოთხწლიან "კაროს".

მილ რიფის გამოსვლებმა გულშემატკივრებს "რიბოტისა" და "ნიჟინსკის" დიდებული დროება მოაგონათ. "დაიმონდ სტეიკში" (King George 6th and Queen Elizabeth Daimond Stakes) ულაყმა ექვსი კორპუსით ჩამოიტოვა იტალიელი ჩემპიონი "ორტისი". თუ აქამდე სპეციალისტები საუკუნის ცხენად ერთხმად აღიარებდნენ "ნიჟინსკის", ახლა აზრი გაიყო. ლესტერ პიგოტი, მსოფლიოს საუკეთესო ჟოკეი და "ნიჟინსკის" მხედარი, მოგვიანებით აღიარებდა, რომ მილ რიფზე უკეთესი ცხენი არ ენახა. 1971 წლის სეზონის უკანასკნელ გამოსვლაზე მის სანახავად უამრავი გულშემატკივარი შეიკრიბა მთელი ევროპიდან. "ტრიუმფალური თაღის" 2400-მეტრიანი დისტანცია ჩიტივით გაიფრინა მილ რიფმა და 1948 წლის შემდეგ პირველი ბრიტანული ულაყი გახდა, რომელმაც ეს ყველაზე პოპულარული ფრანგული დოღი მოიგო.

1971 წლის სეზონი მილ რიფის კარიერის უმაღლესი მწვერვალი იყო. მწვრთნელები სახელოვან ულაყს ახალი სეზონისთვის ამზადებენ. ნიუბერიში ეწყობა სეზონისწინა დოღი, რომელშიც იგი იოლად ამარცხებს მეტოქეებს, რომლებსაც 6 კგ ფორა ჰქონდათ. სეზონის პირველივე სერიოზულ დოღს მილ რიფი 10 კორპუსით იგებს. თვითმხილველები ამბობენ, რომ ულაყს მთელი 20 კორპუსით მოგების მარაგი ჰქონდაო!

"ეკლიპს სტეიკის" პრიზის გათამაშებამდე 10 დღით ადრე მილ რიფს დოღიდან ხსნიან. მიზეზი ვირუსული ინფექციაა. არადა, ამ დოღში გულშემატკივრები "ბრიგადირ ჟერარზე" რევანშის ასაღებად ემზადებოდნენ.

გამოჯანმრთელებულ ულაყს მელონი და ბალდინგი "ტრიუმფალური თაღისთვის" ამზადებენ. ფრანგული დოღის წინ გასავარჯიშებლად მილ რიფი ჩაწერეს კამბერლენდ ლოჯ სტეიკში, რომელიც ასკოტში უნდა გამართულიყო. დოღამდე ორი დღით ადრე გამოცხადდა, რომ მილ რიფი 5 წლის ასაკშიც გააგრძელებდა გამოსვლებს. ეს განცხადება სპორტულმა საზოგადოებრიობამ იმის სიგნალად აღიქვა, რომ ულაყის ჯანმრთელობის ყველა პრობლემა მოგვარებულია. 1972 წლის 30 აგვისტოს მზიან დილით მილ რიფი მშობლიური კინგსტონის იპოდრომის სარბენ წრეზე მორიგი ვარჯიშისთვის გამოიყვანეს. დაახლოებით ამ დროს მილტონმა ერთ-ერთ ცნობილ სკულპტორს ჯონ სკიპინგს თავისი კერპის ბრინჯაოს სამი ქანდაკება შეუკვეთა. როგორც შემდეგ სკიპინგი ყვებოდა, როცა მომავალი ქანდაკების თიხის მოდელს სველ ტილოს აცლიდა, შეამჩნია, რომ ერთ-ერთი მოდელის წინა ფეხიდან თიხა ჩამოცურებულიყო და რკინის შავი ღეროები გაეშიშვლებინა. კარგა ხნის მერე მოქანდაკეს შეიტყო, რომ ამ უცნაურ დილას კინგსკლის იპოდრომზე ვარჯიშის დროს მილ რიფმა წინა ფეხი მოიტეხა. ეს ულაყის კარიერის დასასრულს ნიშნავდა.

ის მშობლიურ თავლაში გადაიყვანეს. დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა ახლა უკვე არა სარბენ ბილიკზე დასაბრუნებლად, უბრალოდ, ამ საოცარი, ნამდვილად მეომრის ხასიათის მქონე ულაყის სიცოცხლისთვის. საოპერაციო იქვე, თავლაში მოეწყო. საუკეთესო სპეციალისტი, ჩარლზ ალენი საგანგებოდ გამოიძახეს ოპერაციის ჩასატარებლად. ასობით ღია ბარათი და საჩუქარი მოდიოდა მილ რიფის სახელზე მისი თაყვანისმცემლებისგან, მკურნალობისთვის საჭირო ფული კი იმდენი შეგროვდა, რომ მოგვიანებით იანმა ეტლის ცხენიც კი შეიძინა, რომელიც ადგილობრივ ობოლთა თავშესაფარს გადასცა.

ოპერაცია ისე ოსტატურად გაკეთდა, მომხდარ ტრაგედიას ძლივს შესამჩნევი ნაწიბურიღა მოგაგონებდათ.

პოლ მელონმა გადაწყვიტა, რომ ცხენი ინგლისში დაეტოვებინა. 1973 წლიდან იწყება მილ რიფის ახალი, ახლა უკვე მწარმოებლის კარიერა. მის შთამომავლებს შორის არიან "შირლი ჰაიტსი" - ეპსომისა და ირლანდიის დერბის გამარჯვებული, "აკამასი" - ფრანგული დერბის გამარჯვებული, "რეფერენს პოინტი" - 1987 წლის დერბის, დაიმონდ სტეიკისა და "სენტ ლეჟერის" მომგები, "გლინტ ოფ გოლდი" - იტალიის დერბისტი, "1000 გინეის" გამარჯვებული "ფეირიფუტსტეპსი"... მილ რიფი ორჯერ დაასახელეს წლის საუკეთესო მწარმოებლად.

1985 წლის ზაფხულში ვეტერანმა გულის ოპერაცია გადაიტანა, მაგრამ წლებს თავისი მიაქვს და 1986 წლის თებერვალში დოღების ლეგენდამ საბოლოოდ დატოვა ეს ქვეყანა.

თუ ოდესმე მოხვდებით ინგლისში, აუცილებლად მოინახულეთ ნიუმარკეტის ეროვნული თავლები. იქ, მდელოების მწვანე სიღრმეში, აუცილებლად გადაეყრებით ბრინჯაოს პატარა ცხენს, თავის უკანასკნელ სახლში რომ მასპინძლობს მნახველებს. იქვეა მარად ცოცხალი ყვავილებით შემკული მილ რიფის საფლავიც.

# საბჭოთა სპეცსამსახურების დეზინფორმაციის მიზნები და შედეგები

*გაგრძელება.*
*დასაწყისი N 633*

დეზინფორმაციის სამსახური "ჩკ-გპუ"-ს სტრუქტურაში 1923 წელს შეიქმნა. საბჭოთა სპეცსამსახურების სხვა დანაყოფების მსგავსად "დეზას" განყოფილებაც ე.წ. "განმეორების ტაქტიკას" იყენებდა. კერძოდ კი, დეზინფორმაციის და კომპრომეტირების ერთხელ წარმატებით აპრობირებული მეთოდი და ხერხი შემდეგ სისტემატურად გამოიყენებოდა. უფრო მეტიც, "დეზას" ოპერაცია ქრესტომათიული ხდებოდა და სპეცლიტერატურაშიც კი შედიოდა ახალგაზრდა "ჩეკისტების" მოსამზადებელად (უპირატესობასთან ერთად, ამ ტაქტიკას მრავალი ნაკლიც ჰქონდა. განსაკუთრებით ის, რომ სხვა ქვეყნების სპეცსამსახურები თუ ერთხელ გახსნიდნენ საბჭოთა დაზვერვის და კონტრდაზვერვის ხელწერას, შემდეგ უკვე წინასწარ გამოითვლიდნენ მათ მომავალ სვლებს). ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ფაქტების ფალსიფიცირების ის ძირითადი ტექნოლოგია ("დეზას" შედგენის მეთოდები და გავრცელების არხები), რაც 1920-1930-იან წლებში გამოიყენებოდა, თითქმის უცვლელი დარჩა დღესაც. მაგალითად, რომელიმე განვითარებადი ქვეყნის სრულიად უმნიშვნელო გაზეთში ან ჟურნალში უცნობი ავტორი აქვეყნებდა "სუპერსენსაციურ" ("ფაქტებით" და "დოკუმენტებით" გამყარებულ) სტატიას, შემდეგ კი ეს მასალა ევროპის ან ამერიკის რომელიმე სოლიდურ გაზეთში გადაიბეჭდებოდა ან თემას საბჭოთა სპეცსამსახურების კმაყოფაზე მყოფი ჟურნალისტი განავითარებდა და დეზინფორმაციული "ზვავი" უკვე დაძრული იყო!

გენერალი ლეონიდ შებარშინი, რომელიც საბჭოთა დაზვერვას 80-იანი წლების ბოლოს ხელმძღვანელობდა, თავმომწონედ აცხადებდა, რომ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ გაზეთში შეიძლებოდა ისეთი ჟურნალისტის მოძებნა, რომელიც კარგი "მალარიჩის" ფასად საჭირო ინფორმაციას საჭირო დროს უყოყმანოდ დაბეჭდავდა თავისი სახელით. შებარშინი გულდაწყვეტით(!) აღნიშნავდა, რომ მსოფლიოში ერთადერთი გაზეთი, სადაც "კგბ"-მ "დეზა" ვერ "შეაცურა", იყო "ვაშინგტონ პოსტი".

ჩვენ კი აღვნიშნავთ, რომ ეს "სამწუხარო" ფაქტი იმითაც იყო გამოწვეული, რომ აშშ-ს ამ გაზეთის საყოველთაოდ ცნობილი ჟურნალისტები (მათ შორის უპირველესად ბობ ვუდვორდი - 1972 წელს "უოტერგეიტის სკანდალის" პირველი გამშუქებელი და პრეზიდენტ ნიქსონის იმპიჩმენტის მთავარი "კატალიზატორი", ხოლო შემდგომ ცსს-ს დირექტორ უილიამ კეისის შესახებ ცნობილი წიგნის ავტორი) თავად იყვნენ აშშ-ს სპეცსამსახურებთან საკმაოდ ახლოს.

1970-90-იან წლებში კაგებეს "ა" სამსახურის უმთავრესი მიმართულებები იყო:

- აშშ-ს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყოველმხრივი კომპრომეტირება და დისკრედიტირება (საბჭოთა ლიდერები განსაკუთრებით ვერ იტანდნენ რონალდ რეიგანს და 80-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში გამართული "ანტირეიგანული" დემონსტრაციების სცენარები და თვით ლოზუნგებიც კი, როგორც წესი, "კგბ"-ში იწერებოდა).
- აშშ-სა და ევროპის ქვეყნებს შორის კონფლიქტების პროვოცირება და ურთიერთობის გაფუჭება;
- განვითარებად ქვეყნებში აშშ-ს "იმიჯის" ყოველმხრივი შელახვა;
- მსოფლიოში ე.წ. "სამშვიდობო მოძრაობების" საბჭოთა პროპაგანდის შირმად და საფარად გამოყენება.

საბჭოთა სპეცსამსახურების "უხილავ რაინდებს", რომლებიც უცხოეთში საბჭოთა საელჩოებში განლაგებულ რეზიდენტურებში პოლიტიკური დაზვერვის მიმართულებით იღვწოდნენ, ევალებოდათ დასავლეთის ქვეყნების ლიდერების (უპირველესად რეიგანის და ტეტჩერის) ოფიციალური განცხადებების და არაოფიციალური გამონათქვამების ფალსიფიცირება და დისკრედიტირება, რისთვისაც იყენებდნენ უცხოელ "გავლენის აგენტებს".

საერთაშორისო ორგანიზაცია "მშვიდობის მსოფლიო საბჭოს" დაფინანსების 90 პროცენტი საბჭოთა კავშირზე მოდიოდა, ამიტომაც ცნობილი ჭეშმარიტება - "ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს", ამ შემთხვევაშიც წარმატებით მოქმედებდა. დაფინანსების სანაცვლოდ საბჭოთა სპეცსამსახურები ამომწურავად იყენებდნენ მსოფლიოში ამ ერთ-ერთი უდიდესი საერთაშორისო ორგანიზაციის ოპერატიულ რესურსებს.

დიდი ბრიტანეთის დაზვერვის აგენტის ოლეგ გორდიევსკის მონაცემებით, 1980-იანი წლების ბოლოს "ა" სამსახური წელიწადში აშშ-ს 10-15 ოფიციალურ დოკუმენტს აყალბებდა, შემდეგ კი ეს ფალსიფიცირებული "დოკუმენტები" გავლენის აგენტების ან "მიამიტი" ჟურნალისტების მეშვეობით ევროპისა და განვითარებადი ქვეყნების მასმედიაში ხვდებოდა.

დეზინფორმაციის საბჭოთა "დიდოსტატების" მიერ 1945-1991 წლებში ჩატარებულ "დეზა"-ს ოპერაციების მარტო ჩამოთვლაც კი გვარწმუნებს, თუ რა გლობალური მასშტაბებით მოქმედებდნენ საბჭოთა სპეცსამსახურები:

- 1950-იან წლებში "კგბ" ცდილობდა, განხეთქილება ჩამოეგდო ეგვიპტე-ლიბანის ურთიერთობებში და ეგვიპტის ზოგიერთი გაზეთის საშუალებით ავრცელებდა ვითომდა ლიბანი-ისრაელის ფარული მეგობრობის დამადასტურებელ წერილობით "დოკუმენტებს";
- 1981 წელს "კგბ"-მ გაავრცელა ვითომ რეიგანის ესპანეთის მეფისადმი გაგზავნილი ყალბი წერილი. სიყალბის უსწრაფესი გამომჟღავნების შედეგად "დეზამ" მიზანს ვერ მიაღწია;
- 1986 წელს "კგბ"-მ ამერიკის გაზეთებს "შეუცურა" ვითომ აშშ-ის ადმინისტრაციაში შემუშავებული გეგმა ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი კატასტროფის პროპაგანდისტული მიზნებით გამოყენების შესახებ;
- 1950-იანი წლებიდან მოყოლებული "კგბ"-ს მრავალწლიანი "ა" ღონისძიებები მიმართული იყო ინდოეთის პოლიტიკური წრეების და მოსახლეობის დასარწმუნებლად აშშ-ს "ვერაგულ" გეგმებში, რაც ვითომდა ინდოეთის დაშლას ითვალისწინებდა. 1987 წელს გააყალბეს ცსს-ს დირექტორის უილიამ უებსტერის წერილი, სადაც ვითომ საუბარი იყო ინდოეთის პრემიერ-მინისტრის რაჯივ განდის დისკრედიტირებისა და ინდოეთის საწინააღმდეგო ოპერაციებზე;
- 1988 წელს გააყალბეს აშშ-ს ეროვნული უშიშროების საბჭოს დოკუმენტი, სადაც პრეზიდენტი რეიგანი ვითომდა დავალებებს აძლევდა ცსს-ს პანამაში დესტაბილიზაციის მოწყობის შესახებ.

აშშ-ს წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი "აქტიური ღონისძიება" "კგბ"-მ ანდროპოვის უშუალო მითითებით დაგეგმა. "დეზას" ეს ოპერაცია იმდენად კარგად იყო შესრულებული, რომ ბევრ ადამიანს დღესაც სჯერა, რომ შიდსის ვირუსი ამერიკელებმა ხელოვნურად შექმნეს და გაავრცელეს. ახლა კი თანმიმდევრობით მივყვეთ მოვლენების მსვლელობას.

1983 წელს ინდოეთის ერთ-ერთ პატარა, "პროგრესულ" (როგორც საბჭოთა პროპაგანდა უწოდებდა) გაზეთში - "პატრიოტი" - დაიბეჭდა სტატია, სადაც ავტორი ამტკიცებდა, რომ შიდსის ვირუსი ამერიკელებმა, როგორც ბაქტერიოლოგიური იარაღი, შექმნეს და შემდგომ მის გაავრცელებას შეუწყვეს ხელი. რამდენიმე თვის შემდეგ საბჭოთა "ლიტერატურნაია გაზეტა"-მ აიტაცა ეს თემა, უფრო განავრცო და გამოაქვეყნა სუპერსენსაციური მასალა, რომელშიც აღმოსავლეთ გერმანელი ბიოფიზიკოსი იაკობ სეგალი "მეცნიერულად ასაბუთებდა", რომ ბუნებაში არსებული ვირუსების სინთეზის გზით აშშ-ს მეცნიერებმა ხელოვნურად მიიღეს "შეძენილი იმუნო დეფიციტის სინდრომის" ვირუსი. ამ პუბლიკაციამ, რომელსაც "კგბ"-ს ხელი აშკარად ეტყობოდა, საფუძველი დაუდო მრავალწლიან დისკუსიებს დასვლეთ ევროპისა და "მესამე სამყაროს" მასმედიასა და სამეცნიერო წრეებში. ყველა ამერიკელებს კიცხავდა და, ბუნებრივია, აშშ-ს საერთაშორისო პრესტიჟი ძალზე მნიშვნელოვნად დაზარალდა. სამაგიეროდ "კგბ"-ში ბლომად დარიგდა ორდენები და რიგგარეშე წოდებები.

"კგბ"-ს უმაღლეს დონეზე ჰქონდა დამუშავებული ჭორების შექმნისა და გავრცელების "ხელოვნება". ჭორი ძირითადად მასმედიის გარეშე, საზოგადოების სხვადასხვა ფენებში გავლენის აგენტების მიზანმიმართული "შემოქმედების" შედეგად ვრცელდება.

"ჭორიკანობაშიც" "კგბ"-ს მთავარი სამიზნე აშშ, ხოლო მიზანი მთელ მსოფლიოში ანტიამერიკული მოძრაობის გაღვივება იყო. 1980-იანი წლების ბოლოს "ა" სამსახური ავრცელებდა "დეზას" იმის შესახებ, რომ თითქოს აშშ-ს სამედიცინო დაწესებულებები განვითარებად ქვეყნებში, უმთავრესად ლათინურ ამერიკაში, ორგანოების ტრანსპლანტაციის მიზნით ვითომდა ბავშვებს იტაცებდნენ.

აფრიკისა და აზიის ქვეყნებში მთელი სიმძლავრით მიდიოდა "ჭორაობა" იმის შესახებ, რომ აშშ-მ ("მოფერებით" -"საზიზღარმა იანკებმა") ვითომდა შექმნეს ზესაიდუმლო "ეთნიკური იარაღი", რომელიც მხოლოდ... შავ და ფერადკანიან მოსახლეობას ანადგურებდა.

საბჭოთა დეზინფორმაციის "სპეცებს" კარგად ახსოვდათ ნაპოლეონის სიტყვები:

**"ოთხი გაზეთი უფრო მეტ ზიანს მიაყენებს მტერს, ვიდრე ასიათასიანი არმია".**

ამიტომ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში "კგბ"-ს "თავისი" გაზეთები ჰქონდა ან ჟურნალისტები ჰყავდა, სადაც ყველაზე მეტად "უშვებდა" "დეზას". მაგალითად, ინდოეთში ეს იყო გაზეთები "ბლიცი" და "პატრიოტი", იტალიაში "პაეზა სერა" და "ავანტი", ფინეთში "აიან ქუვათ", საფრანგეთში "ნორ მატენი" და "ლიბერასიონი" და ა.შ.

*გაგრძელება შემდეგ პარასკევს*

# ლაბორატორია "X"-ის შავბნელი საქმეები

სპეციალური აქციები - ასე ნიღბავდნენ საბჭოთა სპეცსამსახურები პოლიტიკური ოპონენტების, მოღალატეების ან თუნდაც უკვე "ძალზე" ბევრის მცოდნე თანამშრომლების ლიკვიდაციას. ეს პროცესი მათთვის ისეთივე ჩვეულებრივი და ყოველდღიური მოვლენა იყო, როგორც მზის ამოსვლაა დილით. არ ჰქონდა მნიშვნელობა, ომი იყო თუ მშვიდობა (ან როდის ყოფილა საბჭოთა კავშირში მშვიდობა, ის ხომ შინ და გარეთ ყოველთვის მტრებს ეძებდა, პოულობდა, ებრძოდა და განადგურებას ცდილობდა), სპეცოპერაციები მაინც სრულდებოდა. სიმართლე უნდა ითქვას, რომ საბჭოთა სპეცსამსახურები ისე "დაოსტატდნენ" ადამიანების ლიკვიდიაციის საქმეში, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა თითქმის ყოველთვის "თვითმკვლელობას" ან "გულის შეტევით გარდაცვალებას" აფიქსირებდა.

დღეს საუბარი გვექნება საბჭოთა სპეცსამსახურების ერთ-ერთ ყველაზე გასაიდუმლოებულ და ფარულ საქმიანობაზე - პოლიტიკურ მკვლელობებზე სპეც-მედიკამენტების, ქიმიური შენაერთების და შხამების გამოყენებით. ლიკვიდაციის ამ მეთოდების, ხერხებისა და სპეციარაღის დამუშავებას და უშუალო შესრულებას ახორციელებდა "კგბ"-ს ყველაზე საიდუმლო ოპერატიული დანაყოფი - ლაბორატორია "X". ასე მოიხსენიებდნენ ოფიციალურ დოკუმენტებში ლუბიანკის ციხის მიდამოებში მდებარე უფერულ, პატარა შენობას. ლაბორატორია აკადემიურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას "კარგად" უთავსებდა სიკვდილმისჯილ პატიმრებზე ახალი ტოქსიკური ნივთიერებების და შხამების გამოცდას. ამ "ჰუმანური" მიზნებისათვის ლაბორატორიას სპეცკამერებიც ჰქონდა. "კგბ"-ს ამ დანაყოფში შესვლის უფლება, იქ მომუშავეთა გარდა, მხოლოდ თავმჯდომარესა და მის პირველ მოადგილეს (რომლის უშუალო საკურატორო სფეროშიც ლაბორატორია შედიოდა) ჰქონდათ.

ყველაფერი კი ძალზე ჩვეულებრივად დაიწყო. 1921 წელს "სოვნარკომის" თავმჯდომარის ლენინის მითითებით ბიოქიმიის ინსტიტუტში შეიქმნა ტოქსიკოლოგიური ლაბორატორია "X". შეიძლება ითქვას, რომ აქედან იწყება "სპეცსაშუალებებით" საიდუმლო მკვლელობების სერიალი. ლაბორატორიის პირველი ხელმძღვანელი პროფ. კაზაკოვი, როგორც "უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ჯაშუში" და ბუხარინის თანამოაზრე, 1938 წელს დახვრიტეს. მანამდე ერთი წლით ადრე კი, მოსკოვის ბიოქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო ჯგუფი, რომელიც უკვე ახალი "შეფის", სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკის, პროფესორ მაირანოვსკის ხელმძღვანელობით "ავთვისებიან სიმსივნეზე სხვადასხვა შხამების და ტოქსიკური აირების ზემოქმედების" თემატიკაზე მუშაობდა (ბუნებრივია, თან "ჩეკისტების" სპეციფიკურ შეკვეთებსაც ასრულებდა), "ნკვდ"-ს გადაეცა და ფორმალურად "ოტო"-ს (ახალგაზრდა ქართველი "ჩეკისტების" საყურადღებოდ: "ოტო" ამ შემთხვევაში კაცის სახელი არ არის და ოპერატიულ-ტექნიკურ განყოფილებას ნიშნავს, იქ "ჟუჩოკებს" და სხვა ათას "მამაძაღლობას" ამზადებენ, შემდეგ ფარულად ამონტაჟებენ და მერე ოპერატორი გოგონები დღედაღამ უსმენენ, ან "სექსს პატარა ოთახში" სრულიად უფასოდ უყურებენ) დაექვემდებარა. 1937-1951 წლებში ლაბორატორია "X"-ს პროფ. მაირანოვსკი ხელმძღვანელობდა. მასაც განგებამ წინამორბედივით ტრაგიკული ბედი არგუნა, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ამ ლაბორატორიის შექმნის დღიდან მისმა თანამშრომლებმა მათ მიერვე დამზადებული ტოქსიკური ნივთიერებებით მრავალი ადამიანი მოკლეს. მსხვერპლთა შესახებ ზუსტ ინფორმაციას, ალბათ, ვერასდროს გავიგებთ, მხოლოდ ყოფილი "ჩეკისტების" მოგონებები (უპირველესად გენერალ-ლეიტენანტ პაველ სუდოპლატოვის - 14 წლის ასაკიდან "ჩკ"-ს თანამშრომლის, პოლიტიკური მკვლელობების ჯერ შემსრულებლების, ხოლო შემდეგ კი ხელმძღვანელის, რომელიც "ბევრის ცოდნის" გამო 15 წლით ციხეში გამოამწყვდიეს) გვაძლევს მწირ, მაგრამ ობიექტურ ინფორმაციას.

სამხედრო ინჟინერი, წარმოშობით პოლონელი ებრაელი აბრამ სამეტი, რომელიც 1939 წლიდან საბჭოთა კავშირში იყო ინტეგრირებული, წყალქვეშა ნავების აკუსტიკური მოწყობილობების შექმნაზე ბერიას ქვეშევრდომების მეთვალყურეობის ქვეშ მუშაობდა. ომის შემდეგ სამეტმა მოინდომა ისტორიულ სამშობლოში -პალესტინაში დაბრუნება. ამის დაშვება კი საბჭოთა ზელადს არაფრით არ სურდა და როცა ყველა არგუმენტი ამოიწურა, მაგრამ სამეტი თავისას არ იშლიდა, სტალინმა მისი ლიკვიდაციის ბრძანება გასცა. ულიანოვსკის სამხედრო ქარხანაში მომუშავე სამეტთან უშიშროების აგენტი - ქარხნის პოლიკლინიკის ექიმი "ჩანერგეს", რომელიც მალე დაუმეგობრდა ინჟინერს. სულ მალე ულიანოვსკში თავად მაირანოვსკი ჩავიდა და "ექიმ-აგენტთან" ერთად ქარხნის პერსონალის გეგმური პროფილაქტიკური შემოწმების დროს ანტიინფექციური ინექციები გააკეთა. რამდენიმე დღის შემდეგ სამეტი მოულოდნელად კვდება. ოფიციალური დიაგნოზი - "ინფარქტი". სუდოპლატოვის ინფორმაციით კი სამეტს კურარეს შხამი თვითონ გაუკეთა.

1946 წლის ზაფხულში უკრაინის ცკ-ს პირველი მდივნის ხრუშჩოვის დაჟინებული მოთხოვნით სტალინმა უკრაინის ნაციონალური მოძრაობის ლიდერის შუმსკის ლიკვიდაციის სანქცია გასცა. უკრაინის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი შუმსკი პატიმრობიდან ავადმყოფობის გამო გაანთავისუფლეს და სარატოვში გადაასახლეს. მაგრამ იქაც არ ისვენებდა და სტალინს ულტიმატუმი წაუყენა - "თუ უკრაინაში დაბრუნების და ცხოვრების უფლებას არ მომცემთ, თავს მოვიკლავო." ბელადი თურმე ძალიან "შეწუხდა" და უშიშროების მინისტრ აბაკუმოვს დაავალა, "დახმარებოდნენ" ავადმყოფ კაცს ჩანაფიქრის განხორციელებაში. სარატოვში პროფ. მაირანოვსკი გაემგზავრა. სპეცაქციას ადგილზე ხელმძღვანელობდნენ მინისტრის მოადგილე ოგოლცოვი და პოლიტბიუროს წევრი კაგანოვიჩი. ლაბორატორია "X"-ში დამზადებულმა შხამმა, როგორც ყოველთვის, თავისი საქმე გააკეთა და



*პაველ სუდოპლატოვი*

სამი დღის შემდეგ შუმსკი "გულის უკმარისობის" გამო გარდაიცვალა.

ლაბორატორია "X"-ის მორიგი მსხვერპლი კომინტერისა და "ჩეკას" ძველი აგენტი, აშშ-ს კომპარტიის ფარული წევრი ისაკ ოჰინსი იყო. ის 1938 წელს დააპატიმრეს "ორმაგი აგენტობის" ბრალდებით (ეჭვი ჰქონდათ, რომ აშშ-ს გფბ-ზე მუშაობდა) და ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა სპეცსამსახურებისათვის უკვე "უსარგებლო, მაგრამ ბევრის მცოდნე" ყოფილი აგენტი იყო. აბაკუმოვის წინადადებით, სტალინის და მოლოტოვის თანხმობით, გადაწყდა ოჰინსის ლიკვიდაცია. თანაც ისე, რომ მაქსიმალურად ბუნებრივ სიკვდილს მსგავსებოდა. 1947 წელს მაირანოვსკიმ, ვითომდა მორიგი სამედიცინო გამოკვლევის დროს, სასიკვდილო ინექცია გაუკეთა ყოფილ აგენტს. მისი კრემაცია და დაკრძალვა ქალაქ პენზის ებრაელთა სასაფლაოზე სუდოპლატოვმა და ეიტინგონმა შეასრულეს.

ამ ლაბორატორიაში დამზადებული შხამების და ტოქსიკური ნივთიერებების გამოყენებით ლიკვიდაციის გადაწყვეტილება ყოველთვის სანქცირებული იყო "ინსტანციის" - ცკ-ს და მთავრობის მიერ. განსაკუთრებით აქტიურობდა ხრუშჩოვი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმ პერიოდში უკრაინის კომპარტიას ხელმძღვანელობდა. მისი დაჟინებული მოთხოვნით, რომელსაც შემდეგ სტალინიც დაეთანხმა, 1947 წელს უშიშროების სამინისტროს დაევალა უკრაინის არქიეპისკოპოსის რომჟას ლიკვიდაცია. საქმეში ჯერ უკრაინელი "ლიკვიდატორები" ჩაერთვნენ ადგილობრივი უშიშროების მინისტრის შავჩენკოს ხელმძღვანელობით, მაგრამ სპეციალურად მოწყობილ ავტოკატასტროფაში რომჟა მხოლოდ მსუბუქად დაშავდა და უჟგოროდის საავადმყოფოში გადაიყვანეს. დაპანიკებულმა ხრუშჩოვმა დახმარებისათვის სტალინს მიმართა, რომლის პირადი მითითებით უჟგოროდში, ადამიანთა ლიკვიდაციის პროფესიონალები - გენერალი სუდოპლატოვი და პროფ. მაირანოვსკი გაემგზავრნენ. ისინი პირადად ხრუშჩოვმა მიიღო, ინსტრუქტაჟი ჩაუტარა(?!) და ოპერაციის სასწრაფო შესრულება მოსთხოვა. მეორე დღეს მაირანოვსკიმ კურარეს შხამიანი ამპულა გადასცა აგენტ-შემსრულებელს. ორი დღის შემდეგ საავადმყოფოს პალატაში მყოფ არქიეპისკოპოსს ჩვეულებრივ დილის შემოვლაზე მოსული ახალგაზრდა მომხიბლავი მედდა მიუახლოვდა, მდგომარეობა გამოჰკითხა და "ჩვეულებრივი" ინექცია გაუკეთა. მეორე დრეს არქიეპისკოპოსი რომჟა "გულის უკმარისობის გამო" გარდაიცვალა.

ლაბორატორია "X" 1947 წელს, რატომლაც, ძალზე დატვირთული იყო. ამ წლის ზაფხულში "X"-ის "სპეცსაკანში" უნგრეთიდან "სმერშ"-ის მიერ მოტაცებული შვედი დიპლომატი რაულ ვალენბერგი მიიყვანეს და ვითომდა მკურნალობისთვის გათვალისწინებული სასიკვდილო ინექცია გაუკეთეს. "ლუბიანკის" ციხის მედპერსონალი, რომელიც ოპერაციის უმაღლესი კონსპირაციულობის გამო, ბუნებრივია არ იყო ინფორმირებული ამ სპეცაქციის შესახებ, სიკვდილის ნამდვილ მიზეზს ვერ მიხვდა(!!!) და ვალენბერგის გულის შეტევით გარდაცვალება დააფიქსირა. აქ გასაკვირი არაფერია, რადგანაც ლაბორატორია "X"-ის მთავარი ამოცანა სწორედ ის იყო, რომ სიკვდილის შემდგომ პათანატომიურ გაკვეთას ადამიანის ბუნებრივი სიკვდილი დაეფიქსირებინა. ძალზე იშვიათი იყო შემთხვევა, რომ მოწამვლის ფაქტი აღმოეჩინოთ.

